საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№10 (528)
18 – 24 მარტი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## «საქართველო იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატს მიიღებს» 24

## «ოცნება» ბჭობდა, ამერიკის ელჩი იცინოდაო 2



«გვჭირდება ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ხმამაღლა იტყვის, რომ საქართველო არავის კოლონია არ არის» 3



თამარ კიკნაძე:

## როდესაც საქართველო ჩრდილო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიილტვის და ზურგს აქცევს რუსეთს, ამით ბევრს კარგავს 4



ვალერი კვარაცხელია:

## არანაირი პარტნიორები საქართველოს არ ჰყავს, ჩვენ გვყავს თაღლითები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ინტერესებს ატარებენ ამ ქვეყანაში 4

## ამერიკის ელჩის ნებართვით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! 7






## კიდევ რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ საბოლოოდ დავინახოთ ევროპისა და ამერიკის სახე? 6

## ევროატლანტიზმი თვალსა და ხელს შუა ინგრევა 14



## ამერიკელები აპირებენ გამოაცხადონ, რომ აშშ-ის საზღვრებს მიღმა ყველა დოლარი ფარატინა ქაღალდია 15



## როგორ ბავშვებს ზრდიდა საბჭოთა იდეოლოგია და როგორს ზრდის ლიბერალიზმი 16



თანამედროვე ბატონყმობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის ელჩი წინა ხელისუფლებისთვისაც ღმერთი იყო და ახალი ხელისუფლებისთვისაც ღმერთია. მერე რა, რომ ელჩები პერიოდულად იცვლებიან, თაყვანისცემის პროცესი არ ნელდება და მუხლზე დაჩოქილი ქართველი პოლიტიკოსები კიდევ არაერთხელ მოწმენდენ ამერიკის საელჩოს შესასვლელს.**

# «ოცნება» ბჭობდა, ამერიკის ელჩი იცინოდაო

## საქართველოს უზენაესი კანონი ყველას ერთად და, გნებავთ, ცალ-ცალკე თავზე გადაგვახიეს

**„ასეთი კონტრპროდუქტიული დამოკიდებულების პირობებში, ბუნებრივია, შეუძლებელი შეიქნა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა 2020 წლისთვის და ამის შესახებ თავადაც იცოდნენ ოპოზიციურმა პარტიებმა. დღეს, შესაბამისად, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და ეს მიზანი არის მიღწეული. მართალია 2020 წელს ჩატარდება შერეული წესით არჩევნები, მაგრამ 2020 წლის ნოემბერში ამოქმედდება სრულფასოვნად საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც, 2020 წლის შემდეგ არჩევნები უკვე ჩატარდება სრულად პროპორციული სისტემით“. — ეს განცხადება პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და „ქართული ოცნების“ მოქმედ აღმასრულებელ მდივანს ირაკლი კობახიძეს ეკუთვნის, კაცს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საარჩევნო სისტემის ცვლილებების შესახებ მოლაპარაკებებში. მას შემდეგ კი, რაც პარლამენტმა კანონი ჩააგდო, დაბეჯითებით მოუწოდებდა ოპოზიციურ პარტიებს, წინასაარჩევნო კამპანია დაეწყოთ, რადგან სხვა შანსი, უბრალოდ, არ არსებობდა და ახალი მოლაპარაკებები აღარ გაიმართებოდა.**



მხოლოდ **კობახიძე** არა, იმავეს იმეორებდა ქვეყნის მმართველი **ბიძინა ივანიშვილი,** დედაქალაქის მერი **კახა კალაძე.** საზოგადოდ, „ოცნების“ ყველა ჩინიანი თუ უჩინო ერთ ხმაში ამტკიცებდა, რომ არჩევნები 73/77 სისტემით ჩატარდებოდა და ამას ალტერნატივა არ ჰქონდა. მაგრამ — **„ოცნება“ ბჭობდა, ამერიკის ელჩი იცინოდაო.** ჰო, ამერიკის ელჩი წინა ხელისუფლებისთვისაც ღმერთი იყო და ახალი ხელისუფლებისთვისაც ღმერთია. მერე რა, რომ ელჩები პერიოდულად იცვლებიან, თაყვანისცემის პროცესი არ ნელდება და მუხლზე დაჩოქილი ქართველი პოლიტიკოსები კიდევ არაერთხელ მოწმენდენ ამერიკის საელჩოს შესასვლელს.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, **ადამ კინზინგერის** განცხადებას გაგაცნობთ. ის ამერიკის კონგრესში საქართველოს მეგობარი ჯგუფის ხელმძღვანელია.

**„პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ვალდებულება ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოებამ და უფრო მეტიც, ქართველმა ხალხმა დააკისრა. იმედი მაქვს, ეს სიტუაცია გამოსწორდება და გამოსწორდება ძალიან მალე. როდესაც რეგიონს ვუყურებთ, მნიშვნელოვანია დავიმახსოვროთ, რომ რუსეთი კრახს განიცდის თავისი რეპრესიული მმართველობის გამო. საქართველო არ არის რუსეთი და ქართველი ხალხი ითხოვს და იმსახურებს იმაზე მეტს, ვიდრე ეს პარლამენტმა აჩვენა“,** — განაცხადა მისტერ ადამმა.

ჯერ იმით დავიწყოთ, რომ **რა იცის კინზინგერმა, რას იმსახურებს და რას არა ქართველი ხალხი?** ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ პარლამენტის ის წევრები, რომლებმაც კანონი ჩააგდეს, მაჟორიტარი დეპუტატები არიან. მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მათ თქვეს, რომ თავიანთ ამომრჩეველს დაეკითხნენ და სწორედ მათგან მიიღეს დავალება, კანონპროექტი არ გასულიყო. ე.ი. **პარლამენტარებმა იმოქმედეს ამომრჩევლის, ქართველი ერის მოთხოვნის შესაბამისად და კინზინგერმა კიდევ თავისი განცხადებით პირდაპირ თქვა, რა ერი და ბერი, მთავარია, მე რა მინდაო.** რაც შეეხება რუსეთის კრახს, ეს ცალკე თემაა. კრახგანცდილ რუსეთს აგერ უკვე მერამდენე წელია, ეჭიდავება ცალკე ამერიკა და ცალკე „პრადვინუტი“ ევროპა, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს.

კინზინგერის განცხადების შემდეგ ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა დალალები (აქვს) გაიშალა და ხელისუფლება თუ ოპოზიცია თავის რეზიდენციაში გამოიძახა. სანამ ქალბატონ კელის მოსასმენად შევიდოდნენ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ომახიანად განაცხადეს, საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე საუბარი არ იქნება, 73 მაჟორიტარს ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის, ეს კონსტიტუციის დარღვევა იქნება და საუბარი, სავარაუდოდ, საარჩევნო ბარიერს შეეხებაო. მმართველი გუნდის ლიდერები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ რაიმეს შეცვლა კონსტიტუციის დარღვევა იქნებოდა. მოკლედ, შევიდნენ დეგნანთან სასაუბროდ და...

„როგორც აღმოჩნდა, მოლაპარაკების რესურსი კვლავ არსებობს და შეხვედრები შემდგომშიც გაგრძელდება“,— ასეთი იყო ხელისუფლების ნირწამხდარ წარმომადგენელთა შემდგომი განცხადებების საერთო პათოსი.

ორი ვარიანტია: **ან ამერიკის ელჩმა უკეთესად იცის საქართველოს კონსტიტუცია, ვიდრე საქართველოს პარლამენტის წევრებმა, ან მან პირდაპირ უთხრა მათ, მე და კინზინგერს გვკიდია თქვენი კონსტიტუცია, როგორც გეტყვით, ისე იქნებაო. უფრო რეალური მეორე ვარიანტია, რადგან საეჭვოა, ქალბატონ კელი დეგნანს ქართული კანონების კითხვით თავი შეეწუხებინა, თანაც ძალიან კარგად იცის, რომ მთავარი კანონმდებელი საქართველოში თვითონაა და რატომ იწვალოს სხვისი ნაჯღაბნის კითხვით?**

პირველ შეხვედრას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ნელ-ნელა იკაკვებოდნენ წელში მმართველი გუნდის ლიდერები. საბოლოოდ, ოპოზიციამ კი არა, ამერიკის ელჩმა გაიტანა თავისი და სასაცილო კანონი შემოგვაჩეჩა. ახლავე გეტყვით, რატომ არის ეს კანონი სასაცილო: **30 მაჟორიტარი ნიშნავს იმას, რომ საუკეთესო შემთხვევაში, ერთმა მაჟორიტარმა 100 ათასი ადამიანის ინტერესები უნდა დაიცვას,**

**რეალობამ ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენ, რიგითი ადამიანები, არავის ვირჩევთ და არაფერს ვწყვეტთ. ყველაფერი მიდის ისე, როგორც ამერიკას სურს და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერთან ერთად, დეგნანი ქართველ პოლიტიკოსებს იმასაც ეტყოდა, ვინ რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს არჩევნებზე და რომელ პარტიას რამდენი დეპუტატი უნდა ჰყავდეს ახალ პარლამენტში**

**ასი ათასი ადამიანის პრობლემა ერთმა კაცმა უნდა შეისწავლოს და რეაგირება მოახდინოს. ამ ასი ათასიდან, ნახევარმა კი არა, მეოთხედმაც (25 ათასმა) რომ მოინდომოს თავის რჩეულთან შეხვედრა, ფიზიკურად ვერ მოახერხებს.** გამოდის, რომ არაფრისმომცემია ეს 30 მაჟორიტარი და იმიტომ შეგვაჩეჩეს, რომ ხელისუფლების „გაფარჩაკება“ ბოლომდე არ გამოჩენილიყო. ნამუსი მოწმინდეს და რამდენიც უნდა ვიძახოთ, „მეფე შიშველია“-ო, მაინც გვეტყვიან, კომპრომისულ ვარიანტზე შევთანხმდითო. ჰო, კინზინგერი უნდა ვახსენოთ ისევ, მემორანდუმზე ხელის მოწერის შემდეგ კინზინგერმა განაცხადა, თუ მემორანდუმი კანონად არ იქცევა, ისეთ რამეს მოვიმოქმედებთ, ყველა გაოცდებაო. „ისეთ რამეში“, ალბათ, მორიგი რევოლუცია იგულისხმება, რადგან უკვე ბავშვმაც კი იცის, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის უკან სწორედ შტატები იდგა კინზინგერის მამა და მარჩენალი ჯონ მაკკეინის მეთაურობით.

ასე და ამგვარად, **საქართველოს უზენაესი კანონი ყველას ერთად და გნებავთ, ცალ-ცალკე თავზე გადაგვახიეს და, რაღა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ოფიციალურადაც გააფორმებენ.** ხელისუფლების წარმომადგენლები ველარ ახსენებენ კონსტიტუციას, ველარ აკეთებენ ისეთ რიხიან განცხადებებს, როგორსაც მანამდე და მხოლოდ გაიძახიან, ამ კოდექსითაც დიდი უპირატესობა გვაქვს და დამაჯერებლად გავიმარჯვებთო. არადა, უკვე დამარცხებულები არიან, დამარცხებულები ამერიკის ელჩთან და ყველაზე კარგად სწორედ მათ უნდა ესმოდეთ, რომ სახელმწიფოს კი არ აშენებენ, **სახელმწიფოებრიობანას თამაშობენ** ამერიკელების ნებართვით. საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები ძალიან გვანან იმ ბავშვებს, რომლებიც როცა რაღაცაზე ხმაურს ატეხენ, ოთახის კარს უფროსი შემოუღებს, დატუქსავს, ყველას თავ-თავის ადგილს მიუჩენს და აიძულებს, იმ წესებით ითამაშონ, რომლებიც მას სურს. სწორედ ასე შეალო ქართული პოლიტიკის

**არის თუ არა ეს მონობა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით? რა თქმა უნდა, არის და ვინც საპირისპიროს დამტკიცებას შეეცდება, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის უმაღლესი პირების 1-2 თვის წინანდელ და ამჟამინდელ განცხადებებს გადაავლოს თვალი. ისინი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება და ეს განსხვავება სწორედ ამერიკის ელჩთან შეხვედრის შემდეგ გაჩნდა**

კარი სულ რაღაც ოთხიოდე თვის წინათ დანიშნულმა დეგნანმა და „რჩეული ვაჟკაცები“ დააჩოქა.

ისევ შედარება უნდა გავაკეთოთ: **რუსეთის ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს რომ ეთქვა, მე მაქვს საქართველოს საარჩევნო კოდექსზე კარგი იდეა, იქნებ მომისმინოთო, რა მოხდებოდა?! ქართული პოლიტიკის „რაინდები“ რიგში დადგებოდნენ მის გასაკრიტიკებლად, ამერიკა ამ განცხადებას საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევად მონათლავდა და რუსეთს კიდევ ერთხელ გამოაცხადებდა უდიდეს მტრად და საფრთხედ.** არადა, ნათლად დავინახეთ, რომ ჩვენ, რიგითი ადამიანები, არც არავის ვირჩევთ და არც არაფერს ვწყვეტთ. ყველაფერი მიდის ისე, როგორც ამერიკას სურს და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერთან ერთად, დეგნანი ქართველ პოლიტიკოსებს იმასაც ეტყოდა, ვინ რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს არჩევნებზე და რომელ პარტიას რამდენი დეპუტატი უნდა ჰყავდეს ახალ პარლამენტში.

არის თუ არა ეს მონობა ამ სიტყვის ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობით? რა თქმა უნდა, არის და ვინც საპირისპიროს დამტკიცებას შეეცდება, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის უმაღლესი პირების 1-2 თვის წინანდელ და ამჟამინდელ განცხადებებს გადაავლოს თვალი. ისინი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება და ეს განსხვავება სწორედ ამერიკის ელჩთან შეხვედრის შემდეგ გაჩნდა. ისე, ამერიკის ელჩამდე ქართველ პოლიტიკოსებს ევროპელი ელჩებიც შეხვდნენ ასევე არაოფიციალურად, მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკული მათრახი უფრო მწარეა და სანამ დეგნანმა არ გადაუჭირა, მანამდე გონს ვერ მოეგნენ.

მოვა 2020 წლის ოქტომბერი, წავა ქართველი ხალხის ნაწილი არჩევნებზე, დაიჯერებს ან არ დაიჯერებს დაპირებებს და საბოლოოდ, დამდგარი შედეგი ამერიკას თუ არ მოეწონა, კინზინგერის მეთაურობით მორიგი რევოლუცია აგორდება. ჩვენ კი ყველა შემთხვევაში შევუყვებით ისევ იმ აღმართს, რომელზეც რამდენიმე წელია, მივდივართ და ბოლო არ უჩანს. ჰო, ამ აღმართზე ნატოსა და ევროკავშირის კარზეც ვაკაკუნებთ ხოლმე, თუმცა როგორც **დიდი ილია** იტყოდა, **„არსაიდან ხმა, არსით ძახილი...“**

**P.S. და კიდევ — „ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა“.**

**ბესო ბარბაქაძე**

**„ეს არის მკაფიო გზავნილი საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომ მათ არავინ ეკითხებათ, როგორი სახელმწიფო სურთ. ჩემი აზრით, საქართველო, მას შემდეგ, რაც ვითომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ქაღალდზე გვაღიარეს, ამაზე შეურაცხყოფილი არასოდეს ყოფილა. ეს არის პირდაპირ განცხადება, რომ ერთი დამნაშავე უგულავა უფრო მნიშვნელოვანია ე.წ. ცივილიზებული მსოფლიოსთვის, ვიდრე სრულიად საქართველო“.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნანა კაკაბაძე: გვჭირდება ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ხმამაღლა იტყვის, რომ საქართველო არავის კოლონია არ არის

**მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ხელისუფლებამ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციასთან შეთანხმებას მიაღწია და რიგ საკითხებზე პოზიციების შეჯერება შეძლო, პროცესში ჩართულმა გავლენიანმა დასავლელმა ლიდერებმა შეთანხმების ტესტად რამდენიმე გარემოება დაასახელეს, მათ შორის, ოპონენტების წინააღმდეგ „პოლიტიკური დევნის“ შეწყვეტა, „სამართლიანი პოლიტიკური გარემოს“ შექმნა და გიგი უგულავას გათავისუფლება. მეტიც, შეთანხმების მიღწევიდან მალევე 11-მა ევროპარლამენტარმა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ვრცელი წერილი მისწერა, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სანამ უგულავა პატიმრობაში რჩება, ქვეყანაში ვითარების დეესკალაცია შეუძლებელია.**

თუმცა ამ წერილის შემდეგ მმართველმა გუნდმა კიდევ უფრო მკაცრი გზავნილი მიიღო ევროპის სახალხო პარტიის ვიცეპრეზიდენტისგან. ზიგფრიდ მურეშანი მედიასთან უკვე სანქციებზეც ალაპარაკდა და დასძინა, რომ, თუ ხელისუფლება უახლოეს მომავალში „პოლიტიკურ დევნას“ არ შეწყვეტს, რაც უგულავას დაუყოვნებლივი გათავისუფლებით უნდა დადასტურდეს, თითოეული პირი, რომელიც ამ დაძაბულობას ქმნის, უმკაცრესად აგებს პასუხს. თუმცა ვიცეპრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რა სახის პოლიტიკური სასჯელი შეიძლება დაეკისროთ ურჩ ხელისუფალთ, რომლებიც „შეთანხმების ტესტს“ ზედმიწევნით არ ასრულებენ და უგულავას გათავისუფლებას არ ჩქარობენ.

**რატომ არის დღეს „დემოკრატიული დასავლეთისთვის“ 48 მილიონი ლარის გაფლანგვაში მხილებული გიგი უგულავას გათავისუფლება „ქართული დემოკრატიის ტესტი“ და რა სადამსჯელო მოქმედებები შეიძლება ელოდეს ქვეყანას მისი (დამნაშავის) არგათავისუფლების შემთხვევაში? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, ევროპარლამენტარებმა უკვე საჯაროდ დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლების მიერ ოპოზიციასთან მიღწეული შეთანხმების შესრულების ტესტი დამნაშავე გიგი უგულავას გათავისუფლება იქნება. ამით, პრაქტიკულად, გვეუბნებიან, რომ, თუ უგულავა დაუყოვნებლივ არ იქნება გათავისუფლებული, შეთანხმება შესრულებულად არ ჩაითვლება, რაც, თურმე, ქართული დემოკრატიისთვის დიდი დარტყმაა. რას ნიშნავს ეს რიტორიკა, რა გზავნილია ეს საქართველოსთვის?**

— უწინარესად ვიტყვი, რომ ძნელად მახსენდება ისეთი კრიტიკული და შემაშფოთებელი პერიოდი ჩვენი ქვეყნისთვის, როგორიც ახლაა. **ამერიკისა და ევროპის მაღალჩინოსნები საქართველოს, სამწუხაროდ, უკვე აღარ უყურებენ, როგორც დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს. რიტორიკა, რომ უგულავა დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან და თურმე ამაზე გადის ქართული დემოკრატიის ტესტი, კოლონიისადმი შუასაუკუნეობრივი მიდგომაა.**

რაც შეეხება შეკითხვას, რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის, ვფიქრობ, პირველ რიგში, **ეს არის მკაფიო გზავნილი საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომ მათ არავინ ეკითხებათ, როგორი სახელმწიფო სურთ. ჩემი აზრით, საქართველო, მას შემდეგ, რაც ვითომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ქაღალდზე გვაღიარეს, ამაზე შეურაცხყოფილი არასოდეს ყოფილა. ეს არის პირდაპირ განცხადება, რომ ერთი დამნაშავე უგულავა უფრო მნიშვნელოვანია ე.წ. ცივილიზებული მსოფლიოსთვის, ვიდრე სრულიად საქართველო.** ჩემი აზრით, ამის გამო ყველა ღირსეული მოქალაქე და განსაკუთრებით ის ადამიანები, ვინც წლების განმავლობაში, მათ შორის საბჭოთა კავშირის პერიოდშიც იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის, ფეხზე უნდა დადგეს; დიდი და პატარა უნდა გამოვიდეს საკუთარი ღირსების დასაცავად, იმიტომ, რომ ეს უკვე ეროვნული ღირსების საქმეა. წინააღმდეგ შემთხვევაში დავრჩებით ამ მონურ, შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში და, რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რეალურად ეს დამოუკიდებლობა დარჩება ფარატინა ქაღალდად.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ გარკვეულმა დასავლურმა ძალებმა ერთხელ და სამუდამოდ შეწყვიტონ საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა?**

— მე არ მიცხოვრია გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, მაგრამ ვიცხოვრე 70-იანებში და მინდა გითხრათ, რომ **ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში არ ხდებოდა ისეთი დაუფარავი ჩარევა ქართულ პოლიტიკაში, როგორიც დღესაა. ჩვენ უკვე ვიმყოფებით ერთგვარი პოლიტიკური ტერორისა და დიქტატურის პირობებში, რომელსაც სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადებული გარე ძალები შეუნიღბავად ახორციელებენ.**

> **მინდა გითხრათ, რომ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში არ ხდებოდა ისეთი დაუფარავი ჩარევა ქართულ პოლიტიკაში, როგორიც დღესაა. ჩვენ უკვე ვიმყოფებით ერთგვარი პოლიტიკური ტერორისა და დიქტატურის პირობებში, რომელსაც სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადებული გარე ძალები შეუნიღბავად ახორციელებენ**

სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსი არ რეაგირებს ზოგიერთი დასავლელი მაღალჩინოსნის დაჟინებულ მოთხოვნაზე, დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს უგულავა, ვფიქრობ, ძალიან ცუდი სიგნალია. ეს უკვე ნიშანია იმისა, რომ არსებობს შეთანხმება „ნაცმოძრაობის“ ხელშეუხებლობის შესახებ. „ნაცმოძრაობას“ ვეძახი მე იმ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, რომლის შემადგენლობაშიც 22 პარტიაა.

ახლა რა უნდა გავაკეთოთ. უწინარესად, უნდა გამოიკვეთოს ადამიანების ჯგუფი, რომელიც შექმნილ ვითარებას გააანალიზებს და საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი და რა შედეგები შეიძლება უახლოეს მომავალში მოგვიტანოს.

**— კი მაგრამ, საზოგადოება ხომ ისედაც ხედავს დასავლეთის უხეშ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში?**

— ვერ დაგეთანხმებით. ჩვენი საზოგადოება დღეს იმყოფება სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში. იმიტომ, რომ მედია პოლიტიკურად უკიდურესად პოლარიზებულია. რაც შეეხება ინფორმირებულობას, ვფიქრობ, ჩვენ დღეს უნდა ვიყოთ დაახლოებით იმ რეჟიმში, როგორშიც ვიყავით 1990-იან წლებში, როცა იწყებოდა ეროვნული მოძრაობა და დამოუკიდებლობისთვის ვემზადებოდით. მართალია, მაშინ ვერ მივიღეთ რეალური დამოუკიდებლობა და დღემდე არ გვაქვს, მაგრამ დღესაც ზუსტად ისე უნდა ხდებოდეს საზოგადოების ეროვნული თვითშეგნების ამაღლება. კიდევ ვიმეორებ: **დღეს საქართველოს მის მიერვე მეგობრად და პარტნიორად გამოცხადებული დემოკრატიული დასავლეთი გარკვეული მაღალჩინოსნების პირით ეუბნება, რომ მას არ სჭირდება სამართალი, არ სჭირდება დამნაშავეების დასჯა** და რასაც გვიკარნახებს, უსიტყვოდ უნდა შევასრულოთ, თუნდაც ეს კარნახი 48 მილიონის გამფლანგველი დამნაშავის გათავისუფლებას გულისხმობდეს. ქართველ ხალხს ასეთი სახელმწიფოსთვის არ უბრძოლია და არ დაუღვრია სისხლი თუნდაც 9 აპრილს. **ჩვენ დღეს გვჭირდება ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი, მოძრაობა, რომელიც ხმამაღლა იტყვის, რომ საქართველო არავის კოლონია არ არის.**

**— დღევანდელ ვითარებაში ხედავთ ასეთი მოძრაობის ჩამოყალიბების პერსპექტივას?**

— ერთ რამეში ვარ დარწმუნებული და ამას, ალბათ, ყველა ნათლად ხედავს: დღეს საქართველოში ხელისუფლება, მით უმეტეს, ოპოზიცია არაფერს არ აკეთებს, რომ ჩვენი ეროვნული ღირსება, ეროვნული პატივი და სისხლით მოპოვებული თუნდაც ფორმალური დამოუკიდებლობა დაიცვას. კიდევ ვიმეორებ: 9 აპრილს და მერეც იმისთვის არ დახოცილა ხალხი, რომ წლების შემდეგ ამ ვითომ დამოუკიდებელ საქართველოში სასამართლოს ყურის აწევით ელაპარაკონ ვილაცები უცხოეთიდან. არც ერთ სახელმწიფოს დედამიწის ზურგზე, როგორი მასშტაბისაც უნდა იყოს ის მსოფლიოს რუკაზე, უფლება არ აქვს, კოლონიალიზმის რიტორიკით გველაპარაკოს. პერსპექტივას რაც შეეხება, ვფიქრობ, ამ პერსპექტივის ერთადერთი განმსაზღვრელი დღეს საზოგადოებაა. **თუ საზოგადოება დაუშვებს იმას, რომ ვიყოთ დასავლეთის პოლიტიკური დიქტატურის ქვეშ, მაშინ ეს დიქტატურა კიდევ უფრო შეურაცხმყოფელ და თავზე ლაფის დამსხმელ ფორმას მიიღებს.** თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესები ჩვენს საზოგადოებაში ნელ-ნელა გამოიწვევს მუხტის აწევას. **მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მედიაველი, პრაქტიკულად, არ არსებობს და ადამიანები, ფაქტობრივად, ინფორმაციულ ვაკუუმში არიან, მოსახლეობის რაღაც ნაწილი პროცესების ობიექტურად აღქმას მაინც ახერხებს.** ჩვენ თავიდანვე დავუშვით შეცდომა, როცა დასავლეთის კოლონიზატორული პოლიტიკა არ ვამხილეთ და არ დავიწყეთ საერთო სახალხო ფართომასშტაბიანი პროტესტი. **ამ კოლონიზატორული პოლიტიკის გამოხატულება იყო თავის დროზე, მაგალითად, ის, რომ ხელისუფლების შეცვლისთავანე გარკვეულმა დიპლომატიურმა სამსახურებმა „ნაცმოძრაობის“ ხელშეუხებლობაზე დაიწყეს მინიშნებების კეთება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სააკაშვილი პოლიტიკური დევნის მსხვერპლად გამოაცხადეს და ხელისუფლებას სამართლებრივი კომპლექსები აკიდეს...**

**— ისე, გარკვეულწილად, ხელისუფლების ბრალიც არ არის ის, რომ დღეს ქვეყანა, ფაქტობრივად, უცხოეთიდან იმართება და მართლმსაჯულებას დამნაშავეების გასამართლების საშუალება არ აქვს?**

— რა თქმა უნდა, ეს არის ხელისუფლების უნიათობის, მისი უსუსურობისა და სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოტყუების შედეგი. სახელმწიფო, პრაქტიკულად, გაურიგდა დანაშაულებრივ პოლიტიკურ სუბიექტებს. თუმცა მათ ვერ გაითვალისწინეს ერთი რამ: **ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობა დამნაშავეებთან, მით უფრო, ხალხის ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე, ყოველთვის იწვევს მძიმე უკუშედეგს. აი, ეს მიიღო რეალურად „ქართულმა ოცნებამ“ და ტერორი, რომელსაც დღეს მასზე დასავლური ძალები ახორციელებენ, არის ზუსტად ამის გამოხატულება.**

საზოგადოებას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, დასჯილი და დაზარალებული ვართ თითოეული ჩვენგანი, მაგრამ ვითარების გამოსწორების შესაძლებლობა, ვფიქრობ, ჯერ კიდევ არსებობს. ვიმეორებ, **ჩვენ დღეს დასაცავი გვაქვს ჩვენი ეროვნული ღირსება, პატივი და თავმოყვარეობა, რომელსაც გვილახავენ და ფეხქვეშ გვითელავენ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დასავლელი მფარველები. თუ ამაზე ხმას არ ამოვიღებთ, ეს ადამიანები კიდევ უფრო შორს წავლენ. მერწმუნეთ, ისინი იქამდეც მივლენ, რომ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ მობრუნებას რეალურად მოინდომებენ, პოლიტიკურად დამონებული და გაყიდული ხელისუფლება კი ამ პროცესის მონაწილე იქნება...** სხვათა შორის, ამ ჩვენს „დასავლელ კეთილისმსურველებს“ მინდა ვკითხო, ხელისუფლებას რომ „ოპონენტების დევნის“ შეწყვეტისკენ მოუწოდებენ და გაიძახიან, სასამართლო პოლიტიკური ელფერისგან თავისუფალი უნდა იყოსო, რანაირად უნდა იყოს ეს ყველაფერი პოლიტიკური ელფერისგან თავისუფალი, როცა პრეზიდენტს სანქციებით ემუქრები უგულავას არშეწყალების შემთხვევაში?! **პოლიტიკური ელფერი არ არის ის, რომ კაცზე, რომელსაც სახელმწიფო 48 მილიონის გაფლანგვას ედავება, გაიძახით, გამოუშვითო?!** აი, ეს არის მათი ორმაგი სტანდარტი და როდესაც საზოგადოების ინფორმირებაზე ვლაპარაკობ, ამ ორმაგი სტანდარტის მხილებასაც ვგულისხმობ. **ყველამ უნდა იცოდეს, რომ დასავლელი „პარტნიორების“ სახით დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ტიპურ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დამპყრობლებთან, რომელთა მსგავსიც საქართველოს ახლო წარსულში და შორეულშიც ბევრი არ ახსოვს.** თუ რეალური დამოუკიდებლობისთვის არ ვიბრძოლებთ, ჩვენი პერსპექტივა ნულია, ჩვენ ყოველთვის დავრჩებით კოლონიად, რომელსაც მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე ექნება დამოუკიდებლობა...

ესაუბრა **ჯაბა ჭუანია**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველომ უნდა შეიგნოს ერთი რამ — პოლიტიკაში ყველაფერი წყდება ვაჭრობით. თუ შენი პრობლემის გადაჭრით მხარეები არ დააინტერესე, ლამაზი თვალებისა და ე.წ. კარგი დემოკრატობისთვის მხარს არავინ დაგიჭერს. თუ არ ვიმოქმედეთ, დახმარებაზე და მხარდაჭერაზე საუბარი გულუბრყვილობაა“.**

# თამარ კიკნაძე: როდესაც საქართველო ჩრდილოატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიილტვის და ზურგს აქცევს რუსეთს, ამით ბევრს კარგავს

## «დაიშლება რუსეთი და ჩვენი ქვეყანაც შესაძლოა, მიყვეს, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოც ზედ მიყვა»

**9 მარტს ავსტრიის დედაქალაქიდან გავრცელებულმა ცნობებმა ნავთობის ინდუსტრია შეაშფოთა. ამ დღეს ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციის სხდომაზე ცნობილი შეიქნა, რომ 2016 წელს შექმნილი რუსეთისა და საუდის არაბეთის ალიანსი ჩაიშალა. სწორედ ამ ალიანსის მეშვეობით კონტროლდებოდა ნავთობის ფასი ბოლო 4 წლის განმავლობაში. ინფორმაციის გავრცელებიდან მალევე ნავთობის ფასი 10%-ით შემცირდა. კიდევ უფრო გაიაფდა 9 მარტს — თითქმის 30%-ით.**

**ნავთობის ექსპორტიორი სახელმწიფოების ორგანიზაციის (ოპეკი) სხდომაზე ფასების შესანარჩუნებლად არაბები მოპოვების შემცირების წინადადებით გამოვიდნენ. კორონავირუსის გავრცელების გამო ბოლო თვეებში ნავთობზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირებულია და ნაკლები რაოდენობის მოპოვებით ექსპორტიორები ფასების შენარჩუნებას ცდილობენ.**

**რუსეთმა ნავთობის მოპოვების შემცირებაზე უარი თქვა და შეთანხმება ვერ შედგა — საუდის არაბეთის წინადადება ჩავარდა. ვერ შედგა კონსესუსი ძველი გარიგების გაგრძელებაზეც. ნავთობის მოპოვების ჯერ კიდევ მოქმედი ლიმიტები 2016 წელს დაწესდა და დღე-ღამეში მოპოვების 2,1 მილიონი ბარელით შემცირებას გულისხმობდა. ამრიგად, ვერ შედგა ახალი შეთანხმება და დაირღვა ძველი გარიგებაც. ეს ინფორმაცია სასიხარულო აღმოჩნდა რუსოფობებისთვის. ქართული, ლიბერალური პრესა წერს: „კომუნისტური პარტიის მანიფესტის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, შეიძლება ითქვას, რომ „აჩრდილი დაძრწის კრემლში, აჩრდილი 1986 წლისა“. 1986 წლის შუაში ბარელ ნავთობზე ფასი 10 დოლარამდე დაეცა, მაშინ, როცა 1985 წლის ბოლოს ის დაახლოებით 30 დოლარი ღირდა. ფასების ამ დრამატულმა დაცემამ სასიკვდილო დარტყმა მიაყენა საბჭოთა ეკონომიკას და დააჩქარა იმპერიის დაშლა“. ლიბერალები ნავთობის გაიაფების გამო რუსეთის ფედერაციის დაშლის მოლოდინში არიან.**

**საქართველო პანდემიას ებრძვის, ამასობაში კი გუგლ-ის რუკაზე საქართველოს საზღვრები შეიცვალა — დავითგარეჯა აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა...**

**ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე და ანალიტიკოსი ვალერი კვარაცხელია გვესაუბრებიან.**



### «ყველას უნდა ახსოვდეს, რომ რუსეთი ძალიან დიდი ქვეყანაა და მისი იგნორირება საერთაშორისო პოლიტიკაში ყოვლად წარმოუდგენელია, დაშლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია»

**თამარ კიკნაძე, პოლიტოლოგი:**

— რუსეთმა საუდის არაბეთის შეთავაზებაზე უარი განაცხადა. ფასების შესანარჩუნებლად არაბები მოპოვების შემცირების წინადადებით გამოვიდნენ. ნავთობის ფასზე სხვადასხვა გარემოება მოქმედებს, ამჯერად ეს კორონავირუსის გამო მოხდა. ბოლო თვეებში ნავთობზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად არის შემცირებული და მოპოვების კლებით ექსპორტიორები ფასების შენარჩუნებას ცდილობენ.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის სხდომაზე, საუდის არაბეთის წინადადებით, ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის რუსეთსაც, ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში ჯამურად 1,5 მილიონი ბარელით უნდა შეემცირებინათ. რუსეთის წილი ამ შემცირებაში, თუ არ ვცდები, 500 ათასი ბარელით იყო განსაზღვრული. რუსეთმა მოპოვების შემცირებაზე უარი განაცხადა.

უნდა ითქვას, რომ **ნავთობის ასეთი დაბალი ფასი არ არის ხელსაყრელი არც ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რადგან ფიქლური აირის მოპოვება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ნავთობის.**

რუსეთს თავისი ნავთობის ბიუჯეტი ბარელზე 40-42 დოლარზე აქვს გათვლილი, დანარჩენი რაც რჩება, სარეზერვო ფონდში მიდის. ახლა ნავთობის ფასი თითქმის 32-30 დოლარამდე დაეცა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ამბობს, რომ სარეზერვო ფონდიდან დახარჯავს ფულს. რუსების გათვლით, ნავთობზე ასეთი დაბალი ფასი დიდხანს ვერ შენარჩუნდება, ამიტომ ამის კომპენსაციას სწორედ სარეზერვო ფონდიდან მოახდენენ. დღევანდელ რუსეთს ნავთობზე ფასის დაცემა ვერაფერს დააკლებს. ასე რომ, ლიბერალებმა თუ რუსოფობებმა წინასწარი პროგნოზებისგან თავი შეიკავონ.

**— რატომ ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირი ნავთობზე ფასის დაცემამ დაშალა?**

— ნავთობის გაიაფება იყო ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლისა და არავითარ შემთხვევაში — ერთადერთი... მან, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს სწავლობს, კარგად იცის, რომ უდიდესი ქვეყნის დაშლის პროცესს ხელი შეუწყო იმჟამინდელმა ელიტამ. 1970-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირმა ნავთობისა და ბუნებრივი აირის ინტენსიური გაყიდვა დაიწყო, ქვეყანაში ძალიან დიდი ფული შემოდიოდა, პარტიული ელიტა კი საბჭოთა კავშირში არსებული წესების გამო, ფულს საჯაროდ ვერ აჩენდა. იმხანად აკრძალული იყო ზედმეტი ბინის ქონა, ზედმეტი მანქანის ყოლა, მაგრამ ელიტა ხედავდა, როგორ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ დასავლეთში. მათ ეგონათ, თუკი დაშლიდნენ საბჭოთა კავშირს, თვითონაც დასავლური ელიტის შემადგენელი ნაწილი გახდებოდნენ და იცხოვრებდნენ ფუფუნებაში, მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად წაიყვანა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესიც და რუსეთის ბედიც.

როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა, მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ თვითონ ამერიკელებსაც არ აძლევდათ ხელს. ცნობილია, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა ამერიკელების პროექტია, რათა მსოფლიოში ბალანსი შეენარჩუნებინათ...

რუსები ძალიან პრაგმატულად იქცევიან, და ამერიკის პრეზიდენტსაც სურს, ითანამშრომლოს რუსეთთან. ამას ტრამპი არც მალავს.

გასული საუკუნის ბოლოს ამერიკელებმა აქტიურად ითანამშრომლეს ჩინეთთან, შედეგად ჩინური ეკონომიკა აღორძინდა, მაგრამ შეიცვალა ვითარება და ახლა ჩინეთი ამერიკის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე და პოტენციური ლიდერია ეკონომიკაში. გეოპოლიტიკური კანონების თანახმად ამერიკას ხელს აძლევს რუსეთთან თანამშრომლობა ჩინეთის საპირწონედ.

რუსეთის დაშლაზე საუბარი დიდი სიბეცეა, რუსეთის გარეშე დღეს ევროპას ძალიან გაუჭირდება. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ რუსეთი ძალიან დიდი ქვეყანაა და მისი იგნორირება საერთაშორისო პოლიტიკაში წარმოუდგენელია, დაშლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**— მართალია, დღეს ქვეყანა სულ სხვა გამოწვევის წინაშეა, კორონავირუსს ვებრძვით, მაგრამ ეს ყველაფერი ჩაივლის და დავდგებით რეალობის წინაშე — დავითგარეჯა გუგლის რუკაზე უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. ეს ამბავი ახლა არ დაწყებულა, დიდი ხანია, მიმდინარეობს აზერბაიჯანსა და ქართველებს შორის დავა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არც ევროპელ პარტნიორებსა და არც ამერიკას ჩვენი მხარდამჭერი განცხადება არ გაუკეთებიათ...**

— მოვითხოვოთ დასავლელი პარტნიორების თანადგომა, სისულელეა, რადგან პარტნიორებად წოდებულ ყველა ქვეყანას თავისი ინტერესი აქვს აზერბაიჯანთანაც. ვინც პოლიტიკას არ იცნობს, მისთვის ყველაფერი ადვილი სათქმელია. აზერბაიჯანიც ისეთივე მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროპისა და ამერიკისთვის, როგორც საქართველო. **საქართველომ უნდა შეიგნოს ერთი რამ — პოლიტიკაში ყველაფერი წყდება ვაჭრობით. თუ შენი პრობლემის გადაჭრით მხარეები არ დააინტერესე, ლამაზი თვალებისა და ე.წ. კარგი დემოკრატობისთვის მხარს არავინ დაგიჭერს. თუ არ ვიმოქმედეთ, დახმარებაზე და მხარდაჭერაზე საუბარი გულუბრყვილობაა.**

ჩვენ აზერბაიჯანთანაც უნდა ვივაჭროთ, ის დაინტერესებული უნდა იყოს, რომ დაგვითმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დათმობს. როგორც ჩანს, ჩვენმა ქვეყანამ შეცდომები დაუშვა და ეს არჩვეულებრივი ძეგლი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

სხვანაირი მექანიზმებია ასამოქმედებელი. ჩვენდა სამწუხაროდ, როდესაც საქართველო ჩრდილოატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიილტვის და ზურგს აქცევს რუსეთს, ამით ბევრს კარგავს, რადგან აზერბაიჯანიცა და სომხეთიც, ჩვენი მეზობელი ქვეყნები დსთ-სა და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრები არიან. როდესაც საქართველო ელაპარაკება აზერბაიჯანს, განყენებულად ერთ კონკრეტულ სახელმწიფოს არ ელაპარაკება, ამაზე საქართველო უნდა დაფიქრდეს — რამდენად ხელსაყრელია სახელმწიფოსთვის აღნიშნული რეგიონული ორგანიზაციების წევრობა. **ევროპას და ამერიკას თავისი პრობლემები აქვთ და საქართველო-აზერბაიჯანის საქმეში არ ჩაერევიან.**

### «არანაირი პარტნიორები საქართველოს არ ჰყავს, ჩვენ გვყავს თაღლითები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ინტერესებს ატარებენ ამ ქვეყანაში. ისინი არასოდეს არაფერს გააკეთებენ ჩვენს დასახმარებლად, ყველა მათგანი გლობალურ ინტერესებს ემსახურება»

### „რუსეთის დაშლა საქართველოს ერთიანობას პირდაპირ დაარტყამს“



**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

**— ლიბერალები და რუსოფობები ამბობენ, რომ ნავთობის მკვეთრად გაიაფება რუსეთის ფედერაციას დაშლის, ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა კავშირი დაშალა...**

— ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირი არ დაშლილა ნავთობის გაიაფების გამო, მეორე, ნავთობის დიდი ექსპორტიორი ქვეყანა ფასის მკვეთრად დაცემის გამო არ და ვერ დაიშლება, ასეთი რამ გამორიცხულია. ნავთობის ფასის შემცირების პროცესი დიდხანს ვერ გაგრძელდება, ფასების ცვლილება მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ისე, ვთქვათ, დაიშალა რუსეთი, ზოგიერთს რა უხარია?!

მიმოვიხედოთ, რა ხდება მსოფლიოში, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?! ქართველები ვსხედვართ და რუსეთის დაშლაზე ვსაუბრობთ, თითქოს რუსეთი დაიშლება და ამით საქართველოს ეშველება. დაიშლება რუსეთი და ჩვენი ქვეყანაც შესაძლოა, მიყვეს, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოც ზედ მიყვა, ჯერ სამ ნაწილად ვართ დაშლილი, მაგრამ რუსეთის დაშლას შესაძლოა ისეთი გლობალური კატასტროფა მოჰყვეს საქართველოსთვის, წარმოდგენაც რომ არ შეიძლება.

**— ჯერ სამ ნაწილად არის დაშლილი საქართველოო, — თქვით, გუგლის რუკაზე დავითგარეჯის მონასტერი აზერბაიჯანის შემადგენლობაშია, თუმცა ხმას არავინ იღებს და ჩვენი ე.წ. პარტნიორებიც ჩუმად არიან...**

— მოდით, ვთქვათ სიმართლე — **არანაირი პარტნიორები საქართველოს არ ჰყავს, ჩვენ გვყავს თაღლითები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ინტერესებს ატარებენ ამ ქვეყანაში. ისინი არასოდეს არაფერს გააკეთებენ ჩვენს დასახმარებლად, ყველა მათგანი გლობალურ ინტერესებს ემსახურება.**

საქართველოს რუკა ბევრნაირად არის შეცვლილი, არა მხოლოდ აფხაზეთი და ოსეთი მაქვს მხედველობაში. გარეჯა, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა — ეს ის რეგიონებია ხვალ რომ შეიძლება აფეთქდეს. საქართველოს ყველა მეზობელთან აქვს ტერიტორიული პრობლემა. საქართველოს დაშლის პროცესი დაწყებულია, დასრულებული — არა, ამიტომ რუსეთი თუკი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდება და, როგორც ვიღაცას სურს, დაიშლება, აი, მაშინ თქვით, რა მოხდება. რუსეთის დაშლა საქართველოს ერთიანობას პირდაპირ დაარტყამს.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**„სკეპტიციზმი ნატოსა და ევროკავშირისადმი განპირობებულია ორი მიზეზით: პირველი — რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ადამიანი ხედავს ამ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის უპერსპექტივობას. მეორე — არც ერთი და არც მეორე არ არის გარანტი იმის, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესები დაცული იქნება“.**

დასავლეთის «ძლევენი»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: ეს მრავალმილიონიანი დაფინანსებები დასავლეთისგან გათვლილია ერთადერთ რამეზე — შექმნან დაძაბულობა რუსეთის სამხრეთით

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყანაში სამხედრო დახმარების გამოყოფის შესახებ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად, 170 მილიონი დოლარი, ძირითადად, ოთხ ქვეყანაზე — უკრაინაზე, საქართველოზე, ლიეტუვასა და ლატვიაზე განაწილდება. ადმინისტრაციის განმარტებით, ეს ქვეყნები პრიორიტეტს იმიტომ წარმოადგენენ, რომ მათთან რუსეთიდან საფრთხის ალბათობა განსაკუთრებით დიდია.**

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მრავალმილიონიანი ფინანსური დახმარების მიზანი აგრესიასთან ერთად „რუსულ დეზინფორმაციასთან“ ბრძოლა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე მოსახლეობის დეტალური ინფორმირებაცაა, რომლის ნაკლებობის პირობებშიც, თურმე, კრემლის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში წარმოებული ე.წ. ჰიბრიდული ომის საფრთხეები განსაკუთრებით დიდია. თუმცა, რა სახის ბრძოლას და კამპანიას მოხმარდება ეს თანხები „რუსული დეზინფორმაციის“ წინააღმდეგ, უცნობია. განცხადებაში ასევე არაფერია ნათქვამი იმაზე, კონკრეტულად რაში გამოიხატება რუსული დეზინფორმაცია და რა საშუალებებით ახდენს იგი გავლენას ჩვენს მოსახლეობაზე.

**რისთვის ხარჯავს ათეულობით მილიონ დოლარს ამერიკის მთავრობა მის საზღვრებს გარეთ, რას ნიშნავს მისთვის რუსული საფრთხე და რას მოუტანს საქართველოს ამ პროცესში ჩართვა? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ამ დღეებში ცნობილი შეიქნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფულს გამოყოფს ევროპისა და აზიის ქვეყნების სამხედრო დახმარებისთვის. საუბარია 170 მილიონ დოლარზე, რომელიც ძირითადად საქართველოზე, უკრაინაზე, ლიეტუვასა და ლატვიაზე გადანაწილდება. როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს დღეს ვაშინგტონს რეალურად ამ დახმარების მიღმა და რას მოგვიტანს ან შეიძლება მოგვიტანოს ჩვენ ამ ყველაფერმა?**

— როდესაც საუბარია ევროატლანტიკური სტრუქტურებისადმი სკეპტიციზმის ზრდაზე, გარკვეული პროპაგანდა მუდმივად ცდილობს, წამოწიოს რუსული დეზინფორმაციის თემა და გვესმის რიტორიკა: ეს „დეზინფორმაცია“ რომ არა, საზოგადოებაში არავითარი სკეპტიციზმი არ იქნებოდაო. მაგრამ ეს არის აბსურდი, რომელსაც რეალური საფუძველი არ აქვს. **სკეპტიციზმი ნატოსა და ევროკავშირისადმი განპირობებულია ორი მიზეზით: პირველი — რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ადამიანი ხედავს ამ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის უპერსპექტივობას. მეორე — არც ერთი და არც მეორე არ არის გარანტი იმის, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესები დაცული იქნება.**

რაც შეეხება დაფინანსების მიზანს, ვფიქრობ, ეს არის მორიგი გამოწვევა დასავლეთსა და რუსეთს შორის. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მსგავსი დაფინანსება ყოველთვის მიმართულია მესამე ქვეყნის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, აშკარაა, რომ სამიზნეშია რუსეთი. **თუმცა ბოლო პერიოდში სირიაში განვითარებული მოვლენები და განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ სამხედრო სიძლიერის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთმა მოწინავე ქვეყანამ, თურქეთმა იქ ვერაფერი გააწყო, ადასტურებს, რომ რუსეთს საკმარისზე მეტი რესურსი აქვს მის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სამხედრო თუ პოლიტიკური კამპანიის აღსაკვეთად.**

**— გინდათ, თქვათ, რომ სამხედრო დახმარებამ, რომელსაც ვაშინგტონი საქართველოს უწევს, მომავალში შესაძლოა, საქართველო დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების არეალად აქციოს?**

— საქართველო უკვე მრავალი წელია, დაპირისპირების არეალია, მაგრამ არსებობს გარკვეული პერიოდები საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, როცა ეს დაპირისპირება აქტიურ ფაზაში გადადის ან შეიძლება, გადავიდეს. დაფინანსება და სამხედრო თვალსაზრისით ხელშეწყობა არის სწორედ ამის ერთ-ერთი სიმპტომი. რაც შეეხება იმას, რომ თურმე ეს ყველაფერი ჩვენს დასახმარებლად კეთდება და ქართულ ეკონომიკას აძლიერებს, **თუ ვინმე დაისახელებს თუნდაც ერთ საწარმოს ან ერთ კონკრეტულ ინვესტიციას, რომელიც ამერიკელებმა საქართველოში განახორციელეს, მაშინ მართლა შეიძლება, ეკონომიკურ ხელშეწყობაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ რეალურად ჩვენ ვხედავთ გაშმაგებულ სამხედრო რიტორიკას, ვხედავთ ისევ და ისევ პროვოკაციულ მიდგომებს და ვისმენთ განცხადებებს, რომ თურმე საქართველო უკვე მოქმედებს, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა.** რომელ ნატოს წევრობაზეა საუბარი, როცა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ამოცანა საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით განისაზღვრება. ეს ერთი და მეორე — **არავის ეგონოს, რომ ის მრავალმილიონიანი ფინანსური დახმარებები, რომლებსაც დასავლეთი უწევს საქართველოს, მათ შორის, სამხედრო კომპონენტში, არის საჩუქარი. ეს არის ვალი, რომელიც ედება სახელმწიფოს სხვადასხვა ვალდებულების სახით და მერე წლების განმავლობაში ჩვენ ვიმყოფებით ამ ვალდებულებების ტყვეობაში.**

**«არავის ეგონოს, რომ ის მრავალმილიონიანი ფინანსური დახმარებები, რომლებსაც დასავლეთი უწევს საქართველოს, მათ შორის, სამხედრო კომპონენტში, არის საჩუქარი. ეს არის ვალი, რომელიც ედება სახელმწიფოს სხვადასხვა ვალდებულების სახით და მერე წლების განმავლობაში ჩვენ ვიმყოფებით ამ ვალდებულებების ტყვეობაში»**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თქვენი აზრით, რა პოლიტიკური კურსია საქართველოსთვის დღეს ყველაზე ხელსაყრელი?**

— უკვე მრავალი წელია, მე და ჩემი თანამოაზრეები ვამბობთ, რომ დღევანდელ ვითარებაში საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელი სამხედრო მიუმხრობლობის პოლიტიკაა. ჩვენ, ჩვენი ურთულესი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება ვიყოთ ზესახელმწიფოების ინტერესთა შეჯახების პოლიგონი. ეს არის დამღუპველი ნებისმიერი ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის. იმიტომ, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა კონფლიქტში ყოველთვის ზარალდება მესამე. თუმცა არის მეორე მომენტიც, რომლის უგულებელყოფაც არ შეიძლება, **სამხედრო მიუმხრობლობის მიღწევა იმ პირობებში, როცა უკვე აღებული გაქვს ვალდებულებები, არ არის მარტივი. ეს ძალიან რთული პროცესია, რომელსაც სჭირდება სერიოზული ძალისხმევა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.**

რაც შეეხება, თავის მხრივ, ხელისუფლების მზადყოფნას ამისთვის, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ხელისუფალი უნდა განიხილავდეს ვერსიას, რომლითაც საქართველო დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს; დიდ გეოპოლიტიკურ ცენტრებს შორის დაპირისპირების პროცესში რომელიმე ცენტრისკენ სწრაფვისა და ვითომ ინტეგრირების დემონსტრირებით კი არა, მათი ინტერესების დაბალანსებით და ერთგვარი ხიდის როლის შესრულებით...

**— სამხედრო მიუმხრობლობა ახსენეთ და თქვით, რომ საქართველო თავის საგარეო პოლიტიკურ კურსს ეროვნული ინტერესების შესაბამისად უნდა განსაზღვრავდეს. როგორ ფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში საინტერესო ვიქნებით დასავლეთისთვის? გაგვიწევენ თუნდაც ფინანსურ დახმარებას?**

— ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა ლაბორატორიული მოდელი იმისა, რას ნიშნავს დახმარება შეერთებული შტატებისგან, როდესაც ერთგვარი „მარშალის გეგმა“ განხორციელდა აგვისტოს ომის შემდეგ და მაშინ მივიღეთ მილიარდებიანი დახმარება. ვინმეს შეუძლია, მითხრას, სად წავიდა ეს დახმარება? რაში დაგვეტყო, ეკონომიკაში, სამხედრო ძლიერებაში, ჯანდაცვაში თუ სხვა რამეში?

**— ამით რის თქმა გინდათ?**

— იმის, რომ ის თანხა მაშინ ძალიან სწრაფად აითვისა ხელისუფლებამ და შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა რეჟიმი, რომელსაც ძალაუფლება წლების განმავლობაში ჰქონდა უზურპირებული. სხვათა შორის, იმ მილიარდიან დახმარებას ძალიან საეჭვოდ დაემთხვა **დავით კეზერაშვილის** ფინანსური აღზევება. კაცი, რომელიც წაგებულ ომში თავდაცვის მინისტრი იყო, უცებ მოგვევლინა უმდიდრეს ადამიანად და სხვადასხვა კომპანიას ჩაუდგა სათავეში.

რაც შეეხება ამჟამინდელ 170 მილიონს, დარწმუნებული ვარ, ეს თანხაც ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა უკრაინა და საქართველო, გამოყენებული იქნება კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისთვის. ერთ-ერთი ასეთი მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ სირია-თურქეთის საზღვარზე მიმდინარე დრამატული პროცესები გადმოტანილ იქნას რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება, იმიტომ, რომ ძალიან დიდი ხანია, არის მცდელობები, მოხდეს დესტაბილიზაცია და 20 ივნისის პროვოკაცია ამის კლასიკური მაგალითია.

**— ეს საფრთხე დღეს რეალურია?**

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ **სირიაში ნატოს წევრი ქვეყანა თურქეთი მარცხდება ასადის ხელისუფლებასთან, რაც თავისთავად არის რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ძლიერების უტყუარი ნიშანი.** ახლა რა გზები და საშუალებები არსებობს დღევანდელ ვითარებაში, რომ ეს საფრთხეები ავიცილოთ თავიდან და 2008 წლის მსგავსად კიდევ ერთხელ არ ვიქცეთ დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების არეალად: ჩვენ, პირველ რიგში, უნდა გვესმოდეს ერთი რამ: რუსეთი არის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყანა, რომელიც ფლობს მსოფლიოში ყველაზე მეტ ბირთვულ ქობინს და მას თავისი სამხედრო დოქტრინიდან გამომდინარე, შეუძლია, მიიტანოს წერტილოვანი დარტყმები ყველგან, სადაც მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს რამე დაემუქრება. აი, ეს არის რეალობა და **როდესაც წლებია, პატარა ფინიასავით გვაყეფებენ დათვის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, სამიზნეში ვართ ამოღებული, რათა დაგვართყან. ამ მდგომარეობაში ყოფნა არის დასტური იმისა, რომ ჩვენ არ ვართ სუვერენული სახელმწიფო და აღარ განვსაზღვრავთ ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციას.** მოკლედ, ეს მრავალმილიონიანი დაფინანსებები დასავლეთისგან, დახმარება და ვითომ ხელშეწყობა გათვლილია ერთადერთ რამეზე — შექმნან დაძაბულობა რუსეთის სამხრეთით და პროცესების დროდადრო გამწვავებით კრემლი იძულებული გახადონ, გარკვეული თუნდაც წერტილოვანი რაღაც მოქმედებები განახორციელოს. არ ვამბობ, რომ ეს ხვალ ან ზეგ მოხდება, მაგრამ საუბარი სამხედრო გაძლიერებაზე ამას ემსახურება. რაც შეეხება ხელისუფლებას, მას უკვე ჰქონდა რეალური შანსი რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების და უვიზო მიმოსვლაც ძალიან ახლო პერსპექტივის ამბავი იყო, მაგრამ 20 ივნისის პროვოკაციამ ყველაფერი წყალში ჩაყარა. ეს, რა თქმა უნდა, იყო მმართველი გუნდის სისუსტეც და ხელისუფლება სამწუხაროდ დღესაც იმ პოლიტიკურ კომპლექსებშია. სხვათა შორის, **ამ გამძვინვარებული ეპიდემიის პირობებში, როცა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკაც კრიზისშია, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. იმიტომ, რომ რუსეთი დღეს ჩვენთვის ეკონომიკური ჟანგბადია, და სწორედ რუსეთის ბაზარმა შეიძლება გადაგვატანინოს კრიზისი.** სხვანაირად, ლაპარაკი, რომ თურმე ევროკავშირი გაგვიხსნის ბაზარს და ქართული პროდუქცია გრიალ-გრიალით წავა ან კრედიტებს გამოგვიყოფენ და ა.შ. არის ბლეფი. თუმცა ეს ბლეფი, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული ჯგუფისთვის მომგებიანია და სანამ უშუალოდ ფაქტის წინაშე არ დავდგებით, ალბათ ამის მოსმენა კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საგარეო ვექტორი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ვირუსი რომ გადაივლის, ექიმები არ უნდა გაჩერდნენ და ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები სასწრაფოდ გადაიყვანონ საკარანტინო რეჟიმში. იქნებ გონს მოეგონ და კარანტინის გავლის შემდეგ ქვეყნის მომავალზე რეალურად იზრუნონ. როგორც ფილმ „შერეკილებშია“, თუ მკურნალობა არ გაჭრის, ბროწეულის ოყნები უნდა ჩავრთოთ საქმეში.**

# კიდევ რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ საბოლოოდ დავინახოთ ევროპისა და ამერიკის სახე?

**რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ კორონავირუსის არ გვეშინია და ქვეყანა ამ გამოწვევას უმკლავდება, ფაქტია — პანიკის სერიოზული ნიშნები შეიმჩნევა და საკმარისია კიდევ ერთი მცირე ბიძგიც კი, რომ უმართავი ვითარება შეიქმნას. უმართავ ვითარებაში იმას ვგულისხმობთ, რაც ჯერჯერობით მცირე მასშტაბით ხდება — მაღაზიებში პროდუქტების დიდი რაოდენობით შეძენა, სოლიდური მარაგის გაკეთება და ფიქრი ცუდზე.**

საქართველოს ხელისუფლებამ ორ მეზობელთან საზღვარი ჩაკეტა. საუბარია აზერბაიჯანსა და სომხეთზე, რომლებთანაც უახლოესი ათი დღის განმავლობაში ფიზიკური პირებისთვის საზღვარი ჩაკეტილი იქნება, ხოლო ტვირთები ჩვეულებრივად იმოძრავებს. არც მანამდე აკლებდნენ, მაგრამ **აზერბაიჯანსა და სომხეთის საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ ხმაური ატყდა, რუსეთთან რატომ არ ვკეტავთ საზღვარს, ხომ ფაქტია, რომ რუსები რეალურ სურათს მალავენ და მათ ქვეყანაში კორონავირუსი მძვინვარებსო.**

დავიწყოთ იმით, რომ რუსეთთან საჰაერო მიმოსვლა არ გვაქვს. ამას დავუმატოთ ისიც, რომ რუსეთში გამგზავრება სერიოზული პრობლემაა და ვისაც ჰგონია, ვირუსის შიშით რუსეთიდან საქართველოსკენ ხალხი დაიძვრება, ძალიან ცდება. რუსეთმა უკვე აღიარა ინფიცირების შემთხვევები, რაც რამდენიმე ათეულია, აღიარა ისიც, რომ 13 ათას ადამიანზე მეტი კარანტინში ჰყავს და რა უნდა თქვას და ქნას მეტი? თუ 13 ათასი ადამიანი ცოტაა?

გაუგებარია, რატომ ცდილობს ცალკე ოპოზიცია და ცალკე ხელისუფლება ყველაფრის მიბმას რუსეთზე. უფრო ზუსტად, იმ ყველაფრის მიბმას, რაც ცუდია, თორემ ჩვენი სახელმწიფოს სასიცოცხლო ორგანოები სწორედ რუსეთზე რომ არის მიბმული, ახლავე დაგიმტკიცებთ.

მთავარი საარსებო წყარო **პურის ფქვილია** და მისი 90% რუსეთიდან შემოდის. რუსეთიდან შემოდის **ენერგომატარებლების** უდიდესი ნაწილი. ამიტომ დაარტყა მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ რუსულ რუბლსა და ჩვენს ლარს, დანარჩენ ქვეყნებში კი ჯერჯერობით სერიოზული რყევები არ შეინიშნება. რუსეთი იძულებულია, საყოველთაო სანქციების ფონზე (ჩვენ რომ ძალიან გვიხარია და მხარს ვუჭერთ, იმ სანქციების), პროდუქტი გაყიდოს ნაკლებ ფასად, რათა იარსებოს. იმის გათვალისწინებით კი, რა დოზით ვართ მიბმული ჩრდილოელ მეზობელზე, **ნებისმიერი დარტყმა, რომელსაც იღებს რუსეთი, ჩვენზეც გადმოდის. ექსპერტები არ მალავენ, რომ სწორედ ამ მიზეზით არ გაიაფდა ჩვენთან ნავთობპროდუქტები** და ეს მაშინ, როცა ბარელი ნავთობის ღირებულება თითქმის სამჯერ შემცირდა.

ამჟამინდელ ვითარებას ისეთი პირი უჩანს, რომ ძალიან მალე ქვეყნები ერთმანეთთან ტვირთბრუნვასაც შეწყვეტენ, რაც საყოველთაო შიმშილს გამოიწვევს. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა ისეთი, რომელიც თავისი მოსახლეობისთვის საკმარის საკვებს აწარმოებს და, რაღა თქმა უნდა, ჩვენ მათ რიცხვში არ ვართ. ასეთივე დღეშია აზერბაიჯანი და სომხეთი. **მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში მათ თავიანთი გაჭირვება ეყოფათ და ჩვენთვის არ ეცლებათ. ახლა, თუ ვინმეს სჯერა, რომ ევროპა და ამერიკა მოიკლებენ სარჩოს და ჩვენ გამოგვიგზავნიან, ძალიან გულუბრყვილო ყოფილა. რჩება ერთადერთი გზა — ბოლომდე უნდა ჩამოვეკიდოთ ჩრდილოელ მეზობელს. იმ მეზობელს, რომლის უბედურებაც ძალიან გვიხარია ხოლმე. იმ მეზობელს, რომელიც არსებობისთვის საჭირო პურს გვაძლევს და მადლობასაც არ ვეუბნებით,** მაგრამ ეს რომ არ გააკეთოს, მაშინ მონსტრი იქნება. რუსებს ვავალდებულებთ, უნდათ თუ არა, დაგვეხმარონ, ჩვენგან კი მხოლოდ ლანძღვა მიიღონ.

სხვათა შორის, რუსეთში კარანტინში მყოფი ადამიანების რიცხვმაც გამოიწვია აჟიოტაჟი. **სოციალურ ქსელებში დაწერეს, 13 ათასი ცოტაა, სრულიად რუსეთი უნდა მოექცეს კარანტინშიო და... როცა ამას წერენ ადამიანები, არ ფიქრობენ, რომ ყველაზე დიდი ქართული დიასპორა რუსეთშია? არ ფიქრობენ, რომ იქ მილიონამდე ქართველი ირჩენს თავს და აქ, სულ ცოტა, ერთ ამდენ ქართველს არჩენს? თუ ვინმეს ჰგონია, რომ კარანტინში მყოფი იმ 13 ათასი ადამიანიდან ყველა ძირძველი რუსი იქნება და არც ერთი ქართველი? თუ იმ ქართველებს, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, ქართველებად აღარ ვთვლით და რამე რომ დაემართოთ, არც მოვიკითხავთ?!** ხელისუფლებაზეც ვთქვათ: ორი „ბოინგი“ რომ გაგზავნა იტალიაში, არიქა, ჩემი თანამოქალაქეები უნდა ჩამოვიყვანო და ვუმკურნალოო, რუსეთში რომ გაეგზავნა თვითმფრინავები, რუსული მხარე უარს იტყოდა? არის თუ არა ეს ორმაგი სტანდარტი და საკუთარი მოქალაქეებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა? თუ ევროპელი ემიგრანტი ემიგრანტია და რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე — მოღალატე? ვინმეს წამოცდა, ხალხო, რუსეთში მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, იქნებ რა უჭირთ, მივხედოთ, მოვიკითხოთო?! — არავის, რადგან ეს მოღალატეობრივ მიდგომად ჩაითვლება და, საკმარისია, ერთი ქართველი მაინც გარდაიცვალოს რუსეთის ტერიტორიაზე, რომ მაშინვე თითს გავიშვერთ, ქართველი რომ იყო, იმიტომ მოკლესო. მანამდე კი არავის გვახსოვს, არავის გვჭირდება, იმიტომ, რომ თურმე მტრის ტერიტორიაზეა. ჰო, იმ „მტრის“, რომელზეც ჩვენი ეკონომიკა არის ჩამოკიდებული და თუ კარანტინი გამოვაცხადეთ მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაშინ თითოეული ჩვენგანის სიცოცხლეც სწორედ რუსეთზე იქნება მიბმული, რადგან ამ ქვეყნისგან უნდა მივიღოთ საარსებოდ საჭირო პროდუქტები.




**დასავლეთმა ნამდვილი სახე გამოაჩინა და დაგვანახვა, რომ საქართველო არ ახსოვს მაშინ, როცა საყოველთაო გაჭირვებაა და ახსოვს მხოლოდ მაშინ, როცა სურს, ჩვენი ხელით რუსეთს დაარტყას. საკუთარი ხელით კი არა, ჩვენი ხელით, თვითონ კი ცდილობს, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს მსოფლიოს ყველაზე დიდ სახელმწიფოსთან**

ის, რომ რუსეთში ფატალური შემთხვევა არ არის და ყველაზე დიდი მეზობელი არსებულ პრობლემას არცთუ ურიგოდ უმკლავდება, უნდა გვიხაროდეს. უნდა გვიხაროდეს თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე დიდი მეზობლისგან საფრთხე არ გემუქრება. რუსეთს ძალიან რომ გაუჭირდეს, როგორ გგონიათ, ამ ქვეყნის ხელისუფლება სხვებზე დაიწყებს ზრუნვას თუ საკუთარ მოსახლეობაზე? **რუსეთში ისეთივე რამ რომ მოხდეს, როგორიც, მაგალითად, იტალიაში, გგონიათ, ეს ჩვენზე დადებითად აისახება? რატომ ჰგონია ადამიანების გარკვეულ ჯგუფს, რომ დასუსტებული და ვირუსშეყრილი რუსეთი უფრო კარგია ჩვენთვის, ვიდრე ჯანმრთელი და ეკონომიურად ძლიერი? დაასახელეთ ერთი, ერთადერთი მაგალითი მაინც, რა გააკეთა ამ ეტაპზე ჩვენთვის ამერიკამ ან ევროპამ?** გამამხნევებელი და მხარდამჭერი განცხადება მაინც გაგვახსენეთ?! ვერ გაიხსენებთ, იმიტომ, რომ არ თქმულა, არ გაკეთებულა, ნამდვილი სახე გამოაჩინა დასავლეთმა და დაგვანახვა, რომ **საქართველო არ ახსოვს მაშინ, როცა საყოველთაო გაჭირვებაა და ახსოვს მხოლოდ მაშინ, როცა სურს, ჩვენი ხელით რუსეთს დაარტყას. საკუთარი ხელით კი არა, ჩვენი ხელით, რადგან თვითონ ცდილობს, „შეუძვრეს“ მსოფლიოს ყველაზე დიდ სახელმწიფოს,** შემთხვევით რუსული ბაზარი რომ არ დაიხუროს ევროპული თუ ამერიკული პროდუქტებისთვის, შემთხვევით რუსმა ტურისტებმა უარი რომ არ თქვან მათ ქვეყანაში ჩასვლასა და ფულის ხარჯვაზე. ჩვენ კი ეს მოვახერხეთ და, თუ ვინმე გვკითხავს, ახლა რას აკეთებს ჩრდილოელი მეზობელი ჩვენთვისო, მარტივად ვუპასუხებთ — პურს გვაჭმევს.

ვერ გეტყვით, **კიდევ რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ საბოლოოდ დავინახოთ ევროპისა და ამერიკის სახე, რა უნდა მოხდეს იმაზე მეტი, რაც ახლა ხდება?! კიდევ გავიმეორებთ: არც ერთ მიმართვასა თუ განცხადებაში, ევროპის ქვეყნების არც ერთ ლიდერს არ უთქვამს, საქართველოს შესაძლოა, საკუთარი რესურსი არ ეყოს და, არიქა, ჩვენ დავეხმაროთო. პრაქტიკულად ყველა ევროპულმა ქვეყანამ და, რაღა თქმა უნდა, ამერიკამ, რამდენიმე საწარმოს მოდერნიზაცია მოახერხა და დეფიციტური პირბადეების წარმოება დაიწყო.** შემოვიდა ჩვენთან მათი ნაწარმი? — არა, რადგან არ აინტერესებთ, აქ ხალხს პირბადის დეფიციტი აქვს თუ წამლის, შია თუ წყურია ქართველ ერს. ხომ დაგვპირდა ხელისუფლება, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და უახლოეს დღეებში პირბადეები ყველა სააფთიაქო ქსელში ხელმისაწვდომ ფასად იქნებაო? ორი კვირა გავიდა ამის შემდეგ და შედეგი — ნული. როცა საფრთხე გადაივლის, მაშინ მოგვაყრიან ჭარბ ნაწარმს, გვაყიდინებენ და შევინახავთ საწყობებში დასაობებლად, ევროპასა და ამერიკას რომ არ ეწყინოთ, მანამდე კი ბედის ანაბარა ვართ მიტოვებული და ეს არის ფაქტი.

ეს ვირუსი რომ გადაივლის, ექიმები არ უნდა გაჩერდნენ და ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები სასწრაფოდ გადაიყვანონ საკარანტინო რეჟიმში. იქნებ გონს მოეგონ და კარანტინის გავლის შემდეგ ქვეყნის მომავალზე რეალურად იზრუნონ. როგორც ფილმ „შერეკილებშია”, თუ მკურნალობა არ გაჭრის, ბროწეულის ოყნები უნდა ჩავრთოთ საქმეში.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ერთადერთი, რაც გაგვიკეთა ამერიკამ, ვირუსის დასადგენი ტესტები გადმოგვცა, ოღონდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა ასეთი ტესტები უსასყიდლოდ გადასცა ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებს.**

**სოციალურ ქსელებში დაწერეს, 13 ათასი ცოტაა, სრულიად რუსეთი უნდა მოექცეს კარანტინშიო და... როცა ამას წერენ ადამიანები, არ ფიქრობენ, რომ ყველაზე დიდი ქართული დიასპორა რუსეთშია? არ ფიქრობენ, რომ იქ მილიონამდე ქართველი ირჩენს თავს და აქ, სულ ცოტა, ერთ ამდენ ქართველს არჩენს? თუ ვინმეს ჰგონია, რომ კარანტინში მყოფი იმ 13 ათასი ადამიანიდან ყველა ძირძველი რუსი იქნება და არც ერთი ქართველი? თუ იმ ქართველებს, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, ქართველებად აღარ ვთვლით და რამე რომ დაემართოთ, არც მოვიკითხავთ?**

**ადამიანი ჩამოვიდა იმიტომ, რომ აშშ-ის საქართველოს საელჩოში მომუშავე თავის ძველ ძმაკაცებთან ერთად დილმის „მაკდონალდსში“ ჩიზბურგერები ეჭამა... მიუვარდნენ ეს ჩვენი ძაანდამოუკიდებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და „ოპოზიცია“ და არ შეარგეს კაცს. გინდა თუ არა, წამოდი და ჭკუა დაგვარიგე, არჩევნები როგორ ჩავატაროთო. დანა პირს არ უხსნიდა კინზინგერს, ერთი ლუკმა ჩიზბურგერიც არ შეერგო, მაგრამ რას იზამდა? როდესაც სუვერენული ქვეყნის წარმომადგენლები ასე დაჟინებით და პრინციპულად ითხოვენ, წამოდი და დაგვარიგე, რა როგორ გავაკეთოთო, სხვა რა გზა გრჩება?**



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენმა ქვეყანამ საბოლოოდ და სრულად დაამტკიცა, რომ უკვე შემდგარი დამოუკიდებელი, სუვერენული და თავმოყვარე სახელმწიფო ვართ! საიდან და როგორ გამომაქვს ეს დასკვნა? რა თქმა უნდა, იქიდან, რომ საქართველოს ხელისუფლება და ე.წ. ოპოზიცია, როგორც იქნა, შეთანხმდნენ საპარლამენტო მოდელზე და 120/30-ზე ფორმატი მათ პირადად ამერიკის ელჩმა დაუწესა! რა? ამერიკის ელჩმა დაუწესაო? მაშ, დამოუკიდებელი, სუვერენული და, მით უფრო, თავმოყვარე როგორღა ვართო? — იკითხავს ირონიულად ვინმე ინტრიგანი. ამ კითხვაზე ძალიან უცნაური პასუხი აქვთ როგორც ხელისუფლების, ასევე ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლებს — ამერიკის ელჩის მიერ ჩვენი მიწვევა თავის კაბინეტში, იქ შეკრება და გადაწყვეტილების მიღება, სწორედ იმაზე მიუთითებს, რა პატივს გვცემს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და როგორ აფასებს ჩვენს დამოუკიდებლობასო.**

# ამერიკის ელჩის ნებართვით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

## ძირს რუსული «შპიონი ტაქსები»!



მათი ნათქვამიდან, ფაქტობრივად, ასეთი რამ გამოდის — საქართველოს დამოუკიდებელი, სუვერენული, თავმოყვარე სახელმწიფოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ აიძულეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, დაერიგებინა მათთვის ჭკუა და დაეწესებინა, როგორი ფორმატით უნდა ჩატარდეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში. საწყალი ელჩი! წარმომიდგენია, რა დღეში ჩააგდებდნენ მას ჩვენი ამაყი ხელისუფლება და „ოპოზიცია“. **არ უნდოდა ადამიანს დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა და ესენი კიდევ მიადგნენ და, გინდა თუ არა, ჩაერიეო! იმასაც სხვა რა გზა ჰქონდა? აბა, როგორ გინდა, გაბედო და უარი უთხრა ასეთი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებს რამეზე? ეგ კი არა, ამერიკის საელჩოში ისე, სტუმრად ჩასული აშშ-ის სენატორი ადამ კინზინგერიც ჩაითრიეს.** ადამიანი ჩამოვიდა იმიტომ, რომ აშშ-ის საქართველოს საელჩოში მომუშავე თავის ძველ ძმაკაცებთან ერთად დილმის „მაკდონალდსში“ ჩიზბურგერები ეჭამა... **მიუვარდნენ ეს ჩვენი ძაანდამოუკიდებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და „ოპოზიცია“ და არ შეარგეს კაცს. გინდა თუ არა, წამოდი და ჭკუა დაგვარიგე, არჩევნები როგორ ჩავატაროთო. დანა პირს არ უხსნიდა კინზინგერს, ერთი ლუკმა ჩიზბურგერიც არ შეერგო, მაგრამ რას იზამდა? როდესაც სუვერენული ქვეყნის წარმომადგენლები ასე დაჟინებით და პრინციპულად ითხოვენ, წამოდი და დაგვარიგე, რა როგორ გავაკეთოთო, სხვა რა გზა გრჩება?**

აი, ასე ჰყავთ ამერიკა „მიჩმორებული“ ჩვენს ხელისუფლებასა და „ოპოზიციას“. პირდაპირ შევაწუხეთ ჩვენი უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორი — მუდამ ჩვენს პირობებს ვახვევთ თავს და ვაიძულებთ, ჩვენს საშინაო საქმეებში ჩაერიოს. **არ უნდა ამ ზედემოკრატიულ სახელმწიფოს უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, მაგრამ ჩვენი პრინციპულობით მოსვენებას აღარ ვაძლევთ — მოდი და ჩაგვერიე, მოდი და ჩაგვერიეო, — აგვიჩემებია...**

სამაგიეროდ, ჩვენი ხელისუფლება და განსაკუთრებით „ოპოზიცია“ კვლავ ფხიზელია რუსული სპეცსამსახურებისა და დაზვერვის მიმართ. პროდასავლურ სადარაჯოზე მდგომმა ქართულმა არასამთავრობო სექტორმა კრემლის მზაკვრული გეგმა ამჯერად ტაქსებში აღმოაჩინა. ამ გაგანია „კოვიდ 19“-ის ფონზე რაიმე სხვა სახის ვირუსზე საუბარი, ალბათ, უადგილოა, მაგრამ ფაქტია, რომ ის ვირუსი, რომელზეც ახლა ვისაუბრებ, „კორონაზე“ უფრო იოლად და სწრაფად ვრცელდება და, მგონი, არანაკლებ აზიანებს საზოგადოებას. კერძოდ, ბოლო პერიოდში უფრო მოიმატა სიდებილემდე მისული „ჯაშუშური“ ლეგენდების გავრცელებამ ქართულ საზოგადოებაში და, სამწუხაროდ ამას არც ისე ცოტა დამჯერებელი ჰყავს. ჯერჯერობით ბოლო ასეთი „ჯაშუშური ვირუსი“ არის **რუსული სპეცსამსახურების „ტაქსებით ჯაშუშობა“.** თავდაპირველად მეგონა, ვიღაც ხუმრობდა, მაგრამ რამდენიმე ისეთი სერიოზული და ინტელექტზე პრეტენზიის მქონე ნაცნობის „ფეისბუქ-კედელზე“ წავაწყდი ამ სისულელეს, რომ ვერ მოვითმინე და პირადშიც მივწერე — მართლა სჯეროდათ თუ არა მათ იმისა, რასაც თავიანთ „ფბ-კედელზე“ წერდნენ. თურმე სადა „ტაქსაობ,“ ძმაო! — სჯერათ კი არა, ამის შესახებ საკმაოდ სერიოზული ნაშრომებიც იწერება და, როგორც ჩანს, სერიოზული ფულიც კეთდება.

თურმე ნუ იტყვით და, რუსეთმა სხვა რომ ვერაფერი მოგვიხერხა, „იანდექს-ტაქსებს“ ჩაუყენა რაღაც მოწყობილობა და როდესაც ჩვენ „იანდექს-ტაქსის“ ვიძახებთ და ვმგზავრობთ, ინფორმაცია ჩვენი საცხოვრებელი ადგილის, გადაადგილების მარშრუტისა და იმის შესახებ, რომელ ლოკაციებს ვსტუმრობთ, პირდაპირ კრემლში მიდის.

თუ შეეკითხებით მათ, ვინც ამ სრულ დეგენერატიზმს ამტკიცებს, რა ჯანდაბად და დოზანად უნდა **ვლადიმერ პუტინს** ან ჩემი, ან საქართველოს სხვა მოქალაქეების გადაადგილების მარშრუტები, პასუხი ასეთი აქვთ: **„ეს არის ინფორმაციის დიდი ნაკადის სტატისტიკური დამუშავება, რაც ქმნის მომხმარებლის ქცევის შესახებ აბსოლუტურად ამომწურავ სურათს!“**

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთ-ერთი უიაფესი „იანდექს-ტაქსის“ მომხმარებელია ყველაზე ნაკლებად შეძლებული ფენა საზოგადოებისა. ადამიანი, უბრალოდ, შეიძლება დათვრეს და სახინკლიდან სამწვადეში წასასვლელად გამოიძახოს „იანდექს-ტაქსი“. ჰოდა, მართლა ძალიან საინტერესოა, რაც უნდა ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს მათ შესახებ ვლადიმერ პუტინის სპეცსამსახურმა, რა დოზანაში უნდა გამოიყენოს მერე?

პერსონები, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებს შეიძლება რეალურად აინტერესებდეს, ჯერ ერთი, „იანდექს-ტაქსებით“ ნამდვილად არ მოძრაობენ და მეორეც — თუკი რუსეთის დაზვერვას მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება რეალურად დასჭირდა, ამისათვის, არა მგონია, „ტაქსაობაზე“ უფრო დახვეწილი მეთოდები არ ჰქონდეს.

უბრალოდ, საქმე ის არის, რომ გარკვეული ძალები ყოველდღიურად იგონებენ ხალხის, საზოგადოების დაშტერების, შეშინების, დაზაფვრის, დავირუსების ახალ-ახალ მეთოდებს.

ფრაზა — **„ეს არის ინფორმაციის დიდი ნაკადის სტატისტიკური დამუშავების მეთოდი“ — ასე ვთქვათ, „რაღაცნაირად“ ისმის და უბრალო, გაუთვითცნობიერებელ, ნაკლებად განათლებულ ადამიანზე ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენს. არიქა, რუსული რბილი ძალა, სპეცსამსახურები, ჯაშუშები, ტაქსის მძღოლებად გადაცმული „დავერბოვკებული“ აგენტები...**

მიზანი? — ებიჯო! **გვიშველე, ამერიკავ, ვიღუპებით! გვიშველე თორემ რუსული სპეცსამსახურები ცოცხლად შეგვჭამენ და რუსი ოკუპანტი თბილისს დაიპყრობს და თელავსა და გურჯაანს შორის მავთულხლართებს აღმართავს!**

თუ რუსეთი ოკუპანტია და მისგან საფრთხეები მომდინარეობს, სწორედ ამ საფრთხეების ასეთი გაარასერიოზულება და ლამის მასხარაობის დონემდე დაყვანაა ყველაზე დიდი დანაშაული.

რამდენიმე ხნის წინათ გავრცელებული „ესტონეთის სპეცსამსახურების დაზვერვის მონაცემებისა“ არ იყოს, რუსული სპესცამსახურების „ტაქსაობით ჯაშუშობა“ ნორმალურ ადამიანს მხოლოდ მწარე ხუმრობის, ქილიკისა და მაიმუნობის ხასიათზე თუ დააყენებს. **საზოგადოების „დავირუსებული“ ნაწილი კი, სამწუხაროდ, დიდ პრობლემას ხედავს რუსული ტაქსების კომპანიის თბილისის წარმომადგენლობაში და ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ყურით მიათრია საკუთარ კაბინეტში საქართველოს ხელისუფლებაც, „ოპოზიციაც“ და უკარნახა, რა როგორ უნდა გააკეთონ — რამდენი პარლამენტარი იქნება არჩეული საქართველოს პარლამენტში პროპორციული წესით, რამდენი მაჟორიტარულით და ვინ ჩაის დალევს შესვენებაზე და ვინ — ყავას!**

**საზოგადოების «დავირუსებული» ნაწილი, სამწუხაროდ, დიდ პრობლემას ხედავს რუსული ტაქსების კომპანიის თბილისის წარმომადგენლობაში და ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ყურით მიათრია საკუთარ კაბინეტში საქართველოს ხელისუფლებაც, «ოპოზიციაც» და უკარნახა, რა როგორ უნდა გააკეთონ — რამდენი პარლამენტარი იქნება არჩეული საქართველოს პარლამენტში პროპორციული წესით, რამდენი მაჟორიტარულით და ვინ ჩაის დალევს შესვენებაზე და ვინ — ყავას!**

ეს ამბავი ქართველ პოლიტიკოსებსა და საზოგადოების ერთ ნაწილს „დიდ გამარჯვებად“ მიაჩნია და, ფაქტობრივად, გვეუბნებიან, რომ ამერიკის ელჩმა კი არ დაიბარა თავის კაბინეტში საქართველოს ხელისუფლებისა და „ოპოზიციის“ წარმომადგენლები, არამედ ამ უკანასკნელებმა აიძულეს, რომ ისინი ამერიკის ელჩს დაებარებინა და მათთვის ყური აეწია.

დიახ, ეს არის ყველაზე საყურადღებო — **ქართული პოლიტიკური ელიტა უკვე იმ დონეზე, ბოდიში და, მართლაც გაფარჩაკდა, რომ უკვე იმასაც აღარ გვიმტკიცებენ, ყური არავის აუწევია ჩვენთვისო, როგორც ამას აქამდე ცდილობდნენ წარმოეჩინათ. არა, ისინი უკვე „სტრატეგიული პარტნიორობის“ სულ სხვა „ლეველზე“ არიან გადასული და ამბობენ: კი, ყური ნამდვილად აგვიწიეს, მაგრამ ეს ყურის აწევა ჩვენივე პრინციპული მიდგომის გამო მოხდა, ჩვენ თავად მოვითხოვეთ, რომ ჩვენთვის ყური აეწიათ და მათ, ანუ ამერიკელმა ელჩმა და სენატორმა ამაზე უარი ვერ გვითხრესო.**

რა გაეწყობა? ჩვენც უნდა დავიჯეროთ ყოველივე ეს და ხმამაღლა შევძახოთ — დამოუკიდებელ საქართველოს გაუმაააააარ-ჯოს! ჯოს! ჯოს!... ოღონდ არ დაგვავიწყდეს, რომ ამის დასაძახებლად, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისგან ნებართვა უნდა ავიღოთ... უი, ბოდიში, ნებართვა კი არ უნდა ავიღოთ, არამედ უნდა ვაიძულოთ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ნებართვა მოგვცეს, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ვიზეიმოთ... უფრო სწორად, ჩვენ ხომ დამოუკიდებელი და თავმოყვარე სახელმწიფო ვართ და ამერიკის ელჩი ვერ გაბედავს უარი გვითხრას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღნიშვნაზე... კი არა — **ამერიკის ელჩი დაგვაძალებს და დაგვიტატანებს, რომ დამოუკიდებლები ვიყოთ... თუ როგორც არის...**

ოღონდ, მთავარია, რუსულ ჯაშუშურ ტაქსიში ჩაჯდომის ცდუნებამ არ გვძლიოს!

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი ბუში თბილისში, მეიდანზე, ბაღდადურის ჰანგებზე, უკაცრავად და, „დუმას ათამაშებდა“, ზუსტად იმავე დღეს პრეზიდენტმა პუტინმა გიუმრის სამხედრო ბაზაზე (რომელიც სომხეთში, თბილისიდან, სულ რაღაც, 200 კილომეტრშია ბაზირებული) სამხედრო აღლუმი ჩაიბარა. ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ემთხვევა ერთმანეთს... ამ აქციას 2 ადრესატი ჰყავდა: პირველი — ბუში, რომელსაც უთხრა: მართალია, მეიდანზე ბუქნაობ, მაგრამ არ დაგავიწყდეს, თბილისი მოსკოვის გავლენის სფეროაო და მეორე — თბილისი გააფრთხილა,— აშშ შორს არის, მე კი ახლოს ვარ და ამერიკელებს ჩემს ბოსტანში არ გავაჯეჯილებო.**

# პუტინის ეპოქა

**პიროვნების როლის, გნებავთ, ფაქტორის არსებობა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მრავალგზის დადასტურებული ფაქტია. რას ნიშნავს ისტორიულ პროცესებზე დიდი ადამიანების გავლენა? იმას, რომ მათ მოსვლამდე ე.წ. მსოფლიო წესრიგი, მსოფლიო პოლიტიკური რუკის კონტურები სხვა იყო, ხოლო მათი მოღვაწეობის პერიოდში ისე შეიცვალა, რომ ამ ცვლილებებმა ათეული, ზოგჯერ ასეული წლების გამოცდას გაუძლო.**

ამიტომაც არის, რომ დიდი ადამიანების მმართველობის პერიოდებს შთამომავალნი მათი სახელობის ეპოქას უწოდებენ ხოლმე: **ალექსანდრე მაკედონელის** ეპოქა, **იულიუს კეისრის, პეტრე პირველის, ნაპოლეონ ბონაპარტის, სტალინისა და ა.შ.** შორს არ წავალ, მთავრის სათქმელად უახლესი წარსულისა და სავალალო დღევანდელობის მიმოხილვას ვიმყოფინებ.

მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი თურქებმა აიღეს და დიდებული აია-სოფიას ტაძრიდან ქრისტიანული გალობა თურქ მუეძინთა ყივილმა შეცვალა, ხატოვნად თუ ვიტყვით, მსოფლიო მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგია უპატრონოდ დარჩა. ეს ფუნქცია — მართლმადიდებლობის დაცვა თავის თავზე რუსეთის სახელმწიფომ აიღო ცნობილი დევიზით — რუსეთი მესამე რომი, მეოთხე არ იქნება! და სწორედ აქედან დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ კათოლიკური დასავლეთ ევროპის ფარული თუ აშკარა შეთქმულება. იმ დასავლეთ ევროპის, რომლის მოღალატური უმოქმედობის გამო აიღეს კონსტანტინოპოლი ანუ ბიზანტიის იმპერია. რომის კათოლიკური იმპერიის მიზანი მართლმადიდებელი სარწმუნოების მოსპობა იყო მართლმადიდებელი ეკლესიის ვატიკანთან შეერთების გზით და, რომ არა რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლებების მიერ გამოცხადებული პრეტენზია მესამე რომის შესახებ, დღეს მსოფლიო (მუსლიმანთა გარდა) გალიბერასტებული იქნებოდა, ხოლო ვატიკანი — ასეთი მსოფლოს მექა.

რუსეთი რომ ვერ „მოარჯულეს“, ეს იყო თავიდათავი მიზეზი მის წინააღმდეგ ე.წ. „რეჩ პოსპოლიტას“ (პოლონეთის მეფისა და ლიტვის დიდი სათავადოს კათოლიკური იმპერია, რომლის შემადგენლობაში რუსეთის ნაწილიც შედიოდა) მიერ წარმოებული ომებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთ-თურქეთს შორის ომებისაც. მუსლიმანური თურქეთის სასარგებლოდ იღვწოდა, მართალია, არა მართლმადიდებელი, მაგრამ მაინც ასე თუ ისე ქრისტიანული ინგლისის დიპლომატია თუ ფინანსები — მას შემდეგ და ვიდრე დღემდე ინგლისი და შემდგომ უკვე გაერთიანებული სამეფოს სახელით ცნობილი დიდი ბრიტანეთი რუსეთის დაუძინებელი მტერია.

რუსეთისთვის უმძიმესი მე-17 საუკუნის ბოლოს, ქვეყანას მხსნელად მოევლინა 16 წლის **პეტრე I.** უკანასკნელი მეფე რუსეთისა, რადგან მან სამეფო იმპერიად აქცია და მას შემდეგ რუსეთის მეფენი იმპერატორებად მოიხსენიება.

აქ არ დავიწყებ რუსეთის მხსნელი იმპერატორის საქმეების დაწვრილებით ჩამოთვლას, რისთვისაც ხალხმა მას **პეტრე დიდი** შეარქვა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მან ააშენა შემდგომში რუსეთის იმპერიის დედაქალაქი პეტერბურგი. არც იმას გავუსვამთ ხაზს, რომ შვედეთთან მრავალწლიან ომში გამარჯვებით ერთხელ და სამუდამოდ მოუსპო რუსეთს ჩრდილოეთიდან პოტენციური საფრთხეები. თამამად შეგვიძლია თქმა იმისა, რომ პეტრე დიდმა შექმნა ეპოქა, რომელიც შეცვალა არანაკლებ დიდი იმპერატორის, **ეკატერინე II**-ის ეპოქამ — თურქეთთან, ავსტრია-პრუსიასთან მრავალი წარმატებული ომის შედეგად მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან გაქრა პოლონეთი. მისი ტერიტორიები 1795 წელს გაიყვეს რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ. პოლონეთი, საიდანაც რუსეთის ყველა მტერი შემოდიოდა და რომ არა ნაპოლეონ ბონაპარტეს მექალთანეობა (პოლონელი გრაფინიათი მოხიბლულმა პოლონეთის სამეფო აღადგინა. ფორმალურად, მაგრამ მაინც) დღეს პოლონეთის სახით დაუძინებელი მტერი არ ეყოლებოდა.

რუსეთს, მისდა სამწუხაროდ, XIX საუკუნის განმავლობაში არ ჰყოლია ისეთი იმპერატორი, რომელიც საკუთარ ეპოქას შექმნიდა და ამიტომ რომანოვების მართლმადიდებელი მონარქია დაემხო. სხვათა შორის, ამ დამხობაში თავისი წვლილი რუსეთის მარადიულმა მტერმა ინგლისმაც შეიტანა — რევოლუციის წინა დღეებში ინგლისის ელჩმა **კერენსკის** 2 მილიონი გირვანქა გადასცა. მაგრამ ეგეც იქით იყოს, რუსეთის ყოფილი იმპერია უცხოელთათვის ძარცვა-რბევის უსაზღვრო არეალად იქცა და, რომ არა ბოლშევიკური გადატრიალება, დასავლეთის საუკუნო ოცნება ასრულდებოდა და რუსეთი რამდენიმე ნაწილად დაიშლებოდა, მაგრამ ამ კრიტიკულ ჟამს რუსეთს სასწაულებრივად გამოუჩნდა მხსნელი — ქართველი **იოსებ ჯუღაშვილი.** ამ ყველა დროის უდიდესმა პოლიტიკოსმა და მხედართმთავარმა უმადური მსოფლიო იხსნა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ბოროტი ძალის გერმანული ფაშიზმისგან. უმადური იმიტომ, რომ **ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ისტორიის გადაწერა და ცდილობენ მსოფლიო დაარწმუნონ, რომ მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებმა და ინგლისელებმა მოიგეს, ხოლო სსრკ იქ „სადღაც“ ომობანას თამაშობდა. უმადურ დასავლეთს რას ვთხოვთ, როდესაც სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთი ფაშიზმზე გამარჯვების საიუბილეო თუ „უბრალო“ თარიღებს დიდი ზარზეიმით კი აღნიშნავს, მაგრამ ადგილობრივი თუ დასავლელი ლიბერასტების შიშით აღლუმზე გამარჯვების მთავარსარდალის სურათის ჩატარება ვერ გაუბედავთ წითელ მოედანზე.**




**პუტინის ეპოქის დასაწყისის ათვლა იქიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც გაეროს ტრიბუნიდან ამერიკელების გასაგონად განაცხადა — «ახლა მაინც თუ გესმით, რა ჩაიდინეთ?» და ისე «გაიჯახუნა კარი», პასუხს არ დალოდებია, მერე საკუთარ თვითმფრინავს მიაშურა და მეორე დღეს, 2014 წლის 30 სექტემბერს, რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა სირიაში ტერორისტების დაბომბვა დაიწყეს. იმ სირიაში, რომლის პრეზიდენტის სასახლემდე ტერორისტებს, სულ რაღაც, 8 კილომეტრი აშორებდათ. დღეს კი, რუსეთის წყალობით, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი ქვეყნის ტერიტორიების 90% აკონტროლებს**

იოსებ სტალინმა თავისი ეპოქა მაინც შექმნა. უბრალო ხალხის სიყვარულსა და მადლიერებას თავი რომ დავანებოთ, რისი დასტურიც ყოველ 9 მაისს უამრავი ყვავილით შემკობილი დიდი ბელადის საფლავია. მსოფლიო აგერ უკვე 70 წელზე მეტია, რაც ისტორიულ იალტის კონფერენციაზე, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული სამეულის — **ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი** — მიერ შემუშავებული წესებითა და საზღვრების პირობებში, დიდი ომების გარეშე, შედარებით მშვიდობიანად თანაარსებობდა. ჰოდა, სწორედ ამ შედარებითი ჰარმონიის (რომელსაც ორპოლუსიანი მსოფლიო ერქვა) აშშ-ის სასარგებლოდ დანგრევა დაისახეს მიზნად სსრკ-ს შინაურმა თუ გარეულმა, მტრებმა: ჯერ სიმინდის ანეკდოტამდე (თუ ასე თქმა შეიძლება) დაიყვანა სტალინის მიერ შექმნილი ზესახელმწიფო ხეპრე **ნიკიტა ხრუშჩოვმა**, შემდეგ დადგა **ლეონიდ ბრეჟნევის** ე.წ. უძრაობის ხანა, როცა სტალინის ეპოქის უხვი დანატოვარით იკვებებოდა სსრკ-ს; საბჭოთა კავშირის ნგრევა კი წარმატებით დაასრულა დასავლეთის დაზვერვის აგენტმა **მიხეილ გორბაჩოვმა** ე.წ. პერესტროიკით... სსრკ-ს დანგრევის შემდეგ საქმე ისეთ აბსურდამდე მივიდა, რომ სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა **კოზირევმა** გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა, რუსეთს ნაციონალური ინტერესები არ აქვსო.

რუსეთს იმხანად ოდნავი ხელის კვრაღა უნდოდა და ეს უდიდესი კულტურისა და რესურსების მქონე ქვეყანა მარტივ მამრავლებად დაიშლებოდა, რომელსაც გაძარცვავდნენ დასავლური „დემოკრატიები“. მაგრამ სამოქალაქო ომის ქაოსით მოცულ რუსეთს მხსნელად მოევლინა ყველასათვის უცნობი **ვლადიმერ პუტინი,** ჯერ — პრემიერად, შემდეგ — პრეზიდენტად.

წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, როგორი რუსეთი ჩაიბარა პუტინმა, მისსავე სიტყვებს მოვიშველიებ (ციტირების გარეშე) — რუსეთის მილიონიანი არმია ისე იყო დემორალიზებული, **ბასაევის** ბანდების ხელში ჩავარდნილ ჩეჩნეთში ვითარების ნორმალიზაციისთვის 50 ათასი ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცის მოძებნა გამიჭირდაო. პუტინმა ჩეჩნეთში სამოქალაქო ომის ხანძარი მალე ჩააქრო და შენების პროცესი დაიწყო — შეხედეთ თანამედროვე გროზნოს...

მკითხველს მინდა, ერთი მნიშვნელოვანი რამ შევახსენო, რისთვისაც არც მაშინ მიუქცევიათ პოლიტოლოგებს ყურადღება და, მით უმეტეს, დღეს ვიღას ემახსოვრება:

როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი **ბუში** თბილისში, მეიდანზე, ბაღდადურის ჰანგებზე, უკაცრავად და, „დუმას ათამაშებდა“, ზუსტად იმავე დღეს პრეზიდენტმა **პუტინმა** გიუმრის სამხედრო ბაზაზე (რომელიც სომხეთში, თბილისიდან, სულ რაღაც, 200 კილომეტრშია ბაზირებული) სამხედრო აღლუმი ჩაიბარა. ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ემთხვევა ერთმანეთს... ამ აქციას 2 ადრესატი ჰყავდა: პირველი — ბუში, რომელსაც უთხრა: მართალია, მეიდანზე ბუქნაობ, მაგრამ არ დაგავიწყდეს, თბილისი მოსკოვის გავლენის სფეროაო და მეორე — თბილისი გააფრთხილა,— აშშ შორს არის, მე კი ახლოს ვარ და ამერიკელებს ჩემს ბოსტანში არ გავაჯეჯილებო.

თბილისმა ნათქვამი ვერ გაიგო და შედეგიც მივიღეთ — რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წლის აგვისტოში და აშშ-ს სიშორის დასტურიც, როდესაც პამპერსები გამოგვიგზავნეს სტრატეგიულ „მეგობრებს“.

პუტინის ეპოქის ნიშნად მიმაჩნია 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენში გამოსვლა, როდესაც მან პრინციპულად განაცხადა — **კოზირევს, საერთოდ, არ ვიცნობ, რუსეთს ნაციონალური ინტერესებიც აქვს და ამიერიდან რუსეთის გარეშე მსოფლიოში ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვეღარ გადაწყდებაო.**

ამის შემდეგ რუსეთში ახალი სამხედრო ტექნიკის ტელედემონსტრაცია მოაწყვეს. ამან ლიბერასტთა დამცინავი ღიმილი გამოიწვია — ეგ ყველაფერი პროპაგანდისტული მულტიპლიკაცია იყოო, მაგრამ, როდესაც ამ „პროპაგანდამ“ კასპიის ზღვიდან „კალიბრის“ რაკეტებით ზუსტად დაარტყა სირიაში ტერორისტთა სამხედრო ბაზას, „პროპაგანდისტულ მულტიპლიკაციაზე” საუბარი შეწყდა.

პუტინის ეპოქის დასაწყისის ათვლა იქიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც გაეროს ტრიბუნიდან ამერიკელების გასაგონად განაცხადა — **„ახლა მაინც თუ გესმით, რა ჩაიდინეთ?“** და ისე „გაიჯახუნა კარი“, პასუხს არ დალოდებია, მერე საკუთარ თვითმფრინავს მიაშურა და მეორე დღეს, 2014 წლის 30 სექტემბერს, რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა სირიაში ტერორისტების დაბომბვა დაიწყეს. იმ სირიაში, რომლის პრეზიდენტის სასახლემდე ტერორისტებს, სულ რაღაც, 8 კილომეტრი აშორებდათ. დღეს კი, რუსეთის წყალობით, სირიის პრეზიდენტი **ბაშარ ასადი** ქვეყნის ტერიტორიების 90% აკონტროლებს.

პუტინის ეპოქაზე მოწმობს რუსეთის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებიც, რომლებმაც თავზარი დასცა მსოფლიო ნეოლიბერალებს — კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ რუსეთის კანონები უპირატესია, ვიდრე ე.წ. საერთაშორისო კანონები; კონსტიტუციური ნორმაა, რომ რუსეთი იცავს ისტორიულ სიმართლეს და ინახავს ხსოვნას წინაპრებისა, რომლებმაც გადასცეს იდეალები და რწმენა ღმერთისა. ამასთანავე რუსეთის ახალ კონსტიტუციაში შავით თეთრზეა ჩაწერილი, რომ ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის კავშირია...

ამ ჩანაწერებმა, რომ იტყვიან, გააცოფა ნეოლიბერალები, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ ეგონათ, რომ გამარჯვება ჯიბეში ედოთ. მაგრამ მათ ერთი რამ გამორჩათ მხედველობიდან — პუტინის ეპოქა დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ, სულ ცოტა დედამიწის 1/7-ზე ლგბტ-თა გარყვნილება ვერ იჯეჯილებს. ხოლო, თუ ქართველები ჭკუით მოვიქცევით, პუტინის ეპოქის დასასრულს შეიძლება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მოვესწროთ.

**დავით მხეიძე**

**COVID-19 ჩინეთში სხვა ქვეყნიდან არის შეტანილი. ამ ვერსიას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ირანსა და იტალიაში გავრცელებული ვირუსის გენომური ნაირსახეობანი ჩინეთის ნიმუშების არაიდენტურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი სხვადასხვა ადგილებში უნდა იყოს შექმნილი.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო: აშშ-ს წამოსცდა, რომ Covid-19 მათთან გაჩნდა

**Covid-19-ით ინფიცირებული „ნულოვანი ავადმყოფი" ამერიკაში იყო დაფიქსირებული. ეს განაცხადა 12 მარტს თავის Twitter-ში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა პრესმდივანმა ჩჟაო ლიცზიანმა.**

ეს განცხადება კვალად მოჰყვა ინფორმაციას, რომელიც გაასაჯაროვა დაავადებათა კონტროლის ამერიკულმა ცენტრმა. ამ დაწესებულების ხელმძღვანელის **რობერტ რედფილდის** თქმით, აშშ-ში გრიპით გარდაცვლილ ზოგიერთ პაციენტს დაუდგინდა კორონავირუსი Covid-19.

**„დაავადებათა კონტროლის ცენტრს დანაშაულზე წაასწრეს. აშშ-ში როდის დააფიქსირეს ნულოვანი პაციენტი? რამდენი ადამიანია დაავადებული? რომელ საავადმყოფოებში? იქნებ ამერიკულმა არმიამ შეიტანა ეპიდემია უხანში?.. აშშ-მა უნდა განგვიმარტოს",** — განაცხადა ჩჟაო ლიცზიანმა.

ჩინეთში აგრეთვე განაცხადეს, რომ ახალი კორონავირუსით დაავადების პირველი შემთხვევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაფიქსირდა 2019 წლის 17 ნოემბერს.

ამ განცხადების გასაჯაროების შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიწვია ჩინეთის ელჩი **ცუი ტიანკი.** ამერიკის საგარეო საქმეთა სტრუქტურამ ითხოვა განმარტება, თუ რას ეფუძნებოდა საგარეო საქმეთა წარმომადგენლის განცხადება, რომ კორონავირუსი უხანში ამერიკულმა სამხედროებმა შეიტანეს, იუწყება ტელეარხი Fox News.

ელჩი გამოიძახა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე **დევიდ სტილველმა** „დეზინფორმაციის თავხედური კამპანიის გამო" კორონავირუსის ინფექციასთან დაკავშირებით.

## ამასობაში თავად ამერიკელები ალაპარაკდნენ

აშშ-ის ყოფილმა მზვერავმა განაცხადა, რომ Covid-19 ამერიკული წარმოშობისაა.

**რამდენიმე უცხოელმა ბიოლოგმა ერთობლივად დაასკვნა, რომ სწორედ აშშ არის კორონავირუსის Covid-19-ის სამშობლო. ამას წერს ამერიკის დაზვერვის ყოფილი ოფიცერი ლარი რომანოფი პორტალ Global Research-ში გამოქვეყნებულ თავის მასალაში.**

იგი ამბობს, რომ აშშ-ში ჯერ კიდევ 2019 წლის აგვისტოში იფეთქა ფილტვების პნევმონიამ. ამერიკელებმა ეს ახსნეს ელექტრონული სიგარეტების გაზრდილი პოპულარობით. მაგრამ როგორც შემდეგ ტაივანელმა ექიმებმა დაადგინეს, ამერიკელებს შორის დაფიქსირებული სიმპტომები ჩვეულებრივი გზებით ვერ გავრცელდებოდა. აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა დახურა მთავარი ბიოლაბორატორია ფორტ დეტრიკში იმის გამო, რომ პენტაგონის თქმით, არ არსებობდა შესაძლო გაჟონვების აცილების გარანტია. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა „ელექტრონული სიგარეტების ეპიდემია". ფორტ დეტრიკში ლაბორატორიის დახურვის შემდეგ ჰავაის კუნძულებზე უმალვე გავრცელდა დაავადებების მთელი რიგი. ლაპარაკია იაპონელების ჯგუფზე, რომლებიც არასოდეს ყოფილან ჩინეთში.

**2019 წლის ოქტომბერში ჩინეთის ქალაქ უხანის ჰოსპიტალში მოათავსეს უცხოეთის ხუთი მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობდნენ აქ მიმდინარე მსოფლიო სამხედრო თამაშებში. ხუთივე დაავადებული ამერიკელი სამხედრო იყო, ეს კი ნიშნავს, რომ სწორედ მათ შეეძლოთ უცნობი დაავადების შეტანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. რომანოფი აღნიშნავს, რომ ეს ამბავი გაავრცელა ჩინეთის მასმედიამ და შეაფასა იგი, როგორც წინასწარგანზრახული ბიოლოგიური თავდასხმა.**

თუ დავუშვებთ, რომ მსოფლიო სამხედრო თამაშების ამერიკის გუნდის ზოგიერთი წევრი ვირუსით დაავადდა დეტრიკში გაჟონვის შედეგად, მაშინ მათ მართლაც შეეძლოთ უხანის მოქალაქეთა საკმაო რაოდენობით დასნებოვნება.


ამათ შეიტანეს ახალი კორონავირუსი ჩინეთში


რობერტ რედფილდი

## პირველი დაავადებულები უხანში ნოემბერში ყოფილან

ამ ვერსიას სხვა დადასტურებაც აქვს. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა ექსპერტი **დენიელ ლუსი** აღნიშნავს, რომ დაავადების პირველი შემთხვევა უხანში დადასტურდა 2019 წლის 1 დეკემბერს და პაციენტს არავითარი შეხება არ ჰქონდა ზღვის პროდუქტებთან. მედიკოსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, პირველი ავადმყოფები შეიძლება ჯერ კიდევ ნოემბერში იყვნენ, მაგრამ გარკვეულ დრომდე ისინი გამოვლენილი არ ყოფილან. და მხოლოდ 2019 წლის დეკემბერში ერთბაშად დაფიქსირდა დაავადების რამდენიმე შემთხვევა. ექიმებმაც მაშინ დაასკვნეს, რომ საქმე ჰქონდათ ახალ, უცნობ ვირუსთან.

ამავე თეორიას იზიარებს სკრიპსის კვლევითი ინსტიტუტის ბიოლოგი-ევოლუციონისტი **კრისტიან ანდერსენი.** იგი დარწმუნებულია, რომ ვირუსს არავითარი შეხება არ აქვს ზღვის პროდუქტების უხანის ბაზართან და, საერთოდ, უხანში არ „დაბადებულა". **Covid-19 ჩინეთში სხვა ქვეყნიდან არის შეტანილი. ამ ვერსიას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ირანსა და იტალიაში გავრცელებული ვირუსის გენომური ნაირსახეობანი ჩინეთის ნიმუშების არაიდენტურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი სხვადასხვა ადგილებში უნდა იყოს შექმნილი.**

ლარი რომანოფი ასკვნის, რომ სრული დარწმუნებით იმის თქმა, თითქოს მაინცდამაინც ამერიკული ფორტი დეტრიკი არის კორონავირუს Covid-19-ის გავრცელების წყარო, შეუძლებელია. ამისთვის მინიმუმ საჭიროა ამერიკული ბაზიდან ინფორმაციის მიღება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2005-დან 2012 წლამდე დაფიქსირებული იყო საიდუმლო ლაბორატორიებიდან პათოგენების გაჟონვის 1059 შემთხვევა (საშუალოდ სამ დღეში ერთხელ), ეს ვარიანტი სულ უფრო შესაძლებელი ხდება.

ცოტა ხნის წინათ ბრაზილიელმა ანალიტიკოსმა **ლუკას ლეიროსმაც** განაცხადა, რომ აშშ-მა კორონავირუს Covid-19-ის აფეთქება გამოიყენა, როგორც იარაღი ჩინეთთან ჰიბრიდულ ომში.

# რას ნიშნავს ფემინისტური მოძრაობა «დამნაშავე არ ვარ — 2020»



**ეს აქცია მეორე წელიწადია ეწყობა რუსეთისა და ევროპის 30-ზე მეტ ქალაქში. მის მიზნად გაცხადებულია იმ ქალების მხარდაჭერა, რომლებიც ოჯახურ ძალადობას განიცდიან.**

ამჯერად ფესტივალი იმართება ტაშკენტში 5 მარტიდან 20 მარტამდე, ორ შემოქმედებით მოედანზე. მსმენელების წინაშე გამოდიან ლექციებით სამართალმცოდნეობის საკითხებზე, აჩვენებენ ფილმებს, ეწყობა საპანელო დისკუსიები, დაიჯესტები და დებატები ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. დოკუმენტური ფოტოგრაფიის ცენტრში „139 Documentary center" გაიმართება საერთაშორისო გამოფენა „რა გეცვა შენ?"

ფესტივალის მხარდასაჭერად იმართება სხვადასხვა ღონისძიებანი არაკომერციულ საფუძველზე, რომლებზე დასწრებაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია. პროგრამა გამოქვეყნებულია სოციალურ ქსელებში.

ფესტივალის დროს შეგროვებული თანხა გაიგზავნება ქალებისა და ბავშვების სოციალურ-სამართლებრივი მხარდაჭერის ცენტრ „მეხრჟონში", რომელიც ფერგანის ოლქში მდებარეობს.

ასეთი აქციები, რომლებიც გაიმართა 2019 წელს და 2020 წლის დასაწყისში რამდენიმე ქალაქში, ხასიათდება ანტისახელმწიფოებრივი რიტორიკით, რომლის ტრანსლირებას აქციის მონაწილენი ახდენენ.

„მოძალადეები ხართ თქვენ — საზოგადოებრიობა. ძალოვნები. სახელმწიფო მჩაგვრელია, შენი მოძალადე მეთვალყურეა", ეს სიტყვები იმ სიმღერიდანაა, რომელიც აქციაზე გამოსულმა ქალებმა შეასრულეს.

სიმღერის ეს ტექსტი ესპანურიდანაა თარგმნილი: ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად და ა.შ. მთელ მსოფლიოში ქალები გამოდიან ქუჩაში და სახელმწიფოს, სამართალდამცავ ორგანოებსა და ოჯახს მოძალადეებს უწოდებენ.

**აღნიშნული აქცია ნაწილია გლობალური ფემინისტური მოძრაობის, რომელიც მოწოდებულია ე.წ. ქალების დაჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.**

ამ პიარაქციის დამახასიათებელი ნიშანია ოჯახური ძალადობის მასშტაბის მრავალჯერად გაზვიადებული წარმოდგენა. მაგალითად, **ქალთა უფლებების დამცველი რუსი ფემინისტები აცხადებენ, რომ რუსეთში ოჯახური ძალადობის გამო თითქოსდა 14000 ქალი იღუპება. სინამდვილეში, ოფიციალური სტატისტიკით უკვე 15 წელიწადია, იღუპება 300 ადამიანი წელიწადში.** თითოეული სიკვდილი ტრაგედიაა, მაგრამ რეალური სტატისტიკის ათჯერ მეტად წარმოდგენა ნიშნავს, რომ ფემინისტები შეგნებულად მანიპულირებენ საზოგადოებრივი აზრით.

ფემინისტი ქალების უსინდისობა შეიძლება ვუწოდოთ მათ მიერ იმ რეალობის დამალვას, რომ ოჯახებში კაცები გაცილებით მეტნი იღუპებიან.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქალების უფლებების ასე აშკარად გამოხატული გლობალური დაცვის მიზანი არ იფარგლება ძალადობის წინააღმდეგ გაცხადებული ბრძოლით.

**ჰილარი კლინტონმა** სახელმწიფო მდივნად ყოფნისას განაცხადა, რომ ქალთა უფლებები აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცენტრია. ქალთა უფლებების დაცვის იდეოლოგია საერთაშორისო პოლიტიკაზე გავლენის მძლავრ ფაქტორად წარმოჩინდა.

ქალთა ორგანიზაციების აქტივისტები, რომლებიც გამოზრდილ-გამოწრთობილნი იყვნენ საერთაშორისო ფემინისტური ორგანიზაციების მიერ, აქტიურად მონაწილეობდნენ ლიბიის, ეგვიპტის, ტუნისის და ა.შ. ხელისუფლებათა დამხობაში.

სწორედ ამიტომ საერთაშორისო აქციას „დამნაშავე არ ვარ-2020" გამოკვეთილი ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი სამაგრები ძალიან კარგია, ისინი უნდა დავიცვათ, მათ შორის იმ ადამიანების სისხლის სამართლებრივი დევნით, რომლებიც მათ ხელყოფენ. მათი სამაგრები კი სულელურია, ცუდი და ის, ვინც მათ მორყევას ცდილობს, გმირია, რომელსაც ჩვენი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს. როგორც ინტერნეტში გავრცელებულ ნახატშია, რომელზეც ერთ მხარეს არის „ჩვენი დიადი რწმენა“ (ამ შემთხვევაში „ჩვენი დასავლური ფასეულობები“, მეორე მხარეს — „მათი საზიზღარი ცრურწმენები“.**

# ჟურნალი TIME და ლიბერალური ფასეულობები

**1920-2020 წლების პერიოდის შერჩეულ და ამოკრეფილ მასალაში „წლის ქალი“, რომელიც ჟურნალმა Time-მ გამოაქვეყნა, რუსეთი წარმოდგენილია პანკ-ჯგუფ Pussy Riot-ით. ეს არჩევანი საკმაოდ ნიშანდობლივია: ზემოაღნიშნულ პერიოდში, ჟურნალ Time-ს აზრით, რუსეთში არ არიან უფრო ღირსეული კანდიდატები, რომლებიც მოხვდებოდნენ 100 გამორჩენილი ქალის სიაში.**


PUSSY RIOT-ი ტაძარში

შეგახსენებთ, რით გაითქვა ამ ჯგუფმა სახელი: **2012 წელს ჩაწერეს ვიდეო, რომელშიც მაცხოვრის სახელობის ტაძრის საკურთხეველში ცეკვავენ და ასრულებენ სიმღერას, რომელიც პარაკლისზე დამცინავი პაროდიით უკიდურეს მტრულ დამოკიდებულებას გამოხატავს როგორც ეკლესიის, ასევე სახელმწიფოს მიმართ.**

ჯგუფ Pussy Riot-ის წევრები დააპატიმრეს და ორი წლით აღუკვეთეს თავისუფლება ხულიგნობის გამო. ამან გამოიწვია მათ დასაცავად წამოწყებული კამპანია, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები (**ანგელა მერკელის** დონის), პოპულარული არტისტები (**პოლ მაკარტნის** დონის) და ავტორიტეტული უფლებადამცველი ორგანიზაციები (**Amnesty International**-ის დონის). ისინი მოითხოვდნენ გათავისუფლებას რეჟიმის მსხვერპლი პატიმრებისა, რომლებმაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ პოპულარობა მოიხვეჭეს და ურთიერთობა ჰქონდათ **ჰილარი კლინტონსა** და მსოფლიოს პოლიტიკური ელიტის უმაღლესი ფენების წარმომადგენლებთან.

ამიტომ **თავისი საქმით დაკავებული უბრალო დასავლელი ობივატელისთვის Pussy Riot-ის არჩევა, გარკვეულწილად, გასაგებია — მან ბევრი არაფერი იცის რუსეთზე და დაინტერესებულიც არ არის, მხოლოდ ყური მოუკრავს, რომ იქ არის საშინელი ტირანი Putin-ი, რომელსაც გაბედული ქალები დაუპირისპირდნენ.ამ საკითხზე თავის დროზე გაშმაგებული კამპანია მიმდინარეობდა, ამიტომ ეს მის მეხსიერებაში ჩაიბეჭდებოდა. სხვა რუსი ქალის შესახებ კი მან შეიძლება არც იცოდეს. ის არ არის რუსეთისა და ქალების წარმატებების სპეციალისტი — თავისი საქმე აქვს.**

მაგრამ ჩვენ სხვა რამეს უნდა ველოდოთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც საზოგადოებას პროფესიონალურად აწვდიან ინფორმაციას მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. მათ მეტი დრო უნდა დახარჯონ და გაარკვიონ, როგორები იყვნენ რუსი ქალები ბოლო 100 წელიწადში. მაგალითად, პირველი ქალი, ვინც კოსმოსში იფრინა — **ვალენტინა ტერეშკოვა.** არ შეიძლება იმის თქმა, რომ დასავლეთში მასზე არ ლაპარაკობდნენ. კოსმოსური თემატიკის ინგლისურენოვანი ვებგვერდები ტერეშკოვას გაფრენის წლისთავს ყოველთვის აღნიშნავენ და ხაზს უსვამენ მისი გმირობის დიდ მნიშვნელობას კაცობრიობისთვის, განსაკუთრებით — ქალებისთვის.

და მართლაც, კოსმოსში გაფრენა დიდი გმირობაა, რომელიც ითვალისწინებს სახიფათო (კოსმოსური ხომალდები არც იმხანად იყო უსაფრთხო ტრანსპორტი და არც ახლაა) ბარიერების გადალახვის მზადყოფნას, ხანგრძლივ და შეუპოვარ მომზადებას, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების დაძაბვას, გაფრენის მკაცრი დისკომფორტის გადატანას და სხვ.

**ტაძარში ცეკვა ნამდვილად არ არის უფრო ღირსეული და მნიშვნელოვანი გმირობა, ვიდრე კოსმოსში ქალის პირველი გაფრენა.**

თუმცა, თუ Time-ს რაღაც მიზეზის გამო არ სურს კოსმოსის თემას მიმართოს, შეიძლება იმ ქალების გახსენება, რომლებმაც თავი ხელოვნებაში გამოიჩინეს — ასეთები არიან მაგალითად, ბალერინა **მაია პლისეცკაია** ან კომპოზიტორი **სოფია გუბაიდულინა.**

ტაძარში შესრულებული ცეკვის ესთეტიკური დონე ნამდვილად არ იქნებოდა პლისეცკაიას გამოსვლის დონეზე მაღალი, ხოლო ჯგუფის რეპერტუარიდან სიმღერა „მოკალი სექსისტი, ჩამოირეცხე მისი სისხლი“, მუსიკალური თვალსაზრისით, ვერ დაჩრდილავს იმას, რაც შექმნა გუბაიდულინამ ან სხვა ქალმა კომპოზიტორმა.

ძნელია ამ პატივსაცემი გამოცემის უმეცრებაში დადანაშაულება, მაგრამ რადგან სახელდობრ, ამ პანკ-კოლექტივის არჩევა რუსების ქალთა ნაწილის წარმოსადგენად ფასეულობების გარკვეულ სისტემას ასახავს, ჩვენ უნდა ვნახოთ, რა სისტემაა ეს.

ჩვენ, ალბათ, გვეტყვიან, რომ ეს ფასეულობა არის **თავისუფლება** — ადამიანებს შეუძლიათ, ისეთი პერფორმანსები მოაწყონ, როგორიც უნდათ, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ შეურაცხმყოფლად აღიქვამს მას ეკლესია ან სახელმწიფო, ან ვინც უნდა იყოს. თავისუფლება — ეს არის შეურაცხყოფის თავისუფლებაც. ამაზე დგას და იდგება ცივილიზებული მსოფლიო. ამის დასაჯერებლად ჯერ კიდევ 2012 წელს იყო საჭირო გულუბრყვილობა გარკვეული ხარისხით, მას შემდეგ კი ამ ხარისხმა ძალიან მოიმატა.

**მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება სულაც არ მიიჩნევს დაუშვებლად თაყვანსაცემი ადგილებისა და სიმბოლოების შეურაცხყოფისთვის დევნას.**

**თუ ჩვენ დავიწყებთ Time-ს რედაქციის ან უნიკალური პანკ-კოლექტივის დანარჩენი მოყვარულების დამუნათებას, რომ ორმაგ სტანდარტს მიმართავენ, ისინი, უბრალოდ, ვერ გაგვიგებენ, მათ თვალში ლიბერალური დასავლეთი უმაღლესი ცივილიზაციაა უმაღლესი ფასეულობებით, დანარჩენები კი უბედური ველურები არიან, რომლებისთვისაც სასარგებლო იქნება, თუ უარს იტყვიან თავიანთ საზიზღარ ცრურწმენებზე და დასავლეთს მიბაძავენ. თუკი ველურებიდან (ამ შემთხვევაში ქალი ველურებიდან) ვინმე მიხვდება, რომ მათი ტრადიციული რწმენა და ქვეყნის ისტორია მხოლოდ ზიზღს იმსახურებს — მათ გულმხურვალედ უნდა დავუჭიროთ მხარი. ისინი ხომ მოუსვენარი ველურებისთვის ლიბერალური ადამიანის ტვირთს ეზიდებიან**

მაგალითად, 2011 წელს ლონდონში სტუდენტური გამოსვლებისას ახალგაზრდა სახელად **ჩარლზ გილმორი** (ჯგუფ Pink Floyd-ის გიტარისტის, **დევიდ გილმორის** ვაჟი) ჩაეჭიდა კენოტაფზე (დაღუპული ბრიტანელი მეომრების ხსოვნის პატივსაცემად აღმართული მემორიალი) ჩამოკიდებულ დროშას და მოურიდებლად დაიწყო აქეთ-იქით ქანაობა. ამის გამო მას 16 თვით აღუკვეთეს თავისუფლება. ციხიდან კი ის ბოდიშებით გამოვიდა, **ბოდიშებით „ათასობით ადამიანის საშინელი შეურაცხყოფისთვის,**


ჩარლზ გილმორი

**რომლებმაც სამშობლოსთვის გაწირეს თავი“.**

არავის — არც გილმორის თანამემამულე **პოლ მაკარტნის**, არც Amnesty International-ს, არც გამოხატვის თავისუფლებისთვის სხვა მებრძოლებს — არ უფიქრია მისი გამოსარჩლება.

რა თქმა უნდა, **არ შეიძლება უპატივცემულობის გამოჩენა დაღუპული ბრიტანელი მეომრების მიმართ. აი, 1812 წლის ომში დაღუპული რუსი ჯარისკაცების ხსოვნის პატივსაცემად აგებულ ტაძარში კი შეიძლება და საჭიროცაა პერფორმანსების მოწყობა.**

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სიმბოლოების შეურაცხყოფისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო გამკაცრდა — თანაც რამდენჯერმე.

2019 წელს აიოვას შტატში **ადოლფო მარტინესმა** სკანდალი ატეხა ბარში და მისი მფლობელი ტრანსგენდერი რომ გაენაწყენებინა, შენობაზე ჩამოკიდებული ლგბტ დროშას ცეცხლი წაუკიდა. ამ წვრილმანი ხულიგნობისთვის მარტინესს 15 წლით (!) პატიმრობა მიუსაჯეს. 15 წელი დროშის დაწვისთვის — და არც პოლ მაკარტნის, არც Amnesty International-ს, არც ლიბერალურ ელიტას კრინტი არ დაუძრავს.

რა არის ასეთი უცნაური საქციელის მიზეზი? ისინი რამდენიმეა, მაგრამ ძირითადი ზედაპირზე დევს. შევეცადოთ, პარალელები გავავლოთ, მაგრამ ბრიტანეთის შემთხვევა არ გამოდგება (დროშის დაწვისთვის რუსეთში 15 წლით არ სვამენ ციხეში). აი, ჩარლი გილმორის შემთხვევა კი საკმაოდ ახლოა.

წარმოიდგინეთ, რუსეთში გაიშალოს მძლავრი კამპანია მშფოთვარე სტუდენტის დასაცავად: **„თავისუფლება! თავისუფლება ჩარლი გილმორს, რომელიც იტანჯება ბრიტანული იმპერიალიზმის ჯურღმულებში!“ სინამდვილეში, კენოტაფი იმპერიალიზმისა და აგრესიის სამარცხვინო ძეგლია, რომლის დახმარებითაც მმართველი რეჟიმი ახალგაზრდებს მილიტარიზმის სულისკვეთებით ზრდის. როგორც პოეტმა თქვა, „დიდი ამბავი, მათ ბრიტანეთი გადაარჩინეს... უკეთესი ხომ არ იქნებოდა, არ გადაერჩინათ?“ საერთოდ, რა სამხედრო ძეგლები შეიძლება იყოს XXI საუკუნეში? სჯობს, ბრიტანეთის არმიის მხეცობებსა და დანაშაულებზე ვისაუბროთ! რა შუასაუკუნეობრივი უკუნეთია, ყმაწვილის ჩასმა ციხეში იმისთვის, რომ არ სურს ითამაშოს მილიტარისტული თამაში? სირცხვილი, სირცხვილი სისხლისმსმელ ბრიტანელ რეტროგრადებს!**

რა რეაქცია ექნებოდათ ამაზე ბრიტანეთში და, საერთოდ, დასავლეთში? რა თქმა უნდა, აღშფოთდებოდნენ. „მოსკოვი ცდილობს დასავლური ფასეულობების დანგრევას!“ — აყვირდებოდნენ ბრიტანული (და, საერთოდ, დასავლური) გაზეთები. თუმცა ისინი, ამის გარეშეც ყვირიან, კამპანია მშფოთვარე ახალგაზრდობის უფლებაზე, იხტუნაოს კენოტაფზე, გამოჩნდებოდა ბრიტანელი საზოგადოების ერთ-ერთი სამაგრის დანგრევის მცდელობად, საზოგადოებისა, რომელიც მადლიერია და პატივს სცემს მათ, ვინც სამშობლოსთვის გაწირა თავი. ამ მხრივ, რუსები და ბრიტანელები ერთმანეთს ჰგვანან — დაღუპულთა ხსოვნა ეროვნული ცნობიერების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ბრიტანეთის ლანდშაფტი სავსეა სამხედრო ძეგლებით, თვით ინგლისური ეკლესიების ვიტრაჟებზეც კი გამოსახავენ ბრძოლის ვე- ▶



მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლზე დაცემულ მეომრებს. ძეგლების მიმართ უპატივცემულობის გამომჟღავნება ნიშნავს საზოგადოების ცნობიერებაში ჩანერგვას იმისა, რომ ბრიტანეთისთვის ბრძოლა არ ღირს, ხოლო ადამიანები, რომლებიც დაიღუპნენ, იყვნენ სულელები, დამნაშავეებიც კი, და, საერთოდ, ეს ქვეყანა სულაც არ იმსახურებს ერთგულებას. გასაგებია, რომ ამას ინგლისელები არ მოითმენენ — არც ემოციების და არც ფხიზელი გათვლების დონეზე. გილმორის შემთხვევაშიც არ მოითმინეს.

გილმორის საქციელის მხარდამჭერ ჰიპოთეზურ კამპანიას კი აღიქვამდნენ როგორც ერთი სახელმწიფოს (მოცემულ შემთხვევაში — რუსეთის) მცდელობას, მოარყიოს მეორე სახელმწიფოს (ბრიტანეთის) შემაკავშირებელი სამაგრები — დიახ, ბრიტანეთს აქვს სამაგრები, მათ ბრიტანელები პოლიციითა და სასამართლოთი იცავენ.

როცა დასავლურ (კერძოდ, ბრიტანულ) სამაგრებზე თავდასხმა აღმაშფოთებელი დანაშაულია, რომელიც სასამართლომ უნდა განიხილოს, რუსულზე პირიქით არის — ეს არის გმირობა, რომელიც ხოტბას იმსახურებს წლების შემდეგაც. ეს მარტივი ასახსნელია.

ეს დაპირისპირების ჩვეულებრივი ლოგიკაა — **ჩვენი სამაგრები ძალიან კარგია, ისინი უნდა დავიცვათ, მათ შორის იმ ადამიანების სისხლის სამართლებრივი დევნით, რომლებიც მათ ხელყოფენ. მათი სამაგრები კი სულელურია, ცუდი და ის, ვინც მათ მორყევას ცდილობს, გმირია, რომელსაც ჩვენი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს. როგორც ინტერნეტში გავრცელებულ ნახატშია, რომელზეც ერთ მხარეს არის „ჩვენი დიადი რწმენა“ (ამ შემთხვევაში „ჩვენი დასავლური ფასეულობები“, მეორე მხარეს — „მათი საზიზღარი ცრურწმენები“.**

თუ ჩვენ დავიწყებთ Time-ს რედაქციის ან უნიკალური პანკ-კოლექტივის დანარჩენი მოყვარულების დამუნათებას, რომ ორმაგ სტანდარტს მიმართავენ, ისინი, უბრალოდ, ვერ გაგვიგებენ, მათ თვალში ლიბერალური დასავლეთი უმაღლესი ცივილიზაციაა უმაღლესი ფასეულობებით, დანარჩენები კი უბედური ველურები არიან, რომლებისთვისაც სასარგებლო იქნება, თუ უარს იტყვიან თავიანთ საზიზღარ ცრურწმენებზე და დასავლეთს მიბაძავენ. თუკი ველურებიდან (ამ შემთხვევაში ქალი ველურებიდან) ვინმე მიხვდება, რომ მათი ტრადიციული რწმენა და ქვეყნის ისტორია მხოლოდ ზიზღს იმსახურებს — მათ გულმხურვალედ უნდა დავუჭიროთ მხარი. ისინი ხომ მოუსვენარი ველურებისთვის ლიბერალური ადამიანის ტვირთს ეზიდებიან.

ამის გამო წყენა და აღშფოთება უაზრობაა. უბრალოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ასე ხედავენ სამყაროს. მაგრამ ჩვენც გვაქვს უფლება, სხვაგვარად ვხედავდეთ სამყაროს — და პატივი მივაგოთ ჩვენი წინაპრების რწმენასა და ჩვენი დაღუპულების ხსოვნას. ჩვენ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. ასე იქცევა ყველა ხალხი.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული სერგეი ხუდიევის მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

---

# თურქეთისთვის არც ნატო აიტკივებს თავს და არც ევროკავშირი

**იდლიბზე კონტროლის შესანარჩუნებლად პროთურქულად განწყობილი „ბოევიკები“ ასადის არმიას დაუპირისპირდნენ. ბრძოლა დაახლოებით 2 კვირას გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ერდოღანმა არაერთხელ მიმართა ნატოს დახმარებისთვის, მაგრამ ალიანსის წევრებმა და ევროკავშირის ხელმძღვანელობამ მოუწოდეს თურქეთის ხელისუფლებას, რუსეთთან ერთად დაეძლია კრიზისი იდლიბში. ცეცხლის შეწყვეტა და ვითარების სტაბილიზაცია მოხერხდა მხოლოდ 5 მარტს პუტინისა და ერდოღანის მოლაპარაკებების შემდეგ.**


ერდოღანი და პუტინი

**ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების შემდეგ რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ნატოს შტაბ-ბინას მიაშურა თურქეთ-სირიის საზღვრის დასაცავად დამატებითი დახმარების მისაღებად. ერდოღანი იმუქრება, რომ, თუ ბრიუსელი არ დაეხმარება, ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება და არაორაზროვნად მიუთითებს მიგრანტების პრობლემაზე.**

## ევროპის სამხრეთი საზღვრების დასაცავად

„ჩვენ ვიყავით ევროპისა და ნატოს ბასტიონი სირიის მხრიდან ამ ქვეყანაში ცხრაწლიანი კონფლიქტის განმავლობაში. თურქეთი ნატოს ერთადერთი წევრია, რომელიც „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძოდა. ჩვენ 3,7 მლნ სირიელი ლტოლვილი მივიღეთ და ახლა მოკავშირეების დახმარების იმედი გვაქვს“. — შეახსენა ერდოღანმა **იენს სტოლტენბერგს.** ნატოს გენერალური მდივანი დაეთანხმა შეფასებას, რომ იდლიბში რთული სიტუაციაა შექმნილი და თქვა, რომ ალიანსი მზად არის, ანკარის დასახმარებლად „სხვადასხვა მეთოდით“, მაგრამ სტოლტენბერგის ბუნდოვანმა ფორმულირებამ ვერ დააკმაყოფილა ერდოღანი, და მან ალიანსის წევრებს კონკრეტული მხარდაჭერა მოსთხოვა ქვეყნის სამხრეთი საზღვრების დასაცავად.

„სირიისა და თურქეთის საზღვარი — ეს არის ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი. სირიის კრიზისი — ეს საფრთხეა ჩვენი რეგიონისთვის და სრულიად ევროპისთვის როგორც უსაფრთხოების, ისე ჰუმანიტარულ სფეროში. არც ერთი ევროპული ქვეყანა არ უნდა დარჩეს გულგრილი სირიის ტრაგედიისადმი“, — მოითხოვდა ერდოღანი.

თურქეთის ლიდერმა გააკრიტიკა ის ქვეყნები, რომლებმაც ანკარა მიგრაციული კრიზისის ხელოვნურად ესკალაციაში დაადანაშაულეს. თვითონ ევროკავშირის წევრებიც ხომ არცთუ იშვიათად იყენებენ ამ თემას, „რათა მოიპოვონ დაუსაბუთებელი პრეფერენციები“. თუმცა, ერდოღანს არ განუმარტავს, რომელ ქვეყნებს გულისხმობდა. დისკუსიის ტემპერატურის დასაწევად ნატოს გენმდივანმა, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო კონკრეტულად ლაპარაკი. „ნატო ანკარას დაეხმარება სარაკეტო სისტემებით, რომლებიც ქვეყანას დაიცავს სირიისგან მომდინარე საფრთხისაგან“. — დაჰპირდა ერდოღანს სტოლტენბერგი.

## შეთანხმება მიგრანტებზე

ალიანსის მხრიდან დახმარების პირობის მიღების შემდეგ ერდოღანი გაემართა ევროსაბჭოს მეთაურ **შარლ მიშელსა** და ევროკომისიის ხელმძღვანელ **ურსულა ფონ დერ ლაიენთან** შესახვედრად. თურქეთის ლიდერმა განაცხადა, რომ არ შეუძლია იდლიბიდან წამოსული ლტოლვილების ნაკადის შეჩერება და ამიტომ გადაწყვიტა, გაეხსნა საზღვარი ევროკავშირთან.

ევროკომისიის ხელმძღვანელმა, თავის მხრივ, აღიარა, რომ ანკარასა და ბრიუსელის მიდგომები პრობლემის გადაწყვეტის მიმართ ხშირად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ დიალოგი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. „მიგრანტებს სჭირდებათ მხარდაჭერა, სებერძნეთს სჭირდება მხარდაჭერა, თუმცა თურქეთსაც, აგრეთვე, სჭირდება“. — განაცხადა ფონ დერ ლაიენმა.

მოლაპარაკებებმა 2 საათს გასტანა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ განაახლებდნენ ხელშეკრულებას არალეგალური მიგრაციის შეზღუდვის შესახებ. უახლოეს დღეებში შექმნიან სამუშაო ჯგუფს. თანათავმჯდომარეები იქნებიან ევროპული დიპლომატიის მეთაური **ჟოზეპ ბორელი** და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **მევლუთ ჩავუშოღლუ.**

ერდოღანმა მოლაპარაკება შეაფასა, როგორც პროდუქტიული, თუმცა ევროპელ მაღალჩინოსნებთან ერთობლივი პრესკონფერენციის გამართვაზე უარი განაცხადა.

## გეგმები, რეალური და მოჩვენებითი

იდლიბში ვითარების გამწვავებამდე, რომლის პიკიც თებერვალში იყო, ერდოღანი გეგმავდა, სახელდობრ, იქ განეთავსებინა ყველა სირიელი ლტოლვილი. მათ შესანახავად სახსრები ევროკავშირის ბიუჯეტიდან გამოიყო. თანხაზე ლაპარაკი იყო მიგრაციულ კრიზისთან ბრძოლის ერთობლივ გეგმაში, რომელიც ანკარამ და ბრიუსელმა 2016 წელს შეათანხმეს.

ლტოლვილთა გარდა, იდლიბში ერდოღანი გეგმავდა სირიული ოპოზიციის რაზმების განლაგებასაც. პრეზიდენტ **ბაშარ ასადის** მოწინააღმდეგეების მხარდაჭერით, მას სურდა, გავლენა მოეხდინა რეგიონში რეგულირების პროცესზე. ერდოღანი დიდი ხნის განმავლობაში არად აგდებდა იმას, რომ ანტიასადის ქვედანაყოფებში ბევრი იყო ტერორისტული ორგანიზაცია „ჰაიათ თახრირ აშ-შამის“ მომხრე.

მოსკოვმა არაერთხელ მიუთითა, რომ დაუშვებელი იყო ტერორისტების ყოფნა დეესკალაციის ზონაში. ერდოღანმა განაცხადა, რომ გაერკვეოდა, მაგრამ მან ვერ შეძლო ტერორისტებისგან ოპოზიციის გამოცალკევება. შედეგად ამ ტერიტორიაზე სირიის სამთავრობო ჯარების შეტევამ, რომელიც ზამთარში დაიწყო, თურქეთის ლიდერის ყველა გეგმა ჩაფუშა.

იდლიბზე კონტროლის შესანარჩუნებლად პროთურქულად განწყობილი „ბოევიკები“ ასადის არმიას დაუპირისპირდნენ. ბრძოლა დაახლოებით 2 კვირას გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ერდოღანმა არაერთხელ მიმართა ნატოს დახმარებისთვის, მაგრამ ალიანსის წევრებმა და ევროკავშირის ხელმძღვანელობამ მოუწოდეს თურქეთის ხელისუფლებას, რუსეთთან ერთად დაეძლია კრიზისი იდლიბში. ცეცხლის შეწყვეტა და ვითარების სტაბილიზაცია მოხერხდა მხოლოდ 5 მარტს პუტინისა და ერდოღანის მოლაპარაკებების შემდეგ. ამ დღეებში ორივე ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებმა უსაფრთხოების დერეფანი უნდა შექმნან ტრასა M4-ის გასწვრივ, რომელიც სირიის საზღვაო პორტებს აკავშირებს ქვეყნის პროვინციებთან. ამ არტერიის ერთობლივად პატრულირება თურქმა და რუსმა სამხედროებმა 15 მარტიდან დაიწყეს.

**«როდესაც თურქეთი ატარებდა ოპერაციას სირიაში ქურთების წინააღმდეგ, ამერიკელები და ნატო მათ დაჰპირდნენ, რომ დაიცავდნენ. მაგრამ მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვებით შემოიფარგლა. ანალოგიური რამ ხდება ახლაც. ძალიან საეჭვოა, ალიანსმა თურქეთის ინტერესები დაიცვას სირიაში. ერთადერთი, რასაც დასავლეთი ხელს შეუწყობს, არის სირია-თურქეთის საზღვრის გამაგრება, რათა მოხდეს ლტოლვილთა მდგომარეობის დარეგულირება»**


ერდოღანი, შარლ მიშელი და ურსულა ფონ დერ ლაიენი



აღსანიშნავია, რომ რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტების შეთანხმებაში არ არის პუნქტი ლტოლვილების პრობლემის შესახებ.

„როდესაც თურქეთი ატარებდა ოპერაციას სირიაში ქურთების წინააღმდეგ, ამერიკელები და ნატო მათ დაჰპირდნენ, რომ დაიცავდნენ. მაგრამ მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვებით შემოიფარგლა. ანალოგიური რამ ხდება ახლაც. ძალიან საეჭვოა, ალიანსმა თურქეთის ინტერესები დაიცვას სირიაში. ერთადერთი, რასაც დასავლეთი ხელს შეუწყობს, არის სირია-თურქეთის საზღვრის გამაგრება, რათა მოხდეს ლტოლვილთა მდგომარეობის დარეგულირება“. — ასეთია ექსპერტთა აზრი.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სასაცილოა თქმა იმისა, რომ ომი პარტიამ, კოალიციამ, რუსულმა ზამთარმა და ღვთისმშობლის ხატმა მოიგო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ხატი, რომელმაც მსოფლიო და მისი კულტურა გადაარჩინა ჯერ არ გამოჭედილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა იმის სადიდებლად, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა.

# სტალინი და სტალინგრადი

**13 მარტის დილის 4 საათი იყო, როცა კრემლის კურანტების ხმამ გამაღვიძა... გული დამწყდა, რადგან სიზმარში თითქმის ცხადად ვხედავდი, როგორ დაეჯახა სტალინის დაჯავშნილ მანქანას (რომლითაც კორტეჟის გარეშე გადაადგილდებოდა დანგრეული სტალინგრადის ქუჩებში) „პალტარატონკა“ — სატვირთო ავტომობილი, რომელსაც ქალი მართავდა. როგორც კი მძღოლმა დაინახა მანქანაში მჯდომი პიროვნება და მასში სტალინი ამოიცნო, მიწაზე დაენარცხა და მუშტები წაიშინა თავში. სტალინი სასწრაფოდ გადმოვიდა მანქანიდან, ქალი ფეხზე წამოაყენა და დაამშვიდა: „ეს თქვენი ბრალი არ არის. საშინელი ომის ბრალია, ყველაფერი მალე აღდგება და მოწესრიგდება.“ შემდეგ თავისი დაცვის უფროსს, ვლასიკს დაავალა, განკარგულება გაეცა, რომ ქალი ყოველგვარი კითხვა-დაკითხვისაგან გაეთავისუფლებინათ...**



მოლოტოვი, ვოროშილოვი, შჩერბაკოვი, სტალინი, ვასილევსკი, როკოსოვსკი განიხილავენ გეგმას სტალინგრადის რაიონში პაულიუსის არმიის ალყაში მოსაქცევად

ჩემი სიზმრის შეწყვეტაში დამნაშავე არა კრემლის კურანტები, არამედ ჩემი კედლის საათი იყო, რომელიც კრემლის კურანტების მსგავს მელოდიას გამოსცემს ყოველ ნახევარ საათში. ხოლო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ასეთი შინაარსის სიზმარი ვნახე იყო ის, რომ, რადგან დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75 წლისთავი ახლოვდება, რედაქციამ დამავალა, წერილი სტალინგრადის დაცვაზე გამეკეთებინა და ეს დავალება ძილშიც ჩამყვა.

ზემოაღწერილი საგზაო ინციდენტი კი თეირანის კონფერენციიდან დაბრუნებულ სტალინს მართლაც შეემთხვა, როდესაც საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის დათვალიერების მიზნით ბაქოდან მანქანით გაემგზავრა მოსკოვში. მანამდე კი აი, როგორ მიდიოდა საქმე:

საბჭოთა კავშირის მარშალი **ალექსანდრე ვასილევსკი** ყვება: „სტალინმა კერძო საუბარში მითხრა **„სტალინგრადიდან ჰიტლერი არ წავა, შეიძლება კავკასიიდან ფეხი ამოიკვეთოს, მაგრამ სტალინგრადიდან ჯარის ნაწილებს არ გაიყვანს, რადგან ის ჩემ სახელთან არის დაკავშირებული“.** (ენციკლოპედია „სტალინი,“ გვ.391.)

არც ერთი საომარი ოპერაცია იმდენ ხანს არ მზადდებოდა, რამდენ ხანსაც სტალინგრადის დაცვის, ჰიტლერელთა ალყაში მოქცევისა და განადგურების ოპერაცია, რომელზეც დამოკიდებული იყო მსოფლიოს ბედი და ჰიტლერის სამომავლო გეგმები.

სტალინგრადი და ფერდმარშალი **პაულიუსი** ჰიტლერის ბერმუდის სამკუთხედი იყო, რომელსაც საბჭოთა კავშირი უნდა შთაენთქა.

გენერალური შტაბის მიერ დიდი ხნის განმავლობაში შემუშავებული გეგმის განხორციელებით გამარჯვებაში დარწმუნებული **გიორგი ჟუკოვი** 1942 წლის 17 ივლისს მაღალი სიხშირის ტელეფონით დაუკავშირდა სტალინს და სთხოვა ნებართვა, დაეწყო გადამწყვეტი შეტევა სტალინგრადთან თავმოყრილი ფაშისტების ჯარებზე და მთავარსარდალი დაარწმუნა ოპერაციის წარმატებით დასრულებაში.

1942 წლის 12 სექტემბერს სტალინმა გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელებით გამარჯვებაში დარწმუნებული **გიორგი ჟუკოვი** და გენშტაბის უფროსი **ალექსანდრე ვასილევსკი** კრემლში გამოიძახა. დაიწყო გეგმის განხილვა. სტალინმა ეჭვი შეიტანა გროზნოს ნავთობსაბადოს დაცვის საიმედობაში და იკითხა:

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჰიტლერს საიმედოდ ჩავუკეტოთ გროზნოსთან მისასვლელი დერეფანი? სტალინი თავისი სამუშაო რუკით განმარტოვდა სხვა მაგიდაზე და დაიწყო მასზე მონიშვნა. ჟუკოვი და ვასილევსკი კაბინეტის სხვა კუთხიდან უთვალთვალებდნენ სტალინის ყოველ მოძრაობას და ჩუმად საუბრობდნენ, სტალინს ხელი რომ არ შეშლოდა, მაგრამ სტალინმა ყური მოჰკრა სიტყვებს — „სხვა გეგმა“-ს და რუკიდან თავის აუწევლად იკითხა:

— რომელ სხვა გეგმაზეა საუბარი?

სარდლები სახტად დარჩნენ — ძალიან გაუკვირდათ, როგორ გაიგონა სტალინმა მათი კონსპირაციული საუბარი. სტალინი წელში გაიმართა და ჟუკოვსა და ვასილევსკის მიუახლოვდა.

— აი რა, — თქვა სტალინმა,— წაიღეთ თქვენი გეგმა გენშტაბში და ამაღამ ამ გეგმაზე კიდევ იმუშავეთ, ხვალ კი, 9 საათზე, ისევ აქ შევხვდეთ ერთმანეთს. გაითვლისწინეთ კავკასიის ფრონტის ადგილი ოპერაციაში. — დასძინა სტალინმა.

მეორე დილით გეგმა დაწვრილებითი განიხილეს და ძირითადი მიმართულებების ნაწილი შეიცვალა.

**— რაც ჩვენ, სამმა კაცმა ვიცით, არავინ უნდა იცოდეს, —შენიშნა სტალინმა, — მაგრამ ერთს კი გთხოვთ, ყოველგვარ გეგმას, რაგინდ კარგად უნდა იყოს შედგენილი, თუ ის ძირითად რგოლებამდე არ არის დაყვანილი და მისი შესრულება პატრიოტიზმითა და სამშობლის დაცვის ინტერესებით არ იქნება ნაკარნახევი, დამარცხება უწერია. უნდა ჩახვიდეთ სტალინგრადში და მოამზადოთ არმიები იდეური თვალსაზრისით. ვიჩქაროთ ნელა. გერმანელები სტალინგრადთან არ ჩქარობენ, მოფიქრების დრო გვაქვს.**

ჟუკოვი და ვასილევსკი ამის შემდეგ კიდევ ორჯერ შეხვდნენ სტალინს გეგმაში სხვადასხვა შესწორების შესატანად. როდესაც სტალინმა მიიჩნია, რომ გეგმა სრულყოფილი იყო, იკითხა:

— ვინ დაიკისრებს პასუხისმგებლობას სტალინგრადის ოპერაციის წარმატებით დასრულებაზე — ამხანაგი ჟუკოვი თუ ამხანაგი ვასილევსკი?

— ჩვენ შეთანხმებული ვართ ოპერაციაზე პასუხისმგებლობა დაიკისროს ვასილევსკიმ. — უპასუხა ჟუკოვმა.

— სტალინგრადის ოპერაცია ყველა მიმართულებით მომზადებული და უზრუნველყოფილია. ვასილევსკიმ თავის თავზე უნდა აიღოს სამხედრო შენაერთების სრული კოორდინაცია. — დაასკვნა სტალინმა.

**ოპერაციის გადამწყვეტ მომენტში ცნობილი შეიქნა, რომ პაულიუსის მე-6 არმიის დასახმარებლად სტალინგრადისკენ მიემართებოდა ფელდმარშალ მანშტეინის სატანკო არმია. ამან გამოიწვია სტალინგრადის ფრონტის რიგი სტრატეგიული საკითხების შეცვლა, გადაიდო ოპერაციის ჩატარების დროც. სტალინგრადი უნდა გაძლიერებულიყო არტილერიით, რისთვისაც მობილიზებული იქნა დამატებითი ძალები**



ოპერაციის გადამწყვეტ მომენტში ცნობილი შეიქნა, რომ **პაულიუსის** მე-6 არმიის დასახმარებლად სტალინგრადისკენ მიემართებოდა ფელდმარშალ **მანშტეინის** სატანკო არმია. ამან გამოიწვია სტალინგრადის ფრონტის რიგი სტრატეგიული საკითხების შეცვლა, გადაიდო ოპერაციის ჩატარების დროც. სტალინგრადი უნდა გაძლიერებულიყო არტილერიით, რისთვისაც მობილიზებული იქნა დამატებითი ძალები.

**1942 წლის 15 ნოემბერს სტალინმა ნება დართო ჟუკოვსა და ვასილევსკის, თავიანთი შეხედულებისამებრ გადაეწვიტათ შეტევის დაწყების თარიღი. ორი დღის შემდეგ ჟუკოვმა და ვასილევსკიმ სტალინს მოახსენეს, რომ დონის ფრონტის ჯარები შეტევას დაიწყებენ 19 ნოემბერს, ხოლო სტალინგრადის ფრონტის — 20 ნოემბერს.**

მაგრამ 17 ნოემბერს მაღალი სიხშირის ტელეფონის ზარი გაისმა ვასილევსკის სამეთაურო შტაბში:

— გამარჯობა, ამხანაგო ვასილევსკი, თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვს, მოსკოვში უნდა ჩამოხვიდეთ.

— ამხანაგო სტალინ, როგორ ჩამოვალ მოსკოვში, როდესაც ზეგ ვიწყებ შეტევას? — უპასუხა ვასილევსკიმ.

— საქმე ისეთია, რომ თქვენ აუცილებლად უნდა იყოთ მოსკოვში, დაბრუნებას მოასწრებთ, თქვენთან მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განვიხილო.

**პოსკრებიშევმა** ვასილევსკი მიიწვია სტალინის კაბინეტში, სადაც სტალინი სულ სხვა საკითხზე ატარებდა თათბირს.

სტალინის კაბინეტში ისხდნენ **მალენკოვი, ბერია, მიქოიანი, ვოზნესენსკი** და **მოლოტოვი.** სტალინი მიესალმა ვასილევსკის და მიუთითა, საწერ მაგიდასთან დამჯდარიყო. თვითონ კი მივიდა თავის სამუშაო მაგიდასთან, უჯრა გამოაღო, ამოიღო კონვერტი და ვასილევსკის წინ დაუდო:

— წაიკითხე, მანამდე ჩვენ ჩვენს საქმეს მოვრჩებით, — უთხრა სტალინმა და სათათბირო მაგიდას დაუბრუნდა.

**„კონვერტი გავხსენი, — იგონებს ვასილევსკი, — ის დაწერილი იყო მეოთხე მოტორიზებული კორპუსის სარდლის, ვოლსკის მიერ. ვოლსკი სტალინს აუწყებდა როგორც კომუნისტი და მებრძოლი ტანკისტი, რომ სტალინგრადის ოპერაცია განწირულია დასაღუპავად და ამიტომ ვალდებულია, საქმის ყურში ჩააყენოს უმაღლესი მთავარსარდალი, რათა შეაჩეროს შეტევის დაწყება და შეცვალოს გენერალური გეგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიშლება არა მხოლოდ სტალინგრადის დაცვა არამედ საბოლოოდ გადაიწურება გამარჯვების იმედიც“.**

კითხულობდა ვასილევსკი წერილს და ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე.

სტალინმა თათბირი დაამთავრა, მონაწილენი დაითხოვა და ვასილევსკის მიუბრუნდა:

— რა შეგიძლია თქვათ ამ წერილის შესახებ, ამხანაგო ვასილევსკი?

— შეშფოთებული ვარ.

— რას ფიქრობთ ამ წერილის გაცნობის შემდეგ ჩვენი გეგმების განხორციელებაზე?

— შეტევის განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგება და მის წარმატებაში დარწმუნებული ვარ. — უპასუხა ვასილევსკიმ.

— რით ხსნით ამ წერილის დაწერის მიზეზს?

— მგონია, ეს ყველაფერი გასული დღეების დაძაბული მუშაობისა და ფიქრის შედეგია. გადაღლის შედეგი. ამას რეალობასთან კავშირი არა აქვს.

— ამ წერილის შემდეგ რას ფიქრობთ — შეიძლება მისი ამ პოსტზე დატოვება?

ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ვასილევსკიმ თქვა: — მიმაჩნია, რომ ვოლსკი საუკეთესო მეთაურია და უფრო სწორი იქნება მისი თანამდებობაზე დატოვება, მაგრამ მას ამის თაობაზე უნდა ველაპარაკო.

— შეგიძლიათ დამაკავშიროთ ვოლსკი? მინდა მას პირადად ველაპარაკო.

— ვასილევსკი დაუკავშირდა თავის სამეთაურო პუნქტს და ტელეფონთან მოაყვანინა ვოლსკი. ყურმილი სტალინს გადასცა.

— გამარჯობა, ვოლსკი! წავიკითხე თქვენი წერილი და იცით, რა უნდა გითხრათ? — არასწორად გაქვთ შეფასებული საკუთარი თავი და ძალები. თქვენ გაბედული და უშიშარი მეთაური ხართ და სრულიად დაუმსახურებლად გაქვთ გული გატეხილი. დარწმუნებული ვარ, პირნათლად მოიხდით ვალს სამშობლოს წინაშე. ამ წერილის შესახებ არავინ იცის და არც არავის გავაგებინებ, მხოლოდ ვასილევსკის წავაკითხე და მანაც თქვა, გადაღლილობისა და აღელვების შედეგიაო. ასე რომ, ნურაფრის შეგეშინდებათ, გამაგრდით და იბრძოლეთ როგორც გეკადრებათ, ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით, გისურვებთ წარმატებებს!

სტალინის სიტყვებით აღტაცებულმა ვოლსკიმ საბჭოთა კავშირის მთავარსარდალს ერთგულება აღუთქვა. სტალინმა კი მას მადლობა გადაუხადა.

შეტევა დანიშნულ დროს დაიწყო. სტალინის ბრძნული გადაწყვეტილებებითა და საბჭოეთის ხალხების თავგანწირვის შედეგად ფაშის- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კონვერტი გავხსენი, — იგონებს ვასილევსკი, — ის დაწერილი იყო მეოთხე მოტორიზებული კორპუსის სარდლის, ვოლსკის მიერ. ვოლსკი სტალინს აუწყებდა როგორც კომუნისტი და მებრძოლი ტანკისტი, რომ სტალინგრადის ოპერაცია განწირულია დასალუპავად და ამიტომ ვალდებულია, საქმის ყურში ჩააყენოს უმაღლესი მთავარსარდალი, რათა შეაჩეროს შეტევის დაწყება და შეცვალოს გენერალური გეგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიშლება არა მხოლოდ სტალინგრადის დაცვა არამედ საბოლოოდ გადაიწურება გამარჯვების იმედიც“.**

**«გამარჯობა, ვოლსკი! წავიკითხე თქვენი წერილი და იცით, რა უნდა გითხრათ? — არასწორად გაქვთ შეფასებული საკუთარი თავი და ძალები. თქვენ გაბედული და უშიშარი მეთაური ხართ და სრულიად დაუმსახურებლად გაქვთ გული გატეხილი. დარწმუნებული ვარ, პირნათლად მოიხდით ვალს სამშობლოს წინაშე. ამ წერილის შესახებ არავინ იცის და არც არავის გავაგებინებ, მხოლოდ ვასილევსკის წავაკითხე და მანაც თქვა, გადაღლილობისა და აღელვების შედეგიაო. ასე რომ, ნურაფრის შეგეშინდებათ, გამაგრდით და იბრძოლეთ როგორც გეკადრებათ, ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით, გისურვებთ წარმატებებს!»**

◀ტებმა მწარე მარცხი იგემეს სტალინგრადის მისადგომებთან. სტალინგრადთან გამარჯვება მთავარსარდალს პირველმა ვასილევსკიმ მიულოცა. სტალინს არ დავიწყებია წერილის ავტორი ვოლსკი და ვასილევსკის ჰკითხა, როგორ იბრძოდა სატანკო კორპუსი, რომელსაც ვოლსკი მეთაურობდა.

— უპირველესი როლი შეასრულა ოპერაციის წარმატებით დასრულებში. — უპასუხა ვასილევსკიმ

— აი რას გთხოვ, ამხანაგო ვასილევსკი, დღესვე მონახე რამე საჩუქარი და კორპუსის წინაშე ჩემი სახელით გადაეცით ვოლსკის, სხვა ჯილდოზე აქ კრემლში ვიფიქრებთ.

**ვასილევსკიმ თავისი პირადი იარაღი — გერმანული პისტოლეტი „ვალტერი“ — დაცვის წევრს გაატანა ხელოსანთან, რომელმაც ოქროს ფირფიტა გაუკეთა და მასზე ამოტვიფრა: „სახსოვრად ვოლსკის სტალინისგან.“ ეს იარაღი ვასილევსკიმ კორპუსის წინაშე საზეიმოდ გადასცა ვოლსკის.**

1943 წლის 2 თებერვალს დასრულდა სტალინგრადის დაცვის 200-დღიანი გმირული ეპოპეა, რომელიც ოქროს ასოებით შევიდა მსოფლიო ომების ისტორიაში.

1949 წელს **კლიმენტ ვოროშილოვი** წერდა:

„მსოფლიო ომების ისტორიაში ამიერიდან შევა სტალინგრადის ბრძოლაც, როგორც ბრძოლის კლასიკური ნიმუში.“

1943 წლსი 4 თებერვალს მოსკოვში ჩაფრინდნენ ალექსანდრე ვასილევსკი და **ნიკოლოზ ვორონოვი**, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის წარმომადგენლები. ისინი სტალინმა დაუყოვნებლივ მიიღო. სანამ სამხედროები სამხედრო სალმით მოახსენებდნენ სტალინგრადის ოპერაციის შედეგებს, სტალინი მათ კართან მიეგება, გამარჯვება მიულოცა.

იმავე დღეს სტალინგრადის ეპოპეის ხელმძღვანელ ბირთვს — ვასილევსკის, ჟუკოვსა და სტალინს უმაღლესი სამხედრო წოდება — საბჭოთა კავშირის მარშლობა ებოძათ..

**სტალინგრადის ბრძოლას და მის მნიშვნელობას ფასი ეკარგება თუ არ ვახსენებთ 1942 წლის 27 ნოემბრის საღამო, როდესაც „ბოდოს“ აპარატით ბოლო ინსტრუქციები მისცა სტალინგრადის გმირ დამცველებს ქვეყნის მთავარსარდალმა. ეს დიალოგი სამამულო ომის ოქროს გვირგვინია, რომელიც სტალინს ადგას თავზე,** აი ისიც:

სტალინგრადი. 1942 წლის 27 ნოემბერი. აპარატ „ბოდოსთან“ სტალინი დგას და ესაუბრება სტალინგრადში მყოფ ვასილევსკისა და **ვატუტინს.**

— არ დაგიმთავრებიათ ერთი საქმე და იწყებთ მეორეს. მტერი ალყაში გყავთ მოქცეული, რისთვისაც დაკავებული გყავთ სამი არმია, რას უყურებთ. რატომ არ გამოათავისუფლებთ არმიებს, რომლებმაც უნდა იბრძოლოს და არა იყარაულოს. დაუყოვნებლივ შეასრულეთ ჩემი ბრძანება, საჭიროა, შექმნათ პატარა ოპერატიული პუნქტი 10-15 კაცის შემადგენლობით, რომელიც გააკონტროლებს ბლოკირებული შენაერთების იზოლაციას. რაც შეიძლება უფრო შეავიწროვეთ რკალი. მიხაილოვმა (ჟუკოვმა) მხოლოდ ამ მიმართულებით იმუშაოს და თავი დაანებოს „სატურნის“ გეგმაზე მუშაობას, რაც შეეხება „სატურნის“ გეგმის მომზადებას, ის განახორციელოს ვატუტინმა და **კუზნეცოვმა.** მოსკოვი მათ აუცილებლად დაეხმარება. მეორე — გაკვირვებული ვარ, საიდან აიღო **ლელიუშენკომ** 8 საბრძოლო დივიზია, რა გამოთქმაა და რა მიმართვაა — ლელიუშენკოს მარჯვენა და ლელუშენკოს მარცხენა ფრთა, როდესაც ლელუშენკოს ჰყავს ერთი გვარდიული არმია?

**ვასილევსკი:** — კარგად მესმის, რომ გერმანელთა სტალინგრადის დაჯგუფების განადგურება ჩვენი ძირითადი ამოცანაა, მაგრამ ამხანაგმა ბერიამ თქვენი სახელით გამოგვიცხადა, რომ „სატურნს“ განაგებს თვითონ. მე მზად ვარ, შევასრულო თქვენი ბრძანება.

**სტალინი:** — როგორია თქვენი სხვა გეგმები? სად ფიქრობთ განალაგოთ „დონცოვის“ და „ივანოვის“ ოპერპუნქტები, სად იქნება „ვორონოვი“ — თქვენთან თუ დაუბრუნდება „სატურნის“ რაიონს?

**ვასილევსკი:** — აუცილებელია მოგახსენოთ არსებული მდგომარეობა მიმდინარე მომენტისათვის... ვასილევსკი მთავარსარდალს აცნობს მოქმედების გეგმას, მაგრამ სტალინმა კონკრეტული დავალება მისცა.

**სტალინი:** — მექანიზებული კორპუსი გადაისროლეთ ბელინსკაიაში და მისი გამოყენების უფლება დაუტოვეთ ვატუტინს. განაგრძეთ.

**ვასილევსკი:** — ამხანაგო სტალინ, „ვორონოვი“ მთხოვს წამოვიდეს 2 დღით ლელუშენკოსთან ერთად, რათა ერთობლივად უფრო სწრაფად შეადგინონ „სატურნის“ გეგმა

**სტალინი:** — სად არის დონცოვის (როკოსოვსკის) სამეთაურო პუნქტი?

**ვასილევსკი:** — 24-ე არმიის მონაკვეთში.

**სტალინი:** — კარგი. გაიყოლოს რამდენიმე სპეციალისტი და „დონცოვსა“ და „ივანოვთან“ ერთად სასწრაფოდ გადაწყვიტონ ეს საკითხი. ლელიუშენკოს დიდხანს ნუ მოაცდენთ, მან არმია სასწრაფოდ უნდა მიაბრუნოს ჩრდილოეთისკენ. მე მაინტერესებს ვინ უხელმძღვანელებს პირველ გვარდიულ არმიას?

**ვასილევსკი:** — ნება დამრთეთ, ჩემს თავზე ავიღო ეს.

**სტალინი:** — მე გეკითხებით, ვინ იქნება პირველი გვარდიის არმიის სარდალი მარჯვენა ფლანგზე — ლელიუშენკო, კუზნეცოვი თუ სხვა ვინმე?

**ვასილევსკი:** — გთხოვთ, ნება დამრთოდ, ეს მოვალეობა დავაკისრო კუზნეცოვს ვატუტინის უშაუალო პასუხისმგებლობით.

ვასილევსკის პასუხისაგან სტალინმა ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ბოლოს იკითხა:

— სად იქნება პირველი გვარდიული არმიის შტაბი — ლელიუშენკოსთან თუ კუზნეცოვთან.

ვასილევსკიმ კვლავ დაბნეულად აუხსნა გვარდიის შტაბის ადგილმდებარეობის კოორდინატები, ვითარების გამოსწორება კი იმით სცადა, რომ სტალინს სთხოვა, სასწრაფოდ გამოეგზავნა კავშირგაბმულობისა და ზურგის მომარაგების სპეციალისტები.




ნერვებმოშლილმა სტალინმა ველარ შეინარჩუნა წონასწორობა და ვასილევსკის თითქმის ყვირილით ჰკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, მითხარით, ვინ იქნება მარჯვენა დაჯგუფების სარდალი— კუზნეცოვი თუ ლელიუშენკო და სად იქნება მათი ადგილსამყოფელი?

ვასილევსკის აბდაუბდა საუბრიდან სტალინმა კვლავ რომ ვერაფერი გაიგო, თვითონ დაიწყო ვითარების მოგვარება:

— ამხანაგო ვასილევსკი, ლელუშენკო უკვე სარდლობს ფრონტს გერმანელების წინააღმდეგ, მას თავი გაანებე, უკეთესი იქნება, თუ დარჩება თავის ადგილზე მარცხენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი კი გადაიყვანე მარჯვენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი ამით კიდევ უფრო პროდუქციული იქნება „სატურნის“ მომზადებაში.

**ვასილევსკი და ვატუტინი:** — ასეც მოვიქცევით, ამხანაგო სტალინ.

სტალინმა „ბოდოს“ აპარატთან ვასილევსკის უხმო.

— ჩაიწერეთ. პირველი: თქვენი ამოცანაა, გააერთიანოთ „დონცოვისა“ და „ივანოვის“ ძალები და ერთობლივი ძალებით გაანადგუროთ მოწინააღმდეგე. გთხოვთ, ნუ მიედ-მოედებით სხვა საქმეებს, თქვენ მხოლოდ ეს ერთი საქმე გავალიათ. მეორე: მთელი ავიაცია ნოვიკოვის ავიაციის ჩათვლით თქვენს განკარგულებაშია. თქვენი ამოცანაა დაუნდობლად ურტყათ მტერს საბოლოო განადგურებამდე. მესამე: თუ საჭირო იქნება, შეიძლება გამოგიყოთ სატანკო კორპუსი თქვენი შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად. ან „დონცოვის“, ან „ივანოვის“ დასახმარებლად. მეოთხე: თქვენ გევალებათ შეუფერხებლად, ყოველდღიურად ჩააბაროთ ანგარიში მთავარსარდლის ბანაკს „დონცოვისა“ და




„კუზნეცოვის“ მოქმედებათა შესახებ. მეხუთე: ხვალ დილით უნდა მომახსენოთ, საჭიროა თუ არა 62-ე არმიის გადაცემა დონის ფრონტისთვის. ხვალვე მითხარით, სად გავაგზავნოთ სატანკო კორპუსი. გაქვთ თუ არა შეკითხვა, არის თუ არა თქვენთვის ყველაფერი გასაგები.

**ვასილევსკი:** — ყველაფერი გასაგებია.

**სტალინი:** — კეთილი, აპარატთან მოვიდეს ვატუტინი. ამხანაგო ვატუტინ, მიიღეთ დავალება. პირველი: უნდა უხელმძღვანელოთ ლელიუშენკოსა და **რომანენკოს** მოქმედებებს. უნდა მოამზადოთ ოპერაცია „სატურნი“. მეორე: ვორონოვი დატოვეთ **ფედოროვის** განკარგულებაში „სატურნის“ მოსამზადებლად და, ამასთანავე, ლელიუშენკოს მისახმარებლად. მესამე: პირველი შერეული ავიაკორპუსის გარდა, რომელიც ფედოროვის განკარგულებაში გამოგიგზავნეთ, დღე-დღეზე მიიღებთ კიდევ ერთ ავიაკორპუსს, რომელშიც იქნება გამანადგურებლების დივიზია თავისი მოიერიშეებით. მეოთხე: თუ მეხუთე მექანიზებულ კორპუსს მიიღებთ, ეს რომანენკოს განკარგულებაში იქნება თუ არა?

**ვატუტინი:** — გიპასუხებთ, დღევანდელი მდგომარეობით მეხუთე მექანიზებული კორპუსის გამოგზავნა რომანენკოსთვის უფრო სამართლიანი იქნება, მაგრამ თუ მის მიღებამდე მდგომარეობა შეიცვლება და დახმარება დასჭირდება ლელიუშენკოს, ჩვენ მას ყოველგვარი პრობლემების გარეშე გადავჭრით.

**სტალინი:** — ვინ გაანაწილებს იმ მექანიზებულ კორპუსს, რომელსაც თქვენ მიიღებთ?

**ვატუტინი:** — გვარდიული მექანიზებული კორპუსი დარჩება ლელიუშენკოს მარცხენა ფლანგზე.

**სტალინი:** — გიმეორებთ, ორივე მექანიზებული კორპუსი — მეხუთე და გვარდიულიც — შეიძლება დარჩეს მარცხენა ფლანგზე ლელიუშენკოსთან, თუ რომანენკოს საბრძოლო რაიონში არსებულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ. „სატურნის“ წარმატებისათვის თქვენ უმოკლეს დროში მიიღებთ ერთ მექანიზებულ კორპუსს დამატებით და ერთ სატანკო კორპუსს. ეს იქნება თქვენი რეზერვი. სასწრაფოდ დასვით კუზნეცოვი ლელიუშენკოს მარჯვენა ფრთაზე, პირველ გვარდიულ არმიაში და შეუქმენით ყველა პირობა, იმუშაოს „სატურნის“ ოპერაციაზე. ყველაფერი გასაგებია, თუ კიდევ დაგრჩათ რამე გასარკვევი?

**ვატუტინი:** — ჩვენთან, დიდი ხანია, არ გამოჩენილა საარტილერიო დივიზია, არ ვიცი, რა ხდება.

**სტალინი:** — საარტილერიო და საზენიტო დივიზიები უკვე დატვირთულია და ისინი მალე იქნება თქვენთან.

**ვატუტინი:** — გასაგებია, გთხოვთ მაცნობოთ მათი ნომრები. მე მხოლოდ 3 პოლკი დამრჩა დანარჩენები გადავეცი 21-ე არმიას. გთხოვთ, თუ ამის საშუალება გექნებათ, კიდევ გამომიგზავნოთ 4 პოლკი.

**სტალინი:** — თქვენი მოთხოვნები სასწრაფოდ გამოგზავნეთ უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში. გამოვნახავ დროს და, თუ ახლა მხოლოდ 2 პოლკს გიგზავნით, ხვალ თქვენს მოთხოვნას სრულად დავაკმაყოფილებ. გმადლობთ, ნახვამდის!

ძვირფასო მკითხველო, ეს საუბარი იმიტომ მოვიყვანე დაწვრილებით, რომ გაიგოთ, რა ზუსტად იცოდა ომისა და მეომრის ყველა წვრილმანი სტალინმა და როგორ გულდასმითა და ყოველგვარი კითხვების გარეშე აძლევდა დავალებას სარდლებს. არავის სამხედრო ნიჭსა და თავდადებას არ ვამცირებ, მაგრამ, უბრალოდ, **სასაცილოა თქმა იმისა, რომ ომი პარტიამ, კოალიციამ, რუსულმა ზამთარმა და ღვთისმშობლის ხატმა მოიგო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ხატი, რომელმაც მსოფლიო და მისი კულტურა გადაარჩინა ჯერ არ გამოჭედილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა იმის სადიდებლად, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა.**

მე აღვწერე სტალინგრადის დაცვის ერთი ეპიზოდი, როგორ უმარცვლავს და თავში უდებს სტალინი თავის სარდლებს ომის მსვლელობის ყველა მოსალოდნელ სირთულეს და ზღუდეს. მსოფლიოს ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში იმდენჯერ არ უხსენებიათ რომელიმე ქალაქისა თუ ადგილის სახელწოდება, რამდენჯერაც ახსენეს სტალინგრადი. სტალინგრადის დაცვისა და იქ ფაშისტების განადგურების შემოქმედი კი, უპირველესად, თვითონ სტალინია.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

გლობალიზაციის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონებო ჩვენი ქვეყნისა, დაანებეთ თავი „საერთაშორისო მეგობრების“ და „სტრატეგიული პარტნიორების“ ძახილს. ხალხს ნუ ატყუებთ! ჩვენ არც ერთი გვყავს, არც მეორე. ყველა ცდილობს მხოლოდ სათავისოდ გამოგვიყენოს.**

# ევროატლანტიზმი თვალსა და ხელს შუა ინგრევა

**კორონავირუსმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც არაერთი ეკონომისტის დასკვნით, უკვე დაიწყო, სახელმწიფოებისა და ხალხების დღის წესრიგში კვლავ დააყენა სოციალურ-პოლიტიკური მოდელის არჩევის საკითხი. დემოკრატიის დასავლური მოდელი, რომლის პრიმატი 40 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ჩინეთის გარდა სადავოდ არავის გაუხდია, კვლავ დაეჭვების საგანი აღმოჩნდა ამ დემოკრატიის ბურჯის — აშშ-ის ფართო საზოგადოებრიობაშიც კი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, როგორც ცნობილია, ახალი კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. ეს გადაწყვეტილება გაასაჯაროვა ამ სტრუქტურის გენერალურმა დირექტორმა თედროს ადანომ გებრეიესუსმა.**



„ველოდებით, რომ უახლოესი დღეებისა და კვირების განმავლობაში სიკვდილიანობის და ვირუსით დასნებოვნებული ქვეყნების რაოდენობა მოიმატებს... ჩვენი შეფასებით, Covid-19 შეიძლება დავახასიათოთ როგორც პანდემია“, — ამის თქმა საკმარისი იყო მსოფლიო ეკონომიკაში დეპრესიის ახალი ფაზის გამოსაწვევად, რომელიც დაუყოვნებლივ აისახა მსოფლიოს ყველა ბირჟის კოტირებაზე. მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს სიახლეთა მხოლოდ დასაწყისი იყო.

12 მარტის ღამეს აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** გამოაცხადა, რომ შეაჩერა ევროპიდან შტატებში ადამიანთა შესვლა. ჯერჯერობით 30 დღით.

ამას გარდა, ტრამპმა ევროპის ქვეყნების მთავრობები დაადანაშაულა უსუსურობასა და ქმედუუნარობაში: **„ევროკავშირმა ვერ შეძლო (აშშ-ის) ანალოგიურად ღონისძიებების განხორციელება და ჩინეთიდან და სხვა ცხელი წერტილებიდან მგზავრობის შესაზღუდად“.**

გლობალური მსოფლიოს დაშლა ყველაზე გაბედულ პროგნოზებზე გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს. კორონავირუსი აქ მხოლოდ იმის საბაბია, რომ მთლიანად შეიცვალოს დიდი თამაშის აბსოლუტურად ყველა წესი.

ტრამპმა საჭიროდ არ ჩათვალა დიპლომატიური ეტიკეტის დაცვა და თავისი გადაწყვეტილებები ტრადიციულად Twitter-ით გამოაცხადა.

აშშ ჩინეთს არასოდეს ემიჯნებოდა და ამჟამადაც „წითელ ჩინეთთან“ მისი დამოკიდებულება უცვლელი რჩება. ასეა მოწყობილი ამერიკული ელიტის მსოფლმხედველობა: მოწონს ის, რაც მისთვის მომგებიანია. „საერთო ღირებულებებსა“ და „ერთიან დასავლეთზე“ საუბარი გახვრეტილ გროშადაც არ უღირთ, როცა საშიშროება რეალური ხდება. ტრამპი დაუფარავად აჩვენებს მთელ მსოფლიოს, რას ნიშნავს „რეალური პოლიტიკა“ XXI საუკუნეში.

ბოლო დღეებამდე ბერლინი და პარიზი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, რადგან აშშ-ში ჩასვლის აკრძალვა არ შეეხო ლონდონს. მაგრამ ამჟამად ეს პრობლემა მოიხსნა — დიდი ბრიტანეთიდან აშშ-ში დაბრუნება შეუძლიათ მხოლოდ აშშ-ს მოქალაქეებს.

მაგრამ ასეთი „გათანაბრება“ ვერაფერს შველის კონკურენტებისთვის ძალადაკარგული ბრიტანეთის ავტორიტეტს.

კონკურენტები აქტიურად ამოწმებენ ევროპის მდგრადობას ყველა ფრონტზე. მათ შორის — არის თურქეთიც.

**კორონავირუსული ეპიდემია (ახლა უკვე პანდემია) მოგვევლინა იდეალურ მარკერად, რომელიც ზუსტად წარმოაჩენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზმის მდგომარეობას**

ძნელი სათქმელია, გაბედავდა თუ არა ერდოღანი სამიოთხი წლის წინათ ისეთი ფინტების დატრიალებას, რომლებსაც იყენებს ლტოლვილებთან დაკავშირებით. მაგრამ თუ ასეთმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო 2015-ში, რატომ არ შეიძლება, კიდევ ერთხელ რომ გაიმეოროს?! მით უფრო, რომ ევროპის დასაჩოქებლად წლეულს საგრძნობლად მეტი შანსი გაუჩნდა.

ტრამპის გადაწყვეტილება, კარი ჩაუკეტოს ევროპის ქვეყნებს, ურტყამს არა მარტო ძველ ევროპას ან, ფართო გაგებით, — ევროკავშირს, არამედ გამანადგურებელი დარტყმაა საერთოდ ევროატლანტიზმზე. ევროკავშირი, რომელიც ბრექსიტის შემდეგ ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულა, გაცილებით მეტად დაზარალდა.

ყველა ამ პოლიტიკური, სამედიცინო და ჰუმანიტარული გადაწყვეტილების უკან დგას ეკონომიკური ინტერესები. ძალაგამოცლილ გლობალურ ბაზარზე თითოეული კვლავინდებურად საკუთარი ინტერესების დასაცავად იღვწის. კავშირები სიტუაციური ხდება, ალიანსები ერთი „სამხედრო კამპანიის“ ვადით იქმნება და მონაწილეთა გაუთავებელი სეპარატული მოლაპარაკებებით ხასიათდება. ასე რომ, **ბატონებო ჩვენი ქვეყნისა, დაანებეთ თავი „საერთაშორისო მეგობრების“ და „სტრატეგიული პარტნიორების“ ძახილს. ხალხს ნუ ატყუებთ! ჩვენ არც ერთი გვყავს, არც მეორე. ყველა ცდილობს მხოლოდ სათავისოდ გამოგვიყენოს.**

პრაქტიკულად, მსოფლიოსთან სავაჭრო ომების დაწყებით, აშშ რეალურად ამოწმებს, ვინ რად ღირს, ბრძოლით დაზვერვას აწარმოებს.

კორონავირუსული ეპიდემია (ახლა უკვე პანდემია) მოგვევლინა იდეალურ მარკერად, რომელიც ზუსტად წარმოაჩენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზმის მდგომარეობას. სურათი განსაცვიფრებელი იხატება.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ სრულიად მსოფლიოს დაანახვა მობილიზაციისა და უსერიოზულესი გამოწვევების დაძლევის ისეთი წარმოუდგენელი დონე და უნარი, რომ ყველას გაუქარწყლა ეჭვი, რომელი ქვეყანა არის დღეს ახალი ზესახელმწიფო. **ჩინეთმა წარმატებით გამოიყენა თავისი კოლოსალური სამრეწველო, სამეცნიერო, ორგანიზაციული მარაგი, აგრეთვე, ის პოლიტიკური შესაძლებლობანი, რომლებიც, როგორც გაირკვა, აქვს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების ქვეყანას.**

ამასთანავე, **იტალია,** რომელიც მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ათეულში შედის, და სადაც „წარმატებული დასავლური დემოკრატია“ არის დამკვიდრებული, პრაქტიკულად კოლაფსში აღმოჩნდა, იძულებული შეიქნა, თხოვნით მიემართა ჩინეთისთვის, მიეწოდებინა რამდენიმე მილიონი ცალი სამედიცინო ნიღაბი და ფილტვების ვენტილაციის 1000 აპარატი.

გაირკვა, რომ ეკონომიკურად განვითარებულ იტალიას არ ძალუძს დამოუკიდებლად და სწრაფად სამედიცინო ნიღბების დამზადება, არაფერი რომ არ ვთქვათ სამედიცინო ტექნიკაზე. ყოველწლიური საპარლამენტო არჩევნები ასევე ხელს უშლის მთავრობის საქმიანობას საგანგებო ვითარებაში.

ამიტომ დღის წესრიგში დგება სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მოდელის არჩევის საკითხი.

**ჩინეთმა წარმატებით გამოიყენა თავისი კოლოსალური სამრეწველო, სამეცნიერო, ორგანიზაციული მარაგი, აგრეთვე, ის პოლიტიკური შესაძლებლობანი, რომლებიც, როგორც გაირკვა, აქვს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების ქვეყანას. ამასთანავე, იტალია, რომელიც მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ათეულში შედის, და სადაც „წარმატებული დასავლური დემოკრატია“ არის დამკვიდრებული, პრაქტიკულად კოლაფსში აღმოჩნდა, იძულებული შეიქნა, თხოვნით მიემართა ჩინეთისთვის, მიეწოდებინა რამდენიმე მილიონი ცალი სამედიცინო ნიღაბი და ფილტვების ვენტილაციის 1000 აპარატი**

**მომზადებულია vz.ru-ზე გამოქვეყნებული სერგეი მარდანის წერილის მიხედვით**

# პირველი დეფოლტი ახალი ეკონომიკური კრიზისის ფონზე



**7 მარტს ლიბანის პრემიერმინისტრმა ჰასან დიაბმა განაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა უარი თქვას 1,2 მილიარდი დოლარის ოდენობის ევროობლიგაციების დაფარვის ნაკისრ ვალდებულებაზე.**

ამ პრობლემის შესახებ ერისადმი მიმართვაში მან აღიარა, რომ სახელმწიფოს არ აქვს მოსახლეობისთვის სურსათისა და წამლების შესაძენი ფული.

„სახელმწიფოს ამჟამად არ შეუძლია დახარჯოს ვალუტის მარაგი დავალიანების დასაფარავად, რადგან ფული საჭიროა მოსახლეობისთვის სურსათისა და წამლების შესაძენად“, — თქვა დიაბმა.

მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება კრედიტორებთან სახელმწიფოს ვალის რესტრუქტურიზაციაზე, რომელმაც 90 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც ორჯერ აღემატება ლიბანის ეკონომიკას — მშპ-ს 170 პროცენტია.

# პოროშენკო გაექცა დაკითხვაზე იძულებით მიყვანას



**უკრაინის ექსპრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ დატოვა უკრაინა გამოძიების სახელმწიფო ბიუროში დაკითხვაზე მისვლის წინა დღეს.**

პოროშენკო 8 მარტს ოჯახთან ერთად გაფრინდა ესპანეთში ფრანკფურტის გავლით. ცნობილი არ არის, იგი დღემდე იმყოფება ესპანეთში თუ იქიდან სხვა ქვეყანაში გადავიდა.

პოროშენკოს ადვოკატებმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადეს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი ვერ შეძლებს დაკითხვაზე მისვლას, რადგან დატოვა ქვეყანა.

კიევის სასამართლომ ნება დართო პოროშენკოს იძულებით მიყვანაზე გამოძიების სახელმწიფო ბიუროში დასაკითხად.

15 მარტს პოროშენკო კიევში მაინც დაბრუნდა.

სტალინმა ღმერთის დახმარებით შეძლო ტროცკის უცხოეთში გაძევება, ტროცკისტების ლიკვიდაცია. ვფიქრობ, სტალინმა იხსნა თეთრი ზანგობისგან არა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები, არამედ კაცობრიობა. აი, რატომ გააუქმა უზენაესმა საბჭომ კლარა ცეტკინის მიერ დაწესებული 8 მარტი და რატომ აღადგინა იგი მასონი შევარდნაძის პარლამენტმა.

«შავი გედი»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელები აპირებენ გამოაცხადონ, რომ აშშ-ის საზღვრებს მიღმა ყველა დოლარი ფარატინა ქაღალდია

**კორონავირუსი ჯერ კიდევ თებერვალში „შავ გედად“ მონათლეს, ანუ წინასწარ განუჭვრეტელ მოვლენად, რომელიც უზარმაზარ ნეგატიურ გავლენას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე. კერძოდ, აშშ-ში საქონელბრუნვა ნავსადგურებს შორის უკვე 20 პროცენტით შემცირდა, რამაც ამერიკის მრეწველობაში დომინოს ეფექტი გამოიწვია.**



მარტში კიდევ ერთი „შავი გედი“ გამოჩნდა — „ოპეკ+“-ის დაშლა. ბარელი ნავთობის სანახევროდ გაიაფება ნიშნავს, რომ მოვლენათა ამგვარ განვითარებას არავინ ელოდა. ამავე დროს, საუდის არაბეთი მსოფლიოს იაფი ნავთობით ამარაგებს. ელ-რიადმა 11 მარტს განაცხადა, რომ ყოველდღიურ მოპოვებას 12 მლნ ბარელით გაზრდის და ერთ მილიონს კიდეც დაუმატებს, რითაც შეაჩეროს „შავ ოქროზე“ ფასების ცვლილება.

ერთი მხრივ, **ბარელი ნავთობის 30 დოლარის (20-25 დოლარიც კი) ფასი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძვირფასი საჩუქარი იმპორტიორებისა და მომხმარებლებისთვის ალალად მირთმეული. გაიაფებამ იდეაში სტიმული უნდა მისცეს მსოფლიო ეკონომიკას. ბევრი ქვეყნის მოსახლეობამ, მაგალითად, უკრაინელებმა და ბელარუსებმა უკვე სამგზის შესძახეს „ვაშა!“**

მეორე მხრივ, ამერიკის, ევროპის და აზიის რიგი ბანკებისა ტოპ-100-დან გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა იმის გამო, რომ ვერ გადაუხდიან გადამყიდველებს დერივატივების ღირებულებას (დერივატივები — კონტრაქტები ნავთობის მიწოდებაზე დადგენილ ვადაში და ფიქსირებული ფასით).

გასაგები რომ იყოს, თუ რა საშიშია ასეთი სიტუაცია, ორ რიცხვს დაგისახელებთ. დერივატივების ერთობლივი ფასი დღეს (ნავთობის მნიშვნელოვანი წილით), განისაზღვრება 2 კვადრილიონი დოლარით, მაშინ, როცა მსოფლიოს საერთო მშპ, მსოფლიოს სავალუტო ფონდის მონაცემებით, არ აღემატება 75 ტრილიონ დოლარს. ამ შემთხვევაში აშშ-ს ვერავითარი „რაოდენობრივი შეღავათი“ ვერ უშველის. ამიტომ ამერიკელი ექსპერტის **ბილალ ჰაფეზის** აზრით, აშშ-მ შეიძლება შემოიღოს კონტროლი კაპიტალის მოძრაობაზე. ასეთი რამ თუ მოხდება, მაშინ მსოფლიოს ეწვევა „შავზე უშავესი გედი“, რომელთან შედარებითაც Covid-19 და „ოპეკ+“-ის კრახი უცოდველ ბელურებად მოგვეჩვენება.

ტრამპი, სხვათა შორის, უკვე დაემუქრა ჩინეთს, რომ აკრძალავს ამერიკის მაღალტექნოლოგიური კომპანიების შესყიდვას ვაჭრობისა და ფულის გადაადგილების თავისუფლების მიუხედავად. თეთრი სახლი ამას ამართლებს, როგორც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საშუალებას. ამერიკელებმა დოლარების „კარგ“ და „ცუდ“ დოლარებად დაყოფა დაიწყეს და ვარსკვლავიან-ზოლიანი ვალუტის მფლობელების „მეგობრებად“ და „მტრებად“ რანჟირებას შეუდგნენ.

უფრო მეტიც, პრეზიდენტი ტრამპი ყოველთვის სვამს შეკითხვას — რატომ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით? მაგალითად, თეთრი სახლი ლობირებს ამერიკული ბირჟების დახურვას ჩინელი ინვესტორებისთვის. რა ჭირად გვინდა მაშინ მილიარდობით „ბაქსი“, თუ არაფერი ღირებულის ყიდვა არ შეეძლებათ ამ ფულით? — კითხულობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

მოკლედ, თუ დაიწყო ფინანსური კრიზისი, აშშ-ის ადმინისტრაცია შეიძლება უფრო შორს წავიდეს, მათ შორის „გაყინოს“ არარეზიდენტების ოპერაციები ამერიკელების დერივატივებით.

აშშ-ს ასევე შეუძლია ამორიცხოს ჩინური კომპანიები ამერიკული ბირჟების სიიდან. ამჟამად შტატებში ვაჭრობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 150-ზე მეტი კომპანიის აქციებით, Alibaba-სა და Petro-China-ს ჩათვლით. შემდეგ კი აუკრძალოს ამერიკელ ინვესტორებს რუსეთისა და ჩინეთის ფასიანი ქაღალდების შესყიდვა. ასეთი კანონპროექტის ლობისტები არიან **პიტერ ნავარო,** ტრამპის მრჩეველი ვაჭრობის საკითხებში და ფრიად გავლენიანი სენატორი **მარკო რუბიო.**

ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი ექსპერტი ლაპარაკობს გლობალური ბიზნესის „ზომბი-აპოკალიფსისის“ მოახლოებაზე.

მაგალითად, Sequoia Capital-მა, აშშ-ის ერთ-ერთმა უძლიერესმა ფონდმა, თავის სტარტაპებს მოუწოდა შეხედონ პერსპექტივას „არასასურველი რისკების“ თვალით. კომპანიის ხელმძღვანელებისთვის გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული ფონდი წერს: „ვიმედოვნებთ, რომ პირობები რაც შეიძლება მალე გაუმჯობესდება. მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ტურბულენტობისთვის და გამზადებული უნდა გვქონდეს სცენარები ყველაზე საშიში მოვლენებისთვის, რომლებიც კი შეიძლება განვითარდეს“.

მნიშვნელოვანია, რომ: **Sequoia Capital დაარსებულია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში და რომელიც იდგა ისეთი მსოფლიო კომპანიების სათავეებთან, როგორებიცაა YouTube, Apple, Google, Oracle, LinkedIn, Paypal, Instagram და Yahoo! მაშასადამე, მის წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ „გადარჩებიან არა ყველაზე ჭკვიანები და ყველაზე ძლიერები, არამედ ყველაზე უფრო შემგუებლები“, სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.**

და საერთოდ, იმას, რაც ამჟამად ხდება, ლოგიკური იქნება თუ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს, მიიჩნევს Sequoia Capital. დამატებით დაფინანსებას სტარტაპები არც უნდა ელოდონ. ჩინეთის ფული კი სულზე მისწრებასავით იყო.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ისეთ მსხვილ ინვესტორებს, როგორიც ფონდი Sequoia Capital-ია, როგორც წესი, ჰყავთ ინსაიდერები თეთრ სახლში, ანუ ამბის გამომტანები. ამიტომ ლოგიკური იქნება განვიხილოთ ეს გაფრთხილება, როგორც აშშ-ის ახალი პოლიტიკის დაწყებაზე მინიშნება. ეს იქნება პოლიტიკა, რომელიც კონტროლს დააწესებს მსოფლიოში კაპიტალის მოძრაობაზე, უეჭველია, შეერთებული შტატებისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური გამორჩენის მიზნით.

ამასობაში აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა **სტივენ მნუჩინმა** უკვე გამოიძახა რუსეთის ფედერაციის ელჩი **ანატოლი ანტონოვი** და გამოთქვა საყვედური რუსეთის მიმართ „ენერგომემცველების ბაზარზე წესრიგის“ დარღვევის გამო. უნდა ველოდოთ, რომ ამერიკა მთელი ძალით, კანონით თუ უკანონოდ დაიცავს ნავთობისა და გაზის თავის მწარმოებლებს.

ეს ყოველივე შეიძლება შეეხოს „მწვანე“ კუპიურებს, რომლებიც რუსებსა და ჩინელებს ხელზე აქვთ. შეგახსენებთ, რომ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. მაშასადამე, სავსებით დასაშვებია, რომ მესამე „შავმა გედმა“ უკვე გაშალა ფრთები.

**ალექსანდრე სიტნიკოვი**
svpressa.ru

# ორიოდე სიტყვა 8 მარტის შესახებ

**8 მარტს თბილისის ქუჩებში ყოველთვის გულუხვად იყიდება ყვავილები ქალბატონებისთვის მისართმევად და მისალოცად. არც ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია პასიურობს. არის მილოცვები, ხვევნა,კოცნა, მტლაშა-მტლუში...**

კომუნისტების მიერ დაწესებული ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი 1990 წელს უზენაესმა საბჭომ გააუქმა და მის მაგივრად **დედის დღე** დააწესა.

უნდა ითქვას, რომ ამ „საერთაშორისო“ დღეს აღნიშნავდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა კი ქალბატონი სპიკერისა და მოქკავშირელ ასულთა მოთხოვნით აღადგინა.

რატომ გააუქმა უზენაესმა საბჭომ ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი და რატომ აღადგინა იგი შევარდნაძის მოქკავშირულმა პარლამენტმა?

ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს არავითარი კავშირი არა აქვს საქართველოს ისტორიასთან, ქართველი ხალხის ცხოვრების წესთან, მის ტრადიციებთან... მაგრამ, მხოლოდ ეს არ იყო მიზეზი მისი გაუქმებისა.

8 მარტი უკავშირდება მასონების ე.წ. ფურიმის ძველ დღესასწაულს. ამ დღეს ბაბილონის მეფის საყვარლის, ესთერის ინტრიგებით, ანტისემიტიზმის ბრალდებით ჩამოახრჩვეს მეფის პირველი ვეზირი ჰამანი და მისი ათი ვაჟი. ამას მოყვა ბაბილონის სამეფოში ათასობით დიდებულის ხოცვა-ჟლეტა (ბიბლია. ესთერი).

8 მარტი დაკავშირებულია, აგრეთვე, ქალთა მასონობის შექმნის დღესთანაც, რომელიც მოიფიქრა და დააფუძნა **ლენინისა** და **ტროცკის** ერთგულმა მეგობარმა და თანამებრძოლმა **კლარა ცეტკინმა...**

მაინც რა სურდათ კლარა ცეტკინის თაობის კომუნისტებს? ამის შესახებ აი, რას წერს ბოლშევიკების ძველი ბელადი და ოქტომბრის კონტრრევოლუციის ერთ-ერთი მომწყობი, რომანოვების ოჯახის ამომწყვეტი ლევ ტროცკი: **„თუ რევოლუციის დროს გავიმარჯვებთ, რუსეთს გავჭყლეტთ, მის ნანგრევებზე გავამაგრებთ სიონიზმის ძალაუფლებას და გადავაქცევთ იმ ძალად, რომლის წინაშეც მსოფლიო დაიჩოქებს... სისხლისღვრით ჩვენ მივიყვანთ რუსეთის ინტელიგენციას სრულ გამოთაყვანებამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე... რუსეთი უნდა გადავაქციოთ უდაბნოდ, რომელიც დასახლებული იქნება თეთრი ზანგებით...“** (ციტირებულია ელიზბარ ჯაველიძის წიგნიდან „ავაჰმე, ჩემო მამულო!..“ თბ., 2007 წ.).



8 მარტი უკავშირდება მასონების ე.წ. ფურიმის ძველ დღესასწაულს. ამ დღეს ბაბილონის მეფის საყვარლის, ესთერის ინტრიგებით, ანტისემიტიზმის ბრალდებით ჩამოახრჩვეს მეფის პირველი ვეზირი ჰამანი და მისი ათი ვაჟი. ამას მოყვა ბაბილონის სამეფოში ათასობით დიდებულის ხოცვა-ჟლეტა (ბიბლია. ესთერი)

ხელისუფლებაში მისვლისთანავე მასონმა ბოლშევიკებმა ლენინისა და ტროცკის კატეგორიული მოთხოვნით დაიწყეს ეკლესია-მონასტრების ნგრევა, სასულიერო პირებისა და ინტელიგენციის მასობრივი დახვრეტები... წითელი ტერორი არავის ინდობდა... აუცილებლად ახდებოდა ის, რაზეც ტროცკი ასე გულახდილად ოცნებობდა. არა მხოლოდ რუსეთს, სრულიად მსოფლიოს გადააქცევდა თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ! იქნებოდა ერთი სახელმწიფო ერების გარეშე, ერთი ფული და ერთი ხელისუფლება!

ამ მიზნის მისაღწევად ე.წ. ფარული ხელისუფლება დღესაც დიდძალ ფულს ხარჯავს. სტალინმა ღმერთის დახმარებით შეძლო ტროცკის უცხოეთში გაძევება, ტროცკისტების ლიკვიდაცია. ვფიქრობ, სტალინმა იხსნა თეთრი ზანგობისგან არა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები, არამედ კაცობრიობა.

აი, რატომ გააუქმა უზენაესმა საბჭომ კლარა ცეტკინის მიერ დაწესებული 8 მარტი და რატომ აღადგინა იგი მასონი შევარდნაძის პარლამენტმა.

იმედი მაქვს, ხელისუფლებაში მოსული „პატრიოტთა ალიანსი“ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რათა საქართველოს ეღირსოს კუთვნილი ეროვნული სახელმწიფო სიმბოლოები — დროშა, გერბი, ჰიმნი, რომლის შეცვლის აუცილებლობაზე, დიდი ხანია, ლაპარაკობენ ქართველი მამულიშვილი სპეციალისტები.

**თენგიზ კუბლაშვილი,**
**დევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი**

იდეოლოგია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოური მულტფილმი გვასწავლის, ვიყოთ პატიოსანი, ძლიერი და ვითამაშოთ ნათელ მხარეს, რადგან უკუნეთი აუცილებლად დამარცხდება. პერსონაჟები მზად არიან იბრძოლონ და თავი გაწირონ იმისთვის, რაც მათთვის ძვირფასია, და ბედმა ისინი დააჯილდოვა სიმამაცისთვის — პრობლემა გვარდებოდა ან მშვიდობიანი გზით (როგორც საბჭოზე), ან მათ სასარგებლოდ (როგორც მულტფილმის ბოლოს).**

# როგორ ბავშვებს ზრდიდა საბჭოთა იდეოლოგია და როგორს ზრდის ლიბერალიზმი

**რომ გავიგოთ, როგორ ადამიანს ზრდის თანამედროვე სისტემა, ეთმანეთს შევადაროთ სსრკ-ს პერიოდში გადაღებული მულტფილმი „მაუგლი“ და აშშ-ში შექმნილი იგივე მულტფილმი. ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ „ფასეულობების ორიენტირების პროგრამირება“. გასაოცარია, როგორ განსხვავდება ეს მულტფილმები ერთმანეთისგან! და როგორი განსხვავებული ადამიანების აღზრდას ემსახურებიან ისინი.**

## პერსონაჟები

საბჭოურ ვერსიაში ყველა პერსონაჟს აქვს საკუთარი ქარიზმა, განუმეორებელი დინამიკა და სახე, ამერიკულ ვერსიაში კი ყველა პერსონაჟი ერთნაირია — ერთნაირად მოძრაობენ, ერთნაირად ლაპარაკობენ, მოკლებულნი არიან ქარიზმას და მასხარებს ჰგვანან. აქედან გამომდინარე საბჭოურ ვერსიაში ნათლად ჩანს ძლიერი მხარეების წარმოჩენის იდეა.

**„მაუგლის“ საბჭოური ვერსია** ძალიან ღრმა და ემოციურად ძლიერი მულტფილმია. მასში ლაპარაკია მეგობრობაზე, ურთიერთდახმარებაზე, თანაც გუნდში თითოეული თავის ძლიერ მხარეს წარმოაჩენს: **კაა** ბრძოლაში არ ერთვება, მაგრამ ის ბრძენია და სთავაზობს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს (მწითური ძაღლების დამარცხება და სხვ.); **ბაგირა** — უბრალოდ, ქალურობის იდეალია, ალფა-ქალის. ის ძლიერი და საშიში, ამასთანავე, გრაციოზული და ნაზია, თანაც გამოცდილი და ბრძენი (სწორედ მან ააგორა მაუგლის გადარჩენის თემა); **ბალუ** შესანიშნავი მასწავლებელია; **აკელა** — ბრძენი და სამართლიანი ლიდერი; **დედა-მგელი** მზად არის, სიცოცხლე გაწიროს „აყვანილი“ შვილისთვის; **შერხანი** ძლიერი, მძვინვარე და ეშმაკია, ის თამაშის წესებს არ იცავს და ამისთვის დამსახურებისამებრ მიეზღვება. **ტურა** მშიშარა და მულტფილმის ყველაზე საზიზღარი პერსონაჟია. ყველა პერსონაჟი ქარიზმულია და ნათლად ხედავს თავის ადგილს ჯუნგლებში.

**„მაუგლის“ ამერიკულ ვერსიაში** მსგავსი რამ არ არის. ყველა პერსონაჟი ერთნაირად მოსულელო და „სასაცილოა“. განსხვავებული პლასტიკის მიუხედავად, ყველას ერთნაირი გრიმასები და ემოციები აქვს. კონცეპტი შეცვლილია — მაიმუნს სურს, ადამიანი გახდეს, სპილოები მწკრივში დადიან, თვითონ მაუგლის კი ვერაფრით გაურკვევია, ვინ უნდა იყოს, ვის მიბაძოს. ბაგირა კი, საერთოდ, ხვადია!

## ატმოსფერო და კონცეპტი

**საბჭოურ ვერსიაში**, რა თქმა უნდა, ყველაფერი ლამაზი და ჰარმონიული არ არის. მკაცრი საბჭოთა რეალიზმი — ეს მინუსია, თუმცა თავისებურად სიმბოლურია, რადგან საშუალებას იძლევა, გაერთო და ჩაწვდე **მულტფილმის არსს: ეძებე შენი ძლიერი მხარეები და იპოვე შენი ადგილი საზოგადოებაში. ძალა მეგობრობისა, კოლექტივის, ცნობილი „ჩვენ ერთი სისხლისა ვართ“ კოოპერაციაა ამოცანის გადაწყვეტისას. ერთობლივი ძალებით გაცილებით მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე მარტოდმარტო.**

კოლექტივი — ეს მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. და კვლავ ინდივიდუალიზმის პატივისცემა. თითოეული აკეთებს იმას, რაც ყველაზე კარგად გამოსდის. შედეგად, კეთილი სძლევს ბოროტს. **საბჭოური მულტფილმი გვასწავლის, ვიყოთ პატიოსანი, ძლიერი და ვითამაშოთ ნათელ მხარეს, რადგან უკუნეთი აუცილებლად დამარცხდება. პერსონაჟები მზად არიან იბრძოლონ და თავი გაწირონ იმისთვის, რაც მათთვის ძვირფასია, და ბედმა ისინი დააჯილდოვა სიმამაცისთვის — პრობლემა გვარდებოდა ან მშვიდობიანი გზით (როგორც საბჭოზე), ან მათ სასარგებლოდ (როგორც მულტფილმის ბოლოს).**

სიმამაცე და ღირსება ჯილდოვდება. უღირსებობა, ეშმაკობა, ლაჩრობა — ისჯება.

ყველა შრომობს: მაჩვზღარბებს გოგრები გადააქვთ, მგლები ნადირობენ და სწავლობენ (!), დათვი ასწავლის, ლიდერი ხელმძღვანელობს და ა.შ. დასკვნა: **იშრომე და მიიღებ შედეგს.**

**ამერიკულ მულტფილმში** ყველა ერთმანეთს „უტყაპუნებს“ და „ეკაიფება.“ ეს თითქოს სახალისოა: მულტფილმის საერთო კონცეპტი (იდეა) თითქოს გასართობია. არ არის ერთი აზრი, არის შეხლა-შემოხლის ატმოსფერო, ეგოიზმი, თითოეული თავისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. **იდეა:** იმღერე, იცეკვე, „დაიკმაყოფილე მოთხოვნები“ — და ყველაფერი რიგზე იქნება. ერთი შეხედვით, ცუდი გზავნილი არ არის, პოზიტიურია, მაგრამ ძალიან ჰგავს გართობას და არა შემოქმედებითი საქმიანობის აგიტაციას.

**ამერიკულ ვერსიაშიც არის მეგობრობის თემა. მაგრამ იქ თითოეულ პერსონაჟს რაღაცის მიღება უნდა მაუგლისგან ან თავისი აზრის თავს მოხვევა. ბოლოს ვეფხვთან ბრძოლაც მხიარული და უბრალოა, და მაუგლი ამ ბრძოლაში ძალიან თავისებურად იქცევა, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ.**

## ახლა ყველაზე მთავარი: პერსონაჟი და მისი ურთიერთობები

**საბჭოურ ვერსიაში** მაუგლი რამდენიმე სერიის განმავლობაში ვითარდება გონებრივად და ფიზიკურად. ის სულ უფრო წარმოაჩენს თავის ძლიერ მხარეებს, სულ უფრო აცნობიერებს, ვინ არის. ის ხდება უფრო ძლიერი, ჭკვიანი, სწრაფი. მგლების ხროვის ბელადი ხდება, ამარცხებს



**საბჭოური მულტფილმი ზრდის ძლიერ, გაბედულ, მამაც და დამოუკიდებელ პიროვნებას, რომელიც ისახავს მიზნებს და აღწევს მათ. იყენებს კოლექტივის ძალას. ითვალისწინებს მოკავშირეებისა და მტრების ძლიერ მხარეებს და მოქმედებს გაბედულად და ეფექტიანად. ეს არის ძლიერი, თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული ლიდერი მამაკაცი ღრმა გრძნობებით. ბიჭის როლი მამაკაცად გაზრდაა**

მომხდურ მტერს, იღებს ხანჯალს, ვეფხვს შიშველი ხელებით ამარცხებს.

თავდაპირველად სწავლობს, როგორც ბავშვი, მაგრამ მალე მოიპოვებს დამოუკიდებლობას და თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს. აქტიურია, ინიციატივიანი. ის გაბედულად მოქმედებს და თავი ღირსეულად უჭირავს.

**ამერიკულ ვერსიაში** მაუგლი მომხმარებელია. ჭირვეული და მარტოხელაა. არ შეუძლია თავისი ადგილის პოვნა ცხოვრებაში. ცდილობს, ხან დათვი იყოს, ხან — სპილო, ხან კიდევ — სვავი. მორალი თითქოს აშკარაა — იყავი ადამიანი, რაც ბედმა გარგუნა, მაგრამ საერთო ემოციურ ფონს ქმნის ძიების განცდა და სასოწარკვეთილება კონფლიქტის გამწვავებისას. და როგორ გვარდება ეს კონფლიქტი? **მულტფილმის ბოლოს მაუგლი თვითონ კი არ იღებს ადამიანებთან მისვლის გადაწყვეტილებას, არამედ ის მიჰყავს წლოვანებასთან შეუფერებლად „სექსუალურ გოგონას“.**



ამერიკულ მულტფილმში მაუგლიზე ზრუნავენ, მას მართავენ: ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მაუგლის არჩევანი არის მხოლოდ ის, ვის მიანდოს საკუთარი თავი. თვითონ არაფერს წყვეტს, მის ნაცვლად სხვები იღებენ გადაწყვეტილებებს. ე.ი., შექმნილია მართული მომხმარებლის სახე და არა დამოუკიდებელი პიროვნების.

საბჭოურ ვერსიაში მაუგლი გულწრფელად მეგობრობს პერსონაჟებთან, ეხმარება მათ, და ისინი ერთობლივად წყვეტენ რაღაც ამოცანებს. ყველა დადებით პერსონაჟს კარგი ურთიერთობა აქვს ერთმანეთში და მუშაობს გუნდთან ერთად. ისახავენ კონკრეტულ მიზნებს და აღწევენ მათ.

**ამერიკულ ვერსიაში** პერსონაჟები ერთმანეთს ეჩხუბებიან, ისე იყოფენ მაუგლის თითქოს მას არჩევანი არ აქვს (არადა, მართლა ასეა) და თითოეულს სურს, თავის მიზანს მაუგლის მეშვეობით მიაღწიოს. პერსონაჟები მშიშრები არიან, ისევე, როგორც თვითონ მაუგლი. ყველა ნერვიულია, ისტერიკული და მეტისმეტი ემოციური — ხშირად ცვლიან გადაწყვეტილებებს, არათანამიმდევრულები ქაოსურები და დაბნეულები არიან.

**საბჭოურ ვერსიაში** მაუგლი პატივს სცემს თავის ძმებს, იცავს მათ, ითვალისწინებს ბრძნულ რჩევებს, ისინი მხარში უდგანან ერთმანეთს და ერთობლივად მოქმედებენ. **ამერიკულ ვერსიაში** კი მაუგლი მარტოხელაა, არ სურს სხვა პერსორნაჟებთან ახლო ურთიერთობა; კონფლიქტი აგებულია იმაზე, რომ არავის ნდობა არ შეიძლება.

## ფინალური სცენა

**საბჭოურ ვერსიაში** მაუგლი ენერგიული, საყვარელი ბიჭიდან ლამაზ, წარმოსადეგ, ძლიერ, ღირსეულ და გაბედულ მამაკაცად გადაიქცევა. მისი დაღვინების აპოგეაა ეპიკური და საკმაოდ სასტიკი გამარჯვება შერხანზე. მაუგლი ძმებთან ერთად მოიფიქრებს გეგმას და განახორციელებს. მარტო ებრძვის შერხანს და, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში კარგავს ხანჯალს, შიშველი ხელებით ამარცხებს ვეფხვს. გამარჯვებაზე მიუთითებს ქვაზე გადაფენილი ტყავი. შემდეგ მაუგლის სიყვარული ეწვევა და ხვდება, რომ ჯუნგლებში ველარ იცხოვრებს. ის თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რომ წავიდეს მგლების ხროვიდან, დატოვოს „თავისი მაღალი პოსტი“ ახალი ცხოვრების დასაწყებად. მგლები ეთხოვებიან მას და ეუბნებიან, რომ, თუკი რამე დასჭირდება, მის გვერდით იქნებიან.

ალსანიშნავია მაუგლისა და გოგონას სცენაც. პირველ რიგში, ისინი უკვე ▶

# საბჭოურ ვერსიაში ძირითად პლანზე სახეებია და არ ჩანს უკანალი. ამერიკულ ვერსიაში კი სწორედ სხეულის ეს ნაწილი თამაშობს მნიშვნელოვან როლს და ხშირად არის წინა პლანზე. საბჭოურ ვერსიაში არ არიან აშკარად ბრიყვი პერსონაჟები. ამერიკულ ვერსიაში კი ყველა პერსონაჟი გონებაჩლუნგია.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





„დიდები“ არიან. გოგონას, წარმოსადეგი მაუგლის დანახვაზე, ხელიდან უვარდება დოქი და გარბის, მაგრამ ხშირად იხედება უკან. მას ეშინია მაუგლისი და აინტერესებს კიდეც. თვითონ მაუგლიც გარბის და ბალუს მკერდზე ტირის, იმიტომ, რომ მასში სიყვარულმა იფეთქა და ის ხვდება, რომ დროა, მივიდეს ადამიანებთან. და მგლების ხროვის ბელადი, ცბიერი მტრის დამმარცხებელი, რომელმაც ჯუნგლებში ბევრ რამეს მიაღწია, სიყვარულის გამო მიდის ადამიანებთან ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

ასეთია პროგრესისა და წინ გაბედული მოძრაობის ისტორია. ბოლო კადრებში უკვე ზრდასრული, ძლიერი და გაბედული მაუგლი სოფლის ფონზე ემშვიდობება ძმებს და მიდის ახალი ცხოვრებისკენ.

ახლა ვნახოთ, რა ხდება **ამერიკულ ვერსიაში:**

მაუგლი, როგორი გამხდარი ბიჭიც იყო, ისეთივე დარჩა — ის არ გაზრდილა, არანაირი ევოლუცია არ განუცდია. ის ბავშვია, უბრალოდ, ბავშვი — ჭირვეული, დაბნეული, მარტოსული, რომელიც არავის ენდობა. ის ეძებს, ვის შეიძლება დაუმეგობრდეს — ადრინდელმა მეგობრებმა ხომ ყველამ მოატყუა...

მაუგლი შეხვდება სვავებს, და იპოვის შერხანი. ახალი მეგობრები ლაჩრებივით გარბიან, მაგრამ მაუგლი არ იბნევა და თითქოს არც ჩხუბის ეშინია. შერხანი, როგორც ტიპური ამერიკელი ბოროტმოქმედი, მყისვე არ ანადგურებს გმირს — გადაწყვეტს, დაელაპარაკოს და წაეთამაშოს. ბოროტმოქმედის ტიპური შეცდომა. ამ მომენტში გამოჩნდება ბალუ და იწყებს ჩხუბს შერხანთან. მაუგლი გარბის, მაგრამ შემდეგ იპოვის ჯოხს და ურტყამს ვეფხვს, სანამ ის ბალუს ჰყავს დაჭერილი, მაგრამ, როგორც კი ვეფხვი თავს გაითავისუფლებს, მაუგლი გარბის ყვირილით — „მიშველეთ!“ შემდეგ შემთხვევით ხეს დაეცემა მეხი და, სანამ შერხანის ყურადღება სვავებისკენ არის მიპყრობილი, მას კუდზე მაუგლი ჯოხს მიაბამს, და შერხანი ლაჩრულად გარბის...

ბალუ თითქოს კვდება: ასაქვითინებელია სცენა, რომელშიც დათვი ბაგირასგან გამოსათხოვებელ სიტყვას ისმენს და მისგან სახეში სილას იღებს (!), როცა ყველა შეიტყობს, რომ ბალუ ცოცხალია. შემდეგ მიდიან ჯუნგლებში. მაგრამ მაუგლიმ დაინახა გოგონა და გადაწყვიტა ახლოდან შეეთვალიერებინა. ბალუ შენიშნავს: **„არ წახვიდე იქ — ყველა პრობლემა მათგან მოდის“ (მითითება სხვა სქესის წარმომადგენელთან ურთიერთობაზე).** მაგრამ მაუგლი ბავშვი აღარ არის, გოგონა მას ლამაზი თვალებით აჯადოებს, და მაუგლიც, თითქოს ჰიპნოზისგან ტრანსშიაო, მისდევს გაქცეულ გოგონას, რომელიც ხელიდან აგდებს დოქს, რათა მაუგლიმ აიღოს და მიუტანოს. ბალუ უყვირის მაუგლის: „გატეხე, წავიდეთ ჯუნგლებში!“ მაგრამ მხრებს იჩეჩს და გაბრუებული გოგონას მისდევს.

**ამერიკული მულტფილმი ზრდის მონას — ჭირვეულს, ურწმუნო მომხმარებელს, ნევროზულს, მარტოსულსა და მოტყუებულს. რომელსაც ყოველთვის მართავს ვილაც. რომელმაც არ იცის თავისი ძლიერი მხარეები, არ აწყობს გეგმებს, არ იღებს გადაწყვეტილებებს. ამას მის ნაცვლად სხვები აკეთებენ, მას მართავენ. ბოლოს აღმოჩნდება, რომ მაუგლი სულაც არ არის მთავარი პერსონაჟი. მთავარი პერსონაჟები არიან: უდარდელი დათვი და ბაგირა — მამაკაცი, რომლებიც მართავენ ჯუნგლებს**

პერსონაჟები მღერიან სიმღერას, რა კარგია ჯუნგლებში ცხოვრება და დასასრული.

კიდევ რამდენიმე შენიშვნა. **საბჭოურ ვერსიაში** ძირითად პლანზე სახეებია და არ ჩანს უკანალი. **ამერიკულ ვერსიაში** კი სწორედ სხეულის ეს ნაწილი თამაშობს მნიშვნელოვან როლს და ხშირად არის წინა პლანზე. **საბჭოურ ვერსიაში** არ არიან აშკარად ბრიყვი პერსონაჟები. ამერიკულ ვერსიაში კი ყველა პერსონაჟი გონებაჩლუნგია.





## საბოლოო ჯამში

**საბჭოური მულტფილმი** ზრდის ძლიერ, გაბედულ, მამაც და დამოუკიდებელ პიროვნებას, რომელიც ისახავს მიზნებს და აღწევს მათ. იყენებს კოლექტივის ძალას. ითვალისწინებს მოკავშირეებისა და მტრების ძლიერ მხარეებს და მოქმედებს გაბედულად და ეფექტიანად. ეს არის ძლიერი, თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული ლიდერი მამაკაცი ღრმა გრძნობებით. ბიჭის როლი მამაკაცად გაზრდაა.

**ამერიკული მულტფილმი** ზრდის მონას — ჭირვეულს, ურწმუნო მომხმარებელს, ნევროზულს, მარტოსულსა და მოტყუებულს. რომელსაც ყოველთვის მართავს ვილაც. რომელმაც არ იცის თავისი ძლიერი მხარეები, არ აწყობს გეგმებს, არ იღებს გადაწყვეტილებებს. ამას მის ნაცვლად სხვები აკეთებენ, მას მართავენ. ბოლოს აღმოჩნდება, რომ მაუგლი სულაც არ არის მთავარი პერსონაჟი. მთავარი პერსონაჟები არიან: უდარდელი დათვი და ბაგირა — მამაკაცი, რომლებიც მართავენ ჯუნგლებს.

და, სხვათა შორის, იუმორზე. იუმორი საშუალებას გვაძლევს, ინფორმაცია არ აღვიქვათ კრიტიკულად და გავაფართოვოთ დასაშვების ზღვარი: ეს ხომ ხუმრობაა, ეს ნორმალურია. ამიტომ მითითებების მიცემა სწორედ იუმორის მეშვეობით არის კარგი. **როდესაც ბავშვი უყურებს მულტფილმს, მას ჯერ ძალიან ცოტა გამოცდილება აქვს იმის გასარჩევად, რა არის ნორმალური და რა — არა. როდესაც ბავშვი ხედავს, რომ მულტფილმში პერსონაჟები რაღაცნაირად იქცევიან, და მათ არავინ კითხავს — ბავშვი ამ ქცევის მოდელს აღიქვამს, როგორც ნორმას, და ცხოვრებაში გადააქვს ის, რასაც ხედავს. ბავშვი, რომელიც უყურებს საბჭოთა მულტფილმს, იფიქრებს, რომ სიმამაცე და ღირსება ნორმალურია; მიზნების დასახვა და მათი მიღწევა ნორმალურია; ბრძოლა და გამარჯვება ნორმალურია. იყო საკუთარი ბედის შემოქმედი ნორმალურია. ბავშვი, რომელიც უყურებს ამერიკულ მულტფილმს, იფიქრებს, რომ, როცა ვილაც გმართავს ნორმალურია; ღალატი და მარტოობა ნორმალურია, ნერვიულობა და ჭირვეულობა ნორმალურია, იყო მომხმარებელი ნორმალურია.**

ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ მულტფილმს უყურებთ თქვენ და თქვენი შვილები (ძმისშვილები, დები, ძმები). რას დაინახავენ ისინი? ქცევის როგორი მოდელები იქნება მათთვის ნორმალური? რას განახორციელებენ ისინი ცხოვრებაში? და რას მოიმოქმედებთ თვითონ?

აი ეს არის სწორედ აღზრდა, ეს არის განათლება. **დღეს ისინი უყურებენ დისნეის მულტფილმებს, ხვალ მოუსმენენ პაპსას, ზეგ მათი იდეალები და ფასეულობები შეიძენენ დასავლური კულტურისთვის დამახასიათებელ ეგოისტურ და მომხმარებლურ შეფერილობას. ყველაფერი უფრო სერიოზულადაა, ვიდრე გგონიათ. პრობლემის იგნორირებით, ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს მას, უბრალოდ, ძალაუფლებას გადავცემთ მათ, ვინც მასზე უარს არ იტყვის.**

აი, ეს არის სულ. ინფორმაციის მეშვეობით — ფილმებით, მულტფილმებით, მუსიკით, თამაშებით და ა.შ. — მიმდინარეობს ვილაცისთვის სასურველი ქცევის შაბლონების თავსმოხვევა. ეს განსაკუთრებით მოქმედებს ბავშვებზე. ამიტომ იყავით ფხიზლად! შექმენით ნათელი, ძლიერი, პატიოსანი, მამაცი! გაფილტრეთ ინფორმაციის ნაკადი თქვენთვის და, უწინარესად, თქვენი შვილებისთვის.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული დანილ შარგანის წერილის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**როდესაც ბავშვი უყურებს მულტფილმს, მას ჯერ ძალიან ცოტა გამოცდილება აქვს იმის გასარჩევად, რა არის ნორმალური და რა — არა. როდესაც ბავშვი ხედავს, რომ მულტფილმში პერსონაჟები რაღაცნაირად იქცევიან, და მათ არავინ კითხავს — ბავშვი ამ ქცევის მოდელს აღიქვამს, როგორც ნორმას, და ცხოვრებაში გადააქვს ის, რასაც ხედავს. ბავშვი, რომელიც უყურებს საბჭოთა მულტფილმს, იფიქრებს, რომ სიმამაცე და ღირსება ნორმალურია; მიზნების დასახვა და მათი მიღწევა ნორმალურია; ბრძოლა და გამარჯვება ნორმალურია. იყო საკუთარი ბედის შემოქმედი ნორმალურია. ბავშვი, რომელიც უყურებს ამერიკულ მულტფილმს, იფიქრებს, რომ, როცა ვილაც გმართავს ნორმალურია; ღალატი და მარტოობა ნორმალურია, ნერვიულობა და ჭირვეულობა ნორმალურია, იყო მომხმარებელი ნორმალურია**



მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დაკარგული გვქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აზროვნება და შესაბამისი ფუნქციები. ამიტომ იყო, რომ სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ და მექანიკურად აღვადგინეთ 1921 წლის მენშევიკების სხვისგან გადმოწერილი მკვდრად დაბადებული კონსტიტუცია“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

„ერი... ეს არის ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“.
*ილია*

არაერთხელ გვითქვამს, რომ ილიას შემოქმედება ბევრ საზრდოს აძლევს მკითხველს ფიქრისა და განსჯისთვის და რომ მას, შემეცნებითთან ერთად, დიდი პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია. ის სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და საერთაშორისო მნიშვნელობასაც იძენს, რამეთუ ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის ბევრი იდეა და პრინციპი გლობალურ პრობლემებს შეიცავს. ჩვენ კი „ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ, ვეძებთ გამწარებით დედამიწის ოთხივე კუთხით და თითქოს ვპოულობთ კიდეც, მაგრამ სულ მალე აღმოჩნდება, „სიზიფეს შრომა“ რომ გაგვიწევია მხოლოდ, ამ „შრომით“ კი შორს ვერ წავალთ...“ (ელბერდ ბატიაშვილი).

საერთაშორისო სინამდვილის გაცნობიერებას და ამ სივრცეში საკუთარი ადგილის მოპოვებას, სხვადასხვა ხალხისგან განვითარების საუკეთესო გამოცდილებების ათვისებას ილია ქართველი ხალხის განვითარებისთვის აუცილებელ პირობად სახავს.

ვერ ვიტყვით, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრი ვინმეა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლით დაინტერესებული და ფიქრობს, რომ ილიას იდეების განხორციელება მძლავრ ბიძგს მისცემს ქვეყნის სამომავლო განვითარებას, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან მეცნიერები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ილიას, „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“, მემკვიდრეობა მოგვცემს სწორ სამომავლო ორიენტირს. „ამიტომაც ჩვენი დევიზი უნდა გახდეს: ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი!... მთავარია, ვირწმუნოთ ილიას ძალა“. სრულიად ვეთანხმებით ამ სიტყვების ავტორს, პოლიტოლოგიის პროფესორს, დოქტორს, თსუ „ილიოლოგთა კლუბის“ დამფუძნებელს, ბატონ ელბერდ ბატიაშვილს; ვეთანხმებით, რომ ილიას უცოდინრობა თითოეული ქართველისთვის უპატიებელი ცოდვაა, თუ რატომ, ამის დასასაბუთებლად ამავე მეცნიერის თვალსაზრისს შემოგთავაზებთ, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისთვის და არც ბატონი ელბერდი გაგვინაწყენდება მისი წიგნიდან „ილია და საქართველო. მემკვიდრეობა და თანამედროვეობა: რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“ ამონარიდის გამოქვეყნებისთვის.

# როცა ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ...




**ილიას «საერთო ნიადაგის» თეორიის ბევრი იდეა და პრინციპი გლობალურ პრობლემებს შეიცავს. ჩვენ კი «ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ, ვეძებთ გამწარებით დედამიწის ოთხივე კუთხით და თითქოს ვპოულობთ კიდეც, მაგრამ სულ მალე აღმოჩნდება, «სიზიფეს შრომა» რომ გაგვიწევია მხოლოდ, ამ «შრომით» კი შორს ვერ წავალთ...»**

## „ვერ გაგიგია, ამირან...“

...ვტკეპნით ერთ ადგილზე და წინ წასვლას არ ადგება საშველი ტერტერასაგან მოტყუებული ამირანივით. ასეთმა ანალოგიამ ამოატივტივა მეხსიერებაში ხალხური ეპოსის ეს გენიალური სტროფი, ასე რომ ეხმიანება ჩვენს დღევანდელ ყოფას:

**„ვერ გაგიგია, ამირან,**
**არგამარჯვების ნიშანი,**
**ისევ იმ ადგილს მოვედით,**
**სადაც დავკარი ისარი“.**

უსუფის ეს გაფრთხილება გვჭირდება ჩვენც, რათა ასე გაწელილი „გარდამავალი-გაუგებარი“ პერიოდის მოჯადოებული წრიდან გამოვიდეთ. მოდით, აქაც გულწრფელნი და მართალნი ვიყვნეთ ჩვენი ისტორიის წინაშე: ჩვენ, ყველა ერთად, მოუმზადებელნი აღმოვჩნდით დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. ეს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ **დაკარგული გვქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აზროვნება და შესაბამისი ფუნქციები.** ამიტომ იყო, რომ სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ და მექანიკურად აღვადგინეთ 1921 წლის მენშევიკების სხვისგან გადმოწერილი მკვდრად დაბადებული კონსტიტუცია.

მან რომ სიკეთე არაფერი მოგვიტანა, **მომდევნო წლები ნათელი დადასტურებაა ამისა, შემდგომ „ახალი“ კონსტიტუცია შევაკოწიწეთ, მაგრამ ესეც არაა ჩვენი, ქართული ცხოვრებიდან „აღმოშობილი“, როგორც ამას თხოულობს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, არამედ „სხვათა და სხვათა ბაძით“ და ამიტომაც არც მან იმუშავა ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ დღემდე...**

იქნებ დადგა დრო, რომ ამ „კონსტიტუციობანობის“ და მასთან ერთად, „პრეზიდენტობანობის“ თამაშსაც თავი ვანებოთ, მის განუწყვეტელ გადაკეთება- გადმოკეთებას, ვისაც როგორ აძლევს ხელს და ეპრიანება, და ხალხსა და ქვეყანას მივცეთ ეროვნული ცხოვრების ისეთი ძირითადი კანონი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს... თუ მიძაბვაა, აქ მივბაძოთ ამერიკელებს, ანდა, იაპონელებს, ასეთი კონსტიტუციითა და სახელმწიფო წყობით რომ შექმნეს მსოფლიო ისტორიაში მართლაც უნიკალური სახელმწიფო...

ხშირად მითქვამს და დამიწერია — პოლიტიკა ჭადრაკის თამაშს ჰგავს და პოლიტიკაშიც იმარჯვებს ის, ვინც თავის და მოწინააღმდეგის სვლებს უფრო სწორად, შორს და ღრმად თვლის. ილიასაც არაერთხელ გამოუთქვამს მსგავსი მოსაზრება და შედარება. განსაკუთრებით ეს იმპერიასთან ურთიერთობას ეხება. დავაკვირდეთ — **„ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების“ ავტორს ერთხელაც არ წამოსცდენია რუსეთთან დაპირისპირების, მის წინააღმდეგ აჯანყებისა და ომისაკენ მოწოდება, ასე სავსე რომაა ეს ოცდარვაწლიანი პერიოდი და ჩვენი ქვეყანა გაპარტახებამდე და ათასნაირ უბედურებამდე რომ მიიყვანა. ბისმარკი** სად იყო, არც გერმანია იყო გაერთიანებული, როცა ილიამ თქვა — რუსეთს ომი მხოლოდ უომოდ შეიძლება მოუგოთო...

დიახ, პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, ცივი და გამჭრიახი გონებით, შორსმჭვრეტელური და განსაკუთრებული ლოგიკით უნდა თვითოეული სვლის გაკეთება. სხვანაირად დაღუპავ თავსაც და ქვეყანასაც, როგორც ეს პირველ პრეზიდენტს დაემართა. გლობალიზმი და ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები კიდევ უფრო ართულებს ყოველივე ამას. ეს მარტო საგარეო პოლიტიკას არ ეხება. საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთი ხის ორი ნაყოფია და აქაც ამ ოცდარვა წელმა და მეტმა პრობლემები კი არ მოხსნა, კიდევ უფრო გაგვიმრავლა...

ესეც უცილობელი ფაქტია და, თუ მიზეზს ვიკითხავთ ყოველივე ამის, მისი პასუხიც უცილობელია: იმიტომ, რომ **სწორი გზით არ მივდივართ. თუ როგორია ეს სწორი გზა, გზა, რომელიც „ტაძრამდე“ მიგვიყვანს, ამის ერთადერთ სწორ პასუხს ილია მართალი გვაძლევს, თუკი, რასაკვირველია, ამ პასუხს ყურად ვიღებთ...**

## „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“

ილიას „მგზავრის წერილები“ დაკვირვებული მკითხველის გონებაში უამრავ სიმბოლიკასა და საფიქრალს აღძრავს წარსულის, აწმყოსა და მომავალი საქართველოს გასააზრებლად. მარტო „ერთა საბჭოს“ გახსენება რად ღირს... ამ მხრივ არანაკლებ ფიქრთა აღმძვრელია მისი ეს პასაჟიც — „წახდა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური გააზრებისთვის მოვიყვანოთ ავტორისა და მისი გმირის გასაუბრების ეს ადგილი:

„— მაშ უწინდელი გაწყობა და დრო უკეთესი იყო?

– რად არა?

— რით იყო უკეთესი?

— ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ...ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს (ეშმაკს – ე.ბ.), გარეთ მავნეს დავულაგმნდით... ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულს ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდით და ესრეთ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინა განიკითხის... აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის, წარხდა, მოისრა ქვეყანაი. რაია აწინა ჩვენი დარჩენა?“

„ადრიდა – აწინას“ ეს დაპირისპირება, მათი ფილოსოფიური გააზრება და აღქმა გაჰყვა „მგზავრის წერილების“ ავტორს მთელი ცხოვრება, მასთან ერთად კი „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის“ ახალ ისტორიულ ეპოქაში აღდგენის დიდი ოცნებაც და ნატვრაც, მაგრამ ეგეცაა — ამით არ შემოიფარგლა ილია და, თავისი მოხევისაგან განსხვავებით, შემდეგ უკვე მომავლის დიდი ხედვაც ზედ დაანათლა ამ „ადრიდა — აწინას“. ეს ხედვა და მასთან ერთად მისი „კონსტიტუციური გაკანონება“ დღემდე რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

რატომ? — ალბათ, ღირს ასეთი კითხვის დასმაც. **ნუთუ ქართველობას არ გვინდა, ანდა გვინდა და არ შეგვიძლია ამ ლელთღუნიასეული „წარხდენილი ქართველთა სახელისა და წეს-წყობის“ აღდგენა?** — პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად რჩება.

## რაშია ილიას ძალა?...

...ნებისმიერ ფუტუროლოგს შეშურდება ის ზუსტი პროგნოზირება მოვლენათა განვითარებისა, რასაც ილიასთან ვხვდებით. არ დავივიწყოთ ისიც, რომ ის ყველგან ცდილობს, მკითხველიც აიყოლიოს მომავლის მისეულ ანალიზსა და ხედვაში. სტატიათა ციკლი „ცხოვრება და კანონი“ ასეთ სტილშია დაწერილი. იგივე „აჩრდილიც“ რომ ავიღოთ, იქ პირდაპირი მინიშნებაა მკითხველისადმი — ავტორთან ერთად თვითონაც ჩაერთოს ქვეყნის მომავალი ბედ-იღბლის წვდომასა და გააზრებაში. ამისათვის პოემის ბოლოში ორ თავს მხოლოდ მრავალი წერტილით აღნიშნავს — თქვენც შემომიერთდითო, ნიშანს გვაძლევს ამით... „წინათქმაშიც“ აღვნიშნე მომავლის ჭვრეტისა და პროგნოზირების ილიას ეს საოცარი უნარი და ძალა. მან ხომ თითქმის მათემატიკური სიზუსტით იწინასწარმეტყველა I მსოფლიო და ამერიკის „მსოფლიო მეთაურად“ გახდომა, ისევე, როგორც ისრაელის ებრაული სახელმწიფოს წარმოშობა... მომავლის საქართველოს მისეული ხედვა და გააზრებაც არაერთგან აქვს და მთელი „საერთო ნიადაგის“ თეორიაც ხომ ამაზეა აგებული. **მთავარია, ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, „კარგ მთქმელს კარგი გამგებნი გამოუჩნდნენ“... მესამედასურ საქართველოში ეს შეუძლებელი გახდა მათივე „უცხო ბაძის მონობის“ გამო.** „კარგი გაგება“ კი არა, მისი ფიზიკური და იდეური მკვლელობა ჰქონდათ მიზნად და ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც, მაგრამ ეროვნულობისა და ეროვნული იდეოლოგიის ამოძირკვა სრულად შეუძლებელია. ეს კარგად არის ნაჩვენები მიხაკო წერეთელის „ერი და კაცობრიობაში“ და საბჭოთა კავშირის მაგალითიც ხომ ნათლად აჩვენებს ამას... თავს ძალა ▶

# „შემდგომ „ახალი“ კონსტიტუცია შევაკოწიწეთ, მაგრამ ესეც არაა ჩვენი, ქართული ცხოვრებიდან „აღმოშობილი“, როგორც ამას თხოულობს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, არამედ „სხვათა და სხვათა ბაძით“ და ამიტომაც არც მან იმუშავა ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ დღემდე...“

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უნდა დავატანოთ და — „გვესმას მშობლისა“...

## „ქართველების საქმე მაშინ წავა კარგად...“

კაპიტალიზმის განვითარებამ მსოფლიოშიც და საქართველოშიც ილია დაარწმუნა: **„ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა, არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელი სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა... ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა, — პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზედ. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებური ზედგამოჭრით, თუ სიმართლეს ათქმევინებთ...“** *(„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“)*. ამიტომ ჩასჩიჩინებდა მაშინდელ ქართველობას ხსნისა და გადარჩენისთვის ამ ახალი ეპოქის შესატყვისი „ციხე-სიმაგრე აეგოთ, ხერხი და ფარ-ხმალი ეხმარათ“, მაგრამ ისევე, როგორც მისი სხვა ბრძნული რჩევა, ესეც რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, ამიტომაც წერდა ამ გულსაკლავ სიტყვებს: **„უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, მათი საცხოვრისია“**. ამიტომ ურიგებდა გულუხვად ბანკის შეღავათიან და გრძელვადიან აგრარულ სესხებს ყველას, ვისაც ამ ახალ ომში ჩაბმა და გამარჯვება სურდა... **„ტყე, მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა-მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ“.** მესამედასელთა სოციალურ დემაგოგიას ილიამ „საერთო ნიადაგის“ თეორია დაუპირისპირა. ეს მე მაგონებს მისი ეპოქის დიდი ამერიკელი მოაზროვნისა და მოღვაწის, ლინკოლნის, სიტყვებს, I ინტერნაციონალის მისამართით რომ თქვა მარქსისა და ენგელსის გასაგონად: „თქვენ შეგიძლიათ მოატყუოთ მთელი ხალხი დროის გარკვეულ ხანს ან ხალხის ნაწილი ატყუოთ მარად, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ატყუოთ მთელი ხალხი მარად“. უკეთესად ვერ ამხელ დემაგოგებსა და დემაგოგიას...

სოფელი რა არის და ერთი კაციო. და ილიაც ეძებდა მთელ საქართველოში, მის მთასა თუ ბარში იმ „ერთ კაცს“, რომელიც მის იდეებსა და მიზნებს საქმედ აქცევდა. ბევრიც იპოვა ასეთი ამერ-იმერით. ბევრი წარმატებული ხოდაბუნური სასოფლო-სამეურნეო კორპორაციაც შექმნა, მაგალითად, მაჩხაანის, დიმიტრი მაჩხანელის თავკაცობით. დიმიტრი მაჩხანელმა მაჩხაანი ევროპული ყაიდის წარმატებულ დაბა-სოფლად აქცია, რომლის კვალი დღესაც ემჩნევა ამ სოფელს. ამასაც ვინ დაიჯერებს დღეს — მარტო ამ ერთ სოფელს 400 ათასი სული ცხვარ-ძროხა და კამეჩი ჰყავდა... ამ მხრივაც არის საჭირო ჩვენს ისტორიაში ჩახედვა და გაგება. დღეს, როცა ბევრი ლაპარაკია ქართული სოფლის აღორძინება-განვითარებაზე, ახალი ხელისუფლების ახალ აგრარულ პოლიტიკაზე, ალბათ, ღირს დღესაც ასეთი პიროვნებების მოძიება და ხელშეწყობა ამ სოფელ-ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ ხსენებულ გამოცემაში ნიმუშად მოვიყვანთ ილიას ხელმოწერით გამოშვებულ ბანკის წლიური 5-პროცენტიანი საკრედიტო ბარათს, რითაც იგი ხელს უწყობდა ამ „ხოდაბუნური ამხანაგობების“ დაფუძნებას კაპიტალიზმის გზაზე შემდგარ საქართველოში... **„ქართველების საქმე მაშინ წავა კარგად, როცა საქმით ფულის კეთებას ისწავლიან“,** — წერდა იგი და ყველას ჩააგონებდა, ვინც კი, ბანკის კრედიტით თავისი მამულის მოვლა-პატრონობის ახალ სამეურნეო პრინციპებზე განვითარებას დაისახავდა მიზნად, „ფულს გაფრთხილებოდნენ ყაირათიანად“. ეპოქა ეპოქას მისდევს, თაობა – თაობას, **ყველაფერი მართლაც რომ ელვისებური სისწრაფით იცვლება ირგვლივ, მაგრამ უცვლელი რჩება ის ფსიქიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები, რომლებზეც დაფუძნებულია ერისა და ქვეყნის ცხოვრება. ალბათ, ამაზეც ითქმის, — ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია და ჩვენი ვალია, ეს „კარგად დავიწყებული“ გამოვაცოცხლოთ ჩვენი ეპოქის შესატყვისი ფორმებით. ძველი ქართული „კომლი“ და „ხოდაბუნები“ ამის ერთ-ერთი მაგალითია. ილია, ივანე ჯავახიშვილი ამით ხსნიდნენ „ძველი საქართველოს ეკონომიურ სიძლიერეს. იქნებ ახალმა საქართველომ და „ახალმა ქართველებმა“ ყურად ვიღოთ ეს...** „ილიალოგთა კლუბი“ ამაზე იყო კონცენტრირებული დღიდან მისი დაფუძნებისა. მახსოვს გაცხარებული დისკუსიები, ოპონენტების ათასგვარი არგუმენტები — რაღა დროს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ პრინციპებია, მილიონი ახალი იდეები და თეორიებია დღეს მსოფლიოში, კერპთაყვანისმცემლებად ხართ გადაქცეულნიო...

## ელბერდ ბატიაშვილი: «ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების» ავტორს ერთხელაც არ წამოსცდენია რუსეთთან დაპირისპირების, მის წინააღმდეგ აჯანყებისა და ომისკენ მოწოდება, ...ჩვენი ქვეყანა გაპარტახებამდე და ათასნაირ უბედურებამდე რომ მიიყვანა. ბისმარკი სად იყო, არც გერმანია იყო გაერთიანებული, როცა ილიამ თქვა, — რუსეთს ომი მხოლოდ უომოდ შეიძლება მოუგოთო... სწორი გზით არ მივდივართ. თუ როგორია ეს სწორი გზა, გზა, რომელიც «ტაძრამდე» მიგვიყვანს, ამის ერთადერთ სწორ პასუხს ილია მართალი გვაძლევს, თუკი, რასაკვირველია, ამ პასუხს ყურად ვიღებთ...»


ელბერდ ბატიაშვილი

## კონსტიტუციური მონარქია: საქართველოს სამომავლო გზა...

...ჩვენც და ჩვენი მთა-ბარი ბუნება-ხასიათით პარადოქსების ქვეყანა ვართ და ესეც რაღაც პარადოქსული კატეგორიის მოვლენად უნდა ჩავთვალოთ: სულო და გულო, სახელმწიფოს რა ფორმებზე არ ვწერთ და ვლაპარაკობთ, სად არ ვეძებთ მათ, ქვეყნიერების რომელ კუთხეშიც გნებავთ, გარდა ჩვენი საკუთარი ისტორიისა. „უცხო ბაძის სენი, მაიმუნური წამბაძველობა და თუთიყუშური გადმოძახილი“ — ასე განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძე ყოველივე ამას მესამედასელებთან პოლემიკისას... მართლაც, „უცხო“ ხომ ჩვენთვის ყოველთვის „საუცხოოა“...

მე იმ ასაკის კაცი ვარ, რომ თვითონ ვარ მომსწრე ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე იმ განსჯა-კამათისა, თუ რა ტიპის სახელმწიფო უნდა შევქმნათ ქართველობამ, როცა ამ მორიგ დამპყრობელს დავაღწევთ თავს. სტუდენტობიდან რაზე არ გვიმსჯელია, მაგრამ ძალიან იშვიათად მახსენდება სერიოზული ანალიზი კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საპარლამენტო მმართველობის იმ მოდელზე, რომელზეც ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია არის დაფუძნებული. არადა, თუ რამეს უნდა დღეს განსჯა-კამათი და ანალიზი, სწორედ რომ ესაა. პირველ რიგში ამას სჭირდება ჩვენგან „ქმნა მართლისა სამართლისა...“.

ძველი სიბრძნეა — „ივიწყებ წარსულს, ჰკარგავ მომავალს“ და ეს ისე არავის სჭირდება დღეს, როგორც ჩვენ. ილიამ არაერთი წერილი და სტატია მიუძღვნა ამას და ამ მხრივაც ჩვენი გზამკვლევი უნდა იყოს საქართველოს ისტორიისა და პოლიტოლოგიის მისეული ფორმულა — „რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“.

...ჩვენი ისტორია და თანამედროვეობა გვაძლევს შანსს, რომ საქართველოს სამომავლო განვითარება ამ პრინციპითა და კალაპოტით წარვმართოთ.

ეჭვი არაა, რომ ამას გლობალიზმის პირობებში მხოლოდ პოზიტიური მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეროვნული იდენტობისთვის, ისევე, როგორც ქვეყნის დემოკრატიული, სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ამას გვეუბნება და გვასწავლის საერთაშორისო გამოცდილებაც ინგლისიდან იაპონიამდე. „სახელმწიფოებრივი ნაციაც“ მაშინ გავხდებით, როცა ამ ორ ფაქტორზე — ჩვენს ეროვნულ-ისტორიულ და საერთაშორისო გამოცდილებაზე — დავაფუძნებთ ქართულ სახელმწიფოს.

ერთი პოეტური თქმისა არ იყოს, — „ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“, — ყველა ახალმოვლენილი ხელისუფალი თავის თარგსა და ჭკუაზე ჭრის და კერავს ამ ჩვენს საცოდავ კონსტიტუციას, ნაცვლად იმისა, რომ იგი ქვეყნისა და ერის ცხოვრებას, მის ფსიქო-გენეტიკურ ფესვებს, ისტორიასა და ტრადიციებს მოვარგოთ. „ძირითადი კანონიც“ ხომ ამიტომ ჰქვია. ეს 28 წელი ამდენი „ჩასწორება-ჩამატებებით“ თვით უძველეს აშშ-ის კონსტიტუციასაც კი გავუსწარით, მეტი პარადოქსი რაღა გინდათ. ამ მხრივაც „ვაჯობეთ“ ყველას — ჭეშმარიტად, რომ გინესის ანტირეკორდების წიგნში ვართ შესატანი...

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ილიას რეაბილიტაცია მომხდარი ფაქტია და მესამედასური იდეოლოგიაც თითქოს წარსულს ჩაბარდა, გალაკტიონის პოეტური გენიით ნათელხილული ის „დიდი ეპოქა“ კვლავ აღსადგენია და, რაც მთავარია, განსახორციელებელი. ამას ჩვენ გარდა არავინ გააკეთებს...

ამ ახალ სახელმწიფოებრივ სისტემაზე გადასვლას, ცხადია, გარკვეული წლები და შეიძლება ათწლეულებიც დასჭირდეს, მაგრამ მთავარია, დავიწყოთ აქეთკენ სვლა, სვლა „დავითის ძალისხმევისა და თამარის სათნოების ხაზის“ გამთლიანებისკენ. ათასწლეულების დასაწყისი ფეხბედნიერად აქვს დაცდილი ჩვენს ისტორიას და უნდა გვწამდეს, რომ ეს ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული ახალ „ოქროვან ხანას“ მოუტანს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას...

„ძნელბედობაც“ მაშინ დამთავრდება და მაშინ „ვიყუდნებთ ჩვენს თავს ჩვენად“. აკი, შესთხოვს უფალს „აჩრდილის“ XXVI თავში ყველაზე დიდ ოცნებას და ნატვრას თავისი „კარგი ქვეყნისთვის“:

„მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..“

* * *

„ილიასთვის ზნეობაზე, კაცობაზე მაღლა არაფერი დგას. აკი, თვითონვე შესანიშნავად განსაზღვრა თავის თავი — „ჩემი ღმერთი ჩემი სინდის-ნამუსიაო“, ხოლო სიტყვა „კაცზე“ ილიას მთელი თეორია აქვს აგებული სტატიაში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“. მე მას „ხუთი კაცის“ თეორია დავარქვი, რამეთუ აქ ილია ეროვნულ ცხოვრებაში 5 კაცს განასხვავებს:

1. **„ზოგადკაცი“** — საკაცობრიო არენაზე მოღვაწე და მოქმედი კაცი;
2. **„ერისკაცი“** — ეროვნული მასშტაბით მოქმედი;
3. **„თემის კაცი“** — მოცემულ კონკრეტულ თემში მოქმედი;
4. **„გვარის კაცი “** — მოცემულ გვარში მოქმედი;
5. **„ოჯახის კაცი“** — ოჯახის მასშტაბით.

ამასთანავე, აქ ილია არ გულისხმობს „მდაბალბუნებოვან კაცს“. ილიასთვის ლუარსაბის მსგავსი ადამიანი არარაობას წარმოადგენს ყველგან და ყველაფერში... „დიდბუნებოვანი კაცი“ კი ერთნაირად მისაღები და საამაყოა ყველგან — ქვეყნის გარეთაც და ოჯახშიც.

**«ყველაფერი მართლაც რომ ელვისებური სისწრაფით იცვლება ირგვლივ, მაგრამ უცვლელი რჩება ის ფსიქიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები, რომლებზეც დაფუძნებულია ერისა და ქვეყნის ცხოვრება. ალბათ, ამაზეც ითქმის, — ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია და ჩვენი ვალია, ეს «კარგად დავიწყებული» გამოვაცოცხლოთ ჩვენი ეპოქის შესატყვისი ფორმებით. ძველი ქართული «კომლი» და «ხოდაბუნები» ამის ერთ-ერთი მაგალითია. ილია, ივანე ჯავახიშვილი ამით ხსნიდნენ ძველი საქართველოს ეკონომიურ სიძლიერეს. იქნებ ახალმა საქართველომ და «ახალმა ქართველებმა» ყურად ვიღოთ ეს...»**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

** აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## კიევის მახლობლად 14 წლის მოსწავლე თავისი ოჯახის წევრებს მოსაკლავად დაერია

**ეს მოხდა კიევ-სვიატოშინსკის რაიონში, როცა 14 წლის ბიჭი შეეცადა, მოეკლა დეიდა, მისი ოთხი წლის ბიჭი და საკუთარი დედა, იუწყებოდა კიევის ოლქის ეროვნული პოლიციის პრესსამსახური 2 მარტს.**

გაირკვა, რომ მოზარდი ცხოვრობდა თავის ნათესავებთან, რადგან დადიოდა კერძო სკოლაში, რომელიც მათ სახლთან ახლოს მდებარეობდა. დედა კიევში ცხოვრობდა.

კონფლიქტი ნათესავების დავას მოჰყვა. ყმაწვილმა აიღო სამზარეულოს დანა და დეიდას მკერდში ჩაარტყა.

ქალმა შეძლო ბიჭისთვის დანა ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ დისშვილი შევარდა სამზარეულოში და აიღო სხვა დანა და ნაჯახი.

დეიდა შინიდან გამოვარდა და დარეკა დასთან. მოსწავლემ ნაჯახის დარტყმით მობილური ტელეფონი გააგდებინა. შემდეგ გადაერთო 4 წლის დეიდაშვილზე, რომელსაც მრავალი ჭრილობა მიაყენა.

ამ დროს დედამ მოასწრო დაბრუნება. მოზარდი დედის დაჭრასაც შეეცადა. შემდეგ გაიქცა.

პოლიციამ ოპერატიულად დაადგინა მისი ადგილსამყოფელი და დააკავა. დაჭრილები საავადმყოფოში არიან მოთავსებული. მათი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.



## ფრანგ ფიგურულ მოციგურავეს 13 წლის გოგონას შეცდენის მცდელობას აბრალებენ

**ლაპარაკია მორგან სიპრზე, — იუწყება ამერიკული გამოცემა USA Today.**

სპორტსმენი თითქოს ინტიმური ხასიათის ფოტოსურათებს უგზავნიდა არასრულწლოვან მოციგურავე ამერიკელ გოგონას, ვისთან ერთადაც ვარჯიშობდა.

ინციდენტი 2017 წელს მოხდა, მაგრამ გამჟღავნდა ახლახან. გოგონას მშობლებმა განაცხადეს, რომ მოციგურავის მწვრთნელებმა **ჯონ ციმერმანმა** და **სილვია ფონტანამ** დააშინეს ისინი და აიძულეს ხმა არ ამოეღოთ, რადგან სპორტსმენი ემზადებოდა 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის.

გამოძიება დაიწყო ამერიკულმა ცენტრმა Safesport-მა, რომელიც იკვლევს სპორტსმენებზე ძალადობის შემთხვევებს.

იანვარში **მორგან სიპრმა** და მისმა პარტნიორმა **ვანესა ჯეიმსმა** მინსკში გამართულ ასპარეზობაზე ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## «კლინტონს უყვარდა იგი». ტრამპმა თქვა, რასაც ჰარვი ვაინშტეინზე ფიქრობდა



**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თქვა, რომ მას არასოდეს მოსწონდა ამერიკელი პროდუსერი ჰარვი ვაინშტეინი. ამასთანავე, მან ხელიდან არ გაუშვა შანსი, კბილი გაეკრა დემოკრატებისთვის, რომელთა ხელგაშლილი სპონსორი წლების განმავლობაში იყო ჰოლივუდელი მაგნატი.**

— მე არასოდეს ვყოფილვარ ჰარვი ვაინშტეინის ფანატი... არ მიყვარდა იგი... ვისაც იგი უყვარდა, დემოკრატები იყვნენ. **მიშელ ობამას** უყვარდა, **ჰილარი კლინტონს** უყვარდა. იგი უამრავ ფულს აძლევდა დემოკრატებს. მაინტერესებს, მოთხოვენ თუ არა დემოკრატებს, დააბრუნონ ეს ფული? — უთხრა ჟურნალისტებს ამერიკის ლიდერმა.

შეგახსენებთ, რომ 2017 წელს ჰოლივუდის მსახიობებმა ვაინშტეინი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს. მათ შორის იყვნენ **ანჯელინა ჯოლი, გვინეტ პელტროუ** და **სელმა ჰაიეკი.** სკანდალის ფონზე იგი გააძევეს საკუთარი კომპანიიდან, მიატოვა ცოლმა. 2018 წლის მაისში წაუყენეს ბრალდება ძალადობასა და გაუპატიურებაში. სასამართლო პროცედურების დამთავრებამდე იგი ერთი მილიონი დოლარის გირაოთი თავდებით გაათავისუფლეს.

2020 წლის 24 თებერვალს სასამართლომ იგი 5 პუნქტიდან ორში დამნაშავედ სცნო და მარტის დასაწყისში 23 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ვაინშტეინს ელოდება კიდევ ერთი სასამართლო სხვა ფაქტებზე იმავე ხასიათის ბრალდებით, რომელიც სულ მალე გაიმართება.

## კემბრიჯიდან გაძევებულმა მასწავლებელმა თავისი მოწოდება იმ სტუდენტი გოგონების შესახებ წიგნის დაწერაში იპოვა, რომლებსაც ეძალადებოდა

**ხუთი წლის წინათ პიტერ პატჩინსონი კემბრიჯის კოლეჯ ტრინიტი-ჰოლის პროფესორობიდან გაათავისუფლეს თავის მოწაფე გოგონებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით. ეს-ესაა გაირკვა, რომ გამოძიების პროცესში მან გამოსცა ეროტიკული წიგნი სტუდენტი გოგონების შესახებ.**

გაძევების მიზეზი სტუდენტი გოგონების სარჩელი იყო. მათ განაცხადეს, რომ მასწავლებელი მათი მისამართით ორაზროვნად და უხამსად ხუმრობდა. ამით ისტორია არ დამთავრებულა — 2019 წლის ბოლოს ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ პროფესორმა შეინარჩუნა საუნივერსიტეტო პრივილეგიები. საზოგადოების აღშფოთების შედეგად იგი მაინც გახდა იძულებული მიეტოვებინა კათედრა. სამართალმა პური ჭამა. ასე ჩანდა, მაგრამ 2020 წლის დასაწყისში ახალი დეტალები გამჟღავნდა.

ჟურნალისტურმა პორტალმა Tortoise-მა გაარკვია, რომ პატჩინსონმა მისი საქმის გამოძიების პროცესში **ბარი ეიბლის** ფსევდონიმით გამოსცა ეროტიკული რომანი „პირველად, ანუ ო-ლა-ლა!“ ამ წიგნის სიუჟეტი აგებულია ახალგაზრდა კაცის — პიტერის ყოფაზე, რომელიც არარსებული კოლეჯის სენტ-ბედლის სტუდენტია. მას ბრალს დებენ სექსუალური ხასიათის გამოხდომებში.

რომანის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება სტუდენტ გოგონებს, რომლებიც გაერთიანებულები არიან სექსკლუბში „ქალწულები“. თითოეული მონაწილე ვალდებულია ყოველკვირეულად სექსუალური ურთიერთობა დაამყაროს ახალ მამაკაცთან, მათ შორის მასწავლებლებთანაც. ტექსტში ბევრჯერ არის წვრილად აღწერილი ინტიმური კავშირის მრავალსახეობა.





წიგნის ყდა ცალკე განხილვის საგანია. მასზე გამოსახულია ჰატჩინსონის ყოფილი სტუდენტი გოგონას ფეხების ფოტოსურათი. ერთ-ერთი იმათგანის, რომელმაც უჩივლა მასწავლებელს. და ეს რეალობა გამონაკლისი არ არის.

რომანში აღწერილია 2006 წლის სასამართლო პროცესი. ჰატჩინსონის ყოფილმა სტუდენტმა გოგონამ **ელი პიემონტმა** სარჩელი შეიტანა მოძალადე მასწავლებელზე. ქალიშვილმა, რომელიც ამჟამად უკვე 38 წლისაა, იცნო რომანში აღწერილი თავისი თავი, რაც, რა თქმა უნდა, არ მოეწონა.

„ის, რაც მან, ამ საცოდავმა ქალთმოძულემ გამოაქვეყნა, ბოდვაა და მას სრულ არარაობად წარმოაჩენს. მაგრამ ყველაზე მთავარი აქ მაინც ის არის, რომ ამ ნაჯღაბნის ავტორს წლების განმავლობაში სერიოზული თანამდებობა ეკავა და ტრინიტი-ჰოლის სტუდენტებზე მბრძანებლობდა“, — წერს ელი პიემონტი.

ჰატჩინსონმა აღიარა, რომ წიგნი მისი დაწერილია, მაგრამ ვერაფერ სათაკილოს მასში ვერ ხედავს. ავტორის აზრით, რომანი მხოლოდ გადმოსცემს „პროგრესულ დამოკიდებულებას ქალების მიმართ, რომლებიც სრულად არიან გათავისუფლებულნი“. რეალობასთან დამთხვევა კი გაამართლა იმით, რომ ყველა სახე მხოლოდ მხატვრული წარმოსახვის შედეგია და მათში პროტოტიპების ძებნა არ ღირს.

**აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მაცხოვრებელთა უმრავლესობა რელიგიას ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევს.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გიყვარს ევროპა — უნდა შეიყვარო ლგბტ-ც

## აღმოსავლეთ ევროპაში პატივს სცემენ ოჯახს და რელიგიურ ფასეულობებს. დასავლეთ ევროპაში ეს არ მოსწონთ

**ბებერი ევროპა აღაშფოთა პოლონელებისა და ბულგარელების დამოკიდებულებამ სქესობრივი განსხვავებულობისადმი და მზად არის ამ ქვეყნების მოსახლეობას ასწავლოს, როგორია „ნამდვილი“ ევროპული სიყვარული.**

ფრანგულმა Le Monde-მა თებერვლის ბოლოს გამოაქვეყნა წერილი — „აღმოსავლეთ ევროპაში გენდერული ომია გამოცხადებული“. ამ ავტორიტეტული გამოცემის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ ევროკავშირში გაერთიანებული ყოფილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები სულიერად რუსეთთან უფრო არიან ახლოს, ვიდრე დასავლეთ ევროპასთან.

ამ „აღმოჩენამ“ ააფორიაქა. გეტყვით, რა მიზეზით.

2020 წლის დასაწყისში თავისი ტრადიციებით ცნობილ პოლონეთის ქალაქ სვიდნიკის შესასვლელში დადგეს ნიშანი წარწერით **„ზონა ლგბტ-ს გარეშე“.** სოციალური ქსელებით ამ ნიშნის ფოტოსურათი სწრაფად გავრცელდა და ადგილობრივი მცხოვრებლების წინააღმდეგ დარაზმა ევროპა. შემდეგ გაირკვა, რომ ეს იყო იქაური მხატვრის პერფორმანსი. მას გადაეწყვიტა ასეთი ფორმით დაეცვა ჰომოსექსუალების უფლებები. საქმე ის იყო, რომ ქალაქის ხელისუფლებამ შარშან მიიღო გადაწყვეტილება (დეკლარაცია) ოჯახის ავტორიტეტსა და ბავშვების უბიწობაზე თავდასხმის წინააღმდეგ.

სვიდნიკის მიბაძვით ანალოგიური დოკუმენტები მიიღო პოლონეთის 90-მდე დასახლებულმა პუნქტმა. ჰომოსექსუალების ამ ქალაქებიდან გაძევებას არავინ აპირებდა, მაგრამ იმათ, ვისშიც ზიზღს იწვევდა პედერასტიის პროპაგანდა, ლგბტ-აქტივისტებმა მიაწერეს აგრესიული ქმედებების განხორციელებისთვის მზადყოფნა.

პროვოკაციული „ნიშნის“ ავტორი **ბარტ სტაშევსკი** განმარტავს: „მე მსურდა მეჩვენებინა, როგორ შორდებიან აღნიშნული დეკლარაციის ავტორები ევროპულ ფასეულობებს და უახლოვდებიან რუსეთის ფასეულობებს, სადაც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა კანონით არის აკრძალული“.

ამ ამბავმა აღაშფოთა ფრანგი ჟურნალისტები, დარაზმა ისინი პოლონეთში ტრადიციული ოჯახური ფასეულობების წინააღმდეგ, ასევე, უნგრეთში ერთნაირსქესიანთა „ოჯახების“ მიერ შვილად აყვანის წინააღმდეგ მიმდინარე მოძრაობასთან საბრძოლველად. ფრანგებს არც 2013 წელს ხორვატიაში მოწყობილი რეფერენდუმის შედეგები მოეწონათ, რომლის მონაწილეთა 66-მა პროცენტმა დაგმო ერთნაირსქესიანთა „დაქორწინება“, არც ის, რომ ბულგარეთის სასამართლოებმა არ დაადასტურეს საზღვარგარეთ გაფორმებული ერთსქესიანთა „ქორწინების“ კანონიერება.

**Le Monde-ის მიერ გამოკითხული ექსპერტები წუხან იმის გამოც, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში არ განხორციელდა „სექსუალური რევოლუციები“ და ამიტომაა, რომ ადამიანები იქ ცხოვრებას ისე არ უყურებენ, როგორც ჰოლანდიაში ან შვედეთში.**

ფრანგული გამოცემა ასკვნის, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის უმრავლესობა უარყოფითად ეკიდება ჰომოსექსუალებს. კვლევების ევროპული კომისიის მიერ შარშან სექტემბერში მოწყობილმა კვლევამ დაადასტურა, რომ არსებობს „ნამდვილი უფსკრული“ ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ლგბტ-თემისთვის განსაკუთრებული იურიდიული უფლებების მინიჭებას — ერთნაირსქესიანთა „დაქორწინებას“ და მათი „ოჯახების“ მიერ შვილად აყვანას — მხარი დაუჭირა სლოვაკების მხოლოდ 31-მა პროცენტმა, რუმინელების 38-მა პროცენტმა და ბულგარელების 39-მა პროცენტმა.

**ტრადიციულ ფასეულობათა მომხრეების რაოდენობა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში განუხრელად მატულობს. ლგბტ-სთვის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭების მომხრეთა რაოდენობა ბულგარეთში 2015 წლიდან შემცირდა 12 პროცენტით, ჩეხეთსა და სლოვაკეთში — 5 პროცენტით.**

ამ ვითარებას ადასტურებს ამერიკული Pen Research Center-ის გამოკვლევები. აშშ-ში, მაგალითად, ყბადაღებულმა „სექსუალურმა რევოლუციამ“ ისე ღრმად შეტოპა, რომ ადამიანების ბუნებრივი უფლება ნორმად არ აღიარონ სექსუალური გაუკუღმართება, საყოველთაოდ არის დაგმობილი. კინოფილმებში, ლიტერატურასა და ინტერნეტში პედერასტებისა და ლესბოსელების ურთიერთობა რომანტიზებულად არის გადმოცემული. და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამერიკელის სურვილია კაცში კაცი დაინახოს და ქალში — ქალი, მათი ხმა პრაქტიკულად არ ისმის. რას ვიზამთ, მათთან დემოკრატიაა.

დავბრუნდეთ ევროპაში. ზემოთ აღნიშნული კვლევების ამერიკული ცენტრის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების ფასეულობათა მიმართ ყოფილი სოციალისტური ბანაკის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა დამოკიდებულება აბსოლუტურად განსხვავებულია. მაგალითად, **შვედეთში ერთნაირსქესიანთა „დაქორწინების“ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ქვეყნის მოქალაქეთა 88 პროცენტს, დანიასა და ჰოლანდიაში — 86 პროცენტს, ბელგიაში — 82 პროცენტს, ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში — 77 პროცენტს. შედარებისთვის: სლოვაკეთში ამგვარი გაუკუღმართების მოყვარულთა რაოდენობა 47 პროცენტია, პოლონეთში — 32 პროცენტი, ხორვატიაში — 31 პროცენტი, უნგრეთში — 27 პროცენტი, რუმინეთში — 26 პროცენტი, ესტონეთში — 23 პროცენტი, ბულგარეთში — 18 პროცენტი. რუსეთის ფედერაციაში ერთნაირსქესიანთა დაქორწინებას მხარს უჭერს მხოლოდ 5 პროცენტი. ამ ჯგუფის ქვეყნებში შედის საბერძნეთიც, რომლის კონსტიტუციით მართლმადიდებლობა ოფიციალურ რელიგიად არის აღიარებული.**




**აშშ-ში, მაგალითად, ყბადაღებულმა «სექსუალურმა რევოლუციამ» ისე ღრმად შეტოპა, რომ ადამიანების ბუნებრივი უფლება ნორმად არ აღიარონ სექსუალური გაუკუღმართება, საყოველთაოდ არის დაგმობილი. კინოფილმებში, ლიტერატურასა და ინტერნეტში პედერასტებისა და ლესბოსელების ურთიერთობა რომანტიზებულად არის გადმოცემული**



აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მაცხოვრებელთა უმრავლესობა რელიგიას ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევს (76 პროცენტი — საბერძნეთში, 66 პროცენტი — ბულგარეთში, 64 პროცენტი — პოლონეთში, 58 პროცენტი — ხორვატიაში, 57 პროცენტი — რუსეთში). შედარებისთვის: მოცემული დებულების მომხრეთა რაოდენობა შვედეთში 15 პროცენტია, დანიაში — 19 პროცენტი, ჰოლანდიაში — 22 პროცენტი, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში — 34 პროცენტი თითოეულში.

საბოლოო ჯამში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საზოგადოება ნორმად მიიჩნევს სქესთა შორის ბუნებრივ დამოკიდებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება ნეოლიბერალური ელიტების მიერ მოსახლეობისთვის თავსმოხვეული „მორალის“ ნორმებს.

**შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის ორი შესაძლებლობა არსებობს. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ან უარყოფენ ფასეულობათა დონეზე მათთვის უცხო „ევროპულ თანამეგობრობას“, ან მათ ელის დაუნდობელი ზნეობრივი და სულიერი გადაგვარება, რომელსაც უმძიმესი ეროვნული კომპლექსები და ეროვნული და ადამიანური სახის დაკარგვა მოჰყვება.**





ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ალბერტ აინშტაინი (1879-1955)

ფარდობითობის თეორიის შემქმნელი ალბერტ აინშტაინიც არ ბრწყინავდა სკოლაში. პატარა ალბერტის მშობლები ნაცნობებს ეუბნებოდნენ, რომ შვილის კარიერაზე ილუზიები არ ჰქონდათ და იმედოვნებდნენ, ისეთ სამუშაოს მაინც იშოვიდა, რომ ოჯახის გამოკვებას შეძლებდა.

# 10 დიადი «ოროსანი»

**ბავშვი ცუდად სწავლობს სკოლაში? — ეს სულაც არ არის საბაბი იმისა, რომ ის წარუმატებელ, უპერსპექტივო ადამიანად მივიჩნიოთ და შევშფოდეთ მისი მომავლის გამო. ბევრი გენიოსი ვერ დაიკვეხნიდა კარგი სწავლით.**



## ვოლტერი (1694-1778)

სახელგანთქმული ფრანგი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის, **ვოლტერის** (ნამდვილი სახელი ფრანსუა-მარი არუე) მამას სურდა, შვილი იურისტი გამოსულიყო და რატომღაც იეზუიტების კოლეჯში შეიყვანა, სადაც ასწავლიდნენ „ლათინურსა და სხვადასხვა სისულელეს". მოზარდი ვოლტერი არც ისე კარგად სწავლობდა, არც იურისტის კარიერა ხიბლავდა. იმედგაცრუებულმა მამამ ერთხელ თქვა ვოლტერსა და მის ძმაზე: „მე ორი ბრიყვი გავზარდე. ერთი პროზაშია, მეორე — ლექსებში".



## ისააკ ნიუტონი (1642-1727)

ისააკ ნიუტონი სკოლაში საკმაო ხნის განმავლობაში ცუდად სწავლობდა. კარგად სწავლა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა კლასელმა გალახა. სუსტმა ბიჭმა, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა, გადაწყვიტა, ყველასთვის ეჩვენებინა, რომ ჯაბანი არ იყო და ჯერ კლასელებსა და მასწავლებლებს, შემდეგ კი მსოფლიოს დაუმტკიცა თავისი ნიჭიერება.



## ოტო ფონ ბისმარკი (1815-1898)

ოტო ფონ ბისმარკი სკოლაში საშუალო დონეზე სწავლობდა. გეტინგენის უნივერსიტეტში მოხვედრის შემდეგ გერმანიის მომავალი კანცლერი სწავლას გართობას ამჯობინებდა და 27 დუელის მონაწილე იყო.



## ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821)

საფრანგეთის მომავალი იმპერატორი სასკოლო საგნებიდან მხოლოდ მათემატიკას სწავლობდა დამაკმაყოფილებლად.



## ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827)

გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი მთელი ცხოვრება შეცდომებით წერდა, არითმეტიკა კი სკოლაში ძლივს შეისწავლა.



## ანტონ ჩეხოვი (1860-1904)

რუსი მწერალი, პროზაიკოსი და დრამატურგი ანტონ ჩეხოვი გიმნაზიაში ცუდი სწავლის გამო კლასში ჩარჩა. სამაგიეროდ, უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი იყო, როცა ჟურნალ „სტრეკოზაში" თავისი მოთხრობა „წერილი მეცნიერ მეზობელს" გამოაქვეყნა.



## ვლადიმერ მაიაკოვსკი (1893-1930)

საქართველოში დაბადებული რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას ლიტერატურით დიდად არ იყო დაინტერესებული, „ანა კარენინაც" კი ბოლომდე არ ჰქონდა წაკითხული.



## სერგეი კოროლიოვი (1906-1966)

საბჭოთა მეცნიერი, სარაკეტო-კოსმოსური სისტემების კონსტრუქტორი, აკადემიკოსი სერგეი კოროლიოვი სკოლაში სამიანზე მაღალ ნიშანს იშვიათად იღებდა.



## ალექსანდრე პუშკინი (1799-1837)

სახელგანთქმული რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი არითმეტიკის გაკვეთილებზე ტიროდა ხოლმე, ლიცეუმში სწავლის შედეგების მიხედვით კი მეორე იყო... ბოლოდან.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**სპეციალისტები ნორვეგიელს უნივერსალურ მოჭადრაკედ მიიჩნევენ, ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ ის განსაკუთრებით ძლიერია მიტელშპილსა და ენდშპილში. კარიაკინი ამბობს, რომ მაგნუს კარლსენი „პრაქტიკულად იდეალურად თამაშობს“. ნიდერლანდელი მოჭადრაკის ლუკ ვან ველის თქმით, „იმ პოზიციაში, რომელშიც სხვები ვერაფერს ხედავენ, მაგნუსი თამაშს იწყებს და იგებს, თანაც ზედმიწევნით აფასებს მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას“. მაგნუს კარლსენის ამ ნიჭზე ლეგენდები დადის.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჭადრაკის მოცარტი

**მაგნუს კარლსენი ერთ-ერთია ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერთა (დიდოსტატთა) შორის. ეს ტიტული 2004 წელს მოიპოვა, როცა 13 წლის, 4 თვისა და 27 დღის იყო. ის ყველაზე ახალგაზრდა მოჭადრაკეა, რომელმაც ელოს რეიტინგის 2700 და 2800-პუნქტიანი ზღვარი გადალახა და ყველაზე ახალგაზრდა მოჭადრაკეა, რომელსაც ისტორიაში ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს — 2872 პუნქტი. მესამე მოჭადრაკეა, კარპოვისა და კასპაროვის შემდეგ, ვინც 4-ჯერ მოიპოვა საჭადრაკო ოსკარი. 2013 წელს ჟურნალმა Time-მ კარლსენი „მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის“ სიაში შეიყვანა.**

**სვენ მაგნუს ეენ კარლსენი** 1990 წლის 30 ნოემბერს დაიბადა ნორვეგიის ქალაქ ტენსბერგში. მაგნუსის გარდა ოჯახში 3 ქალიშვილი იზრდებოდა. ბიჭი კი ღვთის საჩუქარი აღმოჩნდა მამისთვის, სანავთობე კომპანიის ინჟინერ **ჰენრიკ ლარსენისთვის**, რომელიც ჭადრაკით არის გატაცებული. სწორედ მან შეასწავლა მაგნუსს ეს დიდებული თამაში.

მაგნუსი ბავშვობიდანვე ავლენდა განსაცვიფრებელ გონებრივ უნარებს: 4 წლისამ ზეპირად იცოდა ნორვეგიის 436-ვე მუნიციპალური ქალაქის სახელი. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის დედაქალაქები და დროშები.

5 წლის მაგნუსი საჭადრაკო დაფასთან დასვეს. სამი წლის შემდეგ კი ბიჭმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. ინტერნეტში ბლიც-პარტიების წარმატებით თამაშის გამო კომპანია „მაიკროსოფტმა“ კარლსენების ოჯახი ერთწლიან ტურნეში გაგზავნა.

## ჭადრაკი

2000 წლიდან მაგნუს კარლსენს წვრთნიდა საერთაშორისო ოსტატი **ტორბიორნ რინგდალ ჰანსენი** — ნორვეგიის ჩემპიონის, გროსმაისტერ **სიმენ აგდესტეინის** აღზრდილი, რომელიც მაგნუსს საბჭოთა ავტორების — **მარკ დვორეცკისა** და **მიხეილ შერეშევსკის** წიგნებით ასწავლიდა. ორი წლის შემდეგ კი მაგნუსის გაწვრთნა თვითონ აგდესტეინმა დაიკისრა. 13 წლის მაგნუს კარლსენი ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერი გახდა. რეიკიავიკში გამართულ ტურნირზე მან მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი **ანატოლი კარპოვი** დაამარცხა, კიდევ ერთ მსოფლიო ჩემპიონ **გარი კასპაროვთან** კი პარტია ფრედ დაასრულა. სწორედ ამ მომენტიდან იწყება მაგნუს კარლსენის ბრწყინვალე საჭადრაკო ბიოგრაფია.

2005 წელს 15 წლის კარლსენი მსოფლიოს ათ საუკეთესო მოჭადრაკეს შორის მოხვდა.

2009 წელს ნორვეგიულ ვუნდერკინდს კასპაროვი წვრთნიდა. კასპაროვის წყალობით კარლსენის თამაში უფრო ვირტუოზული გახდა. როგორც კასპაროვმა აღიარა, ის განცვიფრებული იყო 19 წლის კარლსენის ნიჭით. ნორვეგიელი თავის ნიჭს წარმოაჩენს ინტუიციით, დამატებითი გათვლების გარეშე. ის გრძნობს ჭადრაკის თამაშის ჰარმონიას ისე, როგორც ვირტუოზი მუსიკოსი, რომელსაც აბსოლუტური სმენა აქვს. ტყუილუბრალოდ არ შეარქვეს მას „ჭადრაკის მოცარტი“.

იმავე 2009 წელს მაგნუს კარლსენმა ითამაშა ჩინეთში გამართულ ტურნირნში და 10 შესაძლებლობიდან 8 ქულა მოაგროვა. ნორვეგიელმა ისტორიაში ყველაზე მეტი სარეიტინგო ქულები დააგროვა და უკან ჩამოიტოვა თავისი მწვრთნელები, მათ შორის გარი კასპაროვიც.

2011 წელს კარლსენმა დაამარცხა იმხანად მთავარი მოწინააღმდეგე — რუსი **სერგეი კარიაკინი.** ორი წლის შემდეგ კი ახალგაზრდა გროსმაისტერი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაში მოხვდა. 2013 წელს ნორვეგიელი მოჭადრაკე მსოფლიოს მე-16 ჩემპიონი გახდა ამ ინტელექტუალური სპორტის სახეობაში. მასთან საჭადრაკო პარტიის თამაში დიდ პატივად ჩათვალეს **ბილ გეიტსმა** და **მარკ ცუკერბერგმა.** კარლსენმა გეიტსი 9 სვლაში დააშამათა და ამისთვის სულ 11 წამი დასჭირდა. რასაკვირველია, იოლად დამარცხდა ცუკერბერგიც.

სპეციალისტები ნორვეგიელს უნივერსალურ მოჭადრაკედ მიიჩნევენ, ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ ის განსაკუთრებით ძლიერია მიტელშპილსა და ენდშპილში. კარიაკინი ამბობს, რომ მაგნუს კარლსენი „პრაქტიკულად იდეალურად თამაშობს“. ნიდერლანდელი მოჭადრაკის **ლუკ ვან ველის** თქმით, „იმ პოზიციაში, რომელშიც სხვები ვერაფერს ხედავენ, მაგნუსი თამაშს იწყებს და იგებს, თანაც ზედმიწევნით აფასებს მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას“. ნორვეგიელის ამ ნიჭზე ლეგენდები დადის. ცნობილი საბჭოთა, მოგვიანებით კი შვეიცარიელი მოჭადრაკე **ვიქტორ კორჩნოი** ამბობდა, რომ კარლსენის წარმატებებს ჭადრაკთან საერთო არაფერი აქვს — „მაგნუსი, უბრალოდ, ჰიპნოზს უკეთებს მოწინააღმდეგეს“.








2016 წელს ნიუ-იორკში გაიმართა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მაგნუს კარლსენსა და სერგეი კარიაკინს შორის. საპრიზო ფონდი 1 მლნ დოლარი იყო (მოგებულს — 60%, წაგებულს — 40%). 12 პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 6:6 და გაიმართა ტაი-ბრეიკი შემცირებული დროით. მაგნუს კარლსენმა შეძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება 3:1.

2019 წელს მაგნუს კარლსენმა გაიმარჯვა ვეიკ-ან-ზეეში (ნიდერლანდები) გამართულ ტრადიციულ ტურნირში. შემდეგ ზედიზედ მოიგო ორი სუპერტურნირი. 2019 წლის ივლისში კი გაიმარჯვა Crand Chess Tour-ის მეორე ეტაპის ტურნირში.

2019 წლის განმავლობაში მაგნუსს კარლსენს არც ერთი პარტია არ წაუგია კლასიკურ ჭადრაკში და 2020 წლის იანვარში გამარჯვებების რაოდენობა 111 პარტიამდე აიყვანა.

## პირადი ცხოვრება

ჭადრაკის გარდა, მაგნუსი შესანიშნავად თამაშობს ჩოგბურთს, ფეხბურთსა და კალათბურთს, სრიალებს თხილამურებით. რეკლამას უწევს ცნობილი ნიდერლანდური კომპანია G-StarRAW-ის სამოსს. კარლსენის კოლეგები არიან **ლივ ტაილერი** და **ჯემა არტერონი.** სარეკლამო საქმიანობიდან მას ყოველწლიურად მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს.

2017 წელს მაგნუს კარლსენმა დაადასტურა, რომ სასიყვარულო ურთიერთობა აქვს გოგონასთან, რომლის სახელია **სინ კრისტინ ლარსენი.**

**მაგნუს კარლსენის მიღწევები:**

ისტორიაში პირველი მოჭადრაკე, აბსოლუტური ჩემპიონი სამ კატეგორიაში:

*2013 წლიდან ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში;

*2014-2016, 2019 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი რაპიდში (ჭადრაკის სახეობა, რომელშიც თითოეულ მოთამაშეს ეძლევა 10 წუთზე მეტი, ოღონდ საათზე ნაკლები);

*2014-2015, 2017-2019 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი ბლიცში (ჭადრაკის თამაში, რომელშიც სვლის მოსაფიქრებლად შეზღუდული დროა დაწესებული).

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


მარკ ცუკერბერგი და მაგნუს კარლსენი


სინ კრისტინ ლარსენი და მაგნუს კარლსენი




კარლსენი და ბილ გეიტსი


კასპაროვი და კარლსენი

# «ხუთეულის» შეხვედრა: ტრამპმა პუტინის იდეა მოიწონა



**პუტინის ინიციატივას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტამდე მხარი დაუჭირეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივმა წევრმა ქვეყნებმა — საფრანგეთმა, ჩინეთმა და დიდმა ბრიტანეთმა.**

პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** მხარს უჭერს ვლადიმერ პუტინის იდეას, ჩატარდეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი „ხუთეულის“ შეხვედრა, განაცხადა აშშ-ის ელჩმა რუსეთში **ჯონ სალივანმა.**

„პრეზიდენტი ტრამპი მიესალმება პრეზიდენტ პუტინის იდეას — მოიწვიონ „ხუთეულის“ სამიტი და, ამასთანავე, მის ჩატარებას აშშ-ის ტერიტორიაზე სთავაზობს... თუმცა სამიტის ჩატარების არც ადგილი და არც დრო ჯერჯერობით შეთანხმებული არ არის. ამასთანავე, მხარეებს შეხვედრის დღის წესრიგზე მსჯელობაც მოუწევთ, რაც მნიშვნელოვანი საკითხია“, — განაცხადა სალივანმა.

ელჩის თქმით, ვაშინგტონის პოზიციის მიხედვით, ბირთვული სახელმწიფოების „ხუთეულის“ ფორმატი ქმნის შესაძლებლობას, რომ შეხვედრაზე განხილული იყოს შეიარაღებაზე კონტროლის თემაც. ჯონ სალივანს მიაჩნია, რომ ამ თემატიკის განხილვა შესაბამისი იქნებოდა სტრატეგიული სტაბილურობის შესახებ მოლაპარაკებების არსთან, რომელიც ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მიმდინარეობდა ბოლო წლების განმავლობაში.

# «საქართველო იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც კორონავირუსის სამკურნლო პრეპარატს მიიღებს»



**პაციენტების 80%-ში კორონავირუსი მსუბუქად მიმდინარეობს და მათ სერიოზული მკურნალობა არ სჭირდებათ, — განაცხადა შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ „ტვ პირველის“ ეთერში. მისი თქმით, ასეთ დროს პაციენტს სიმპტომურად მკურნალობენ, რომ მდგომარეობა შეუმსუბუქონ და სიცხის დამწევს აძლევენ.**



„კორონავირუსის შემთხვევების 1% მიმდინარეობს უსიმპტომოდ, დაავადების 80% — მსუბუქად, 15% — მძიმედ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ ორმხრივი მძიმე პნევმონია. დაახლოებით 5% მიმდინარეობს კრიტიკულად მძიმედ, რომელიც საჭიროებს გადაუდებელი თერაპიის ზომებს, წინაალმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება დამთავრდეს ლეტალურად. იმ 80%-ში, რომლებშიც მსუბუქად მიმდინარეობს, სერიოზული მკურნალობა არ სჭირდებათ. ვცდილობთ, რაღაც შევუმსუბუქოთ და სიცხის დამწევი მივცეთ. მძიმე და კრიტიკულ შემთხვევებს აუცილებლად სჭირდება მკურნალობა“, — აღნიშნა **თენგიზ ცერცვაძემ.** დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე **პაატა იმნაძემ** კი განაცხადა, რომ საქართველო მსოფლიოში იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც კომპანია „გილიარდისგან“ კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატს მიიღებს.

„გილიარდი“ საქართველოს დიდი მეგობარი კომპანიაა, რომელიც C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატს უფასოდ გვაწვდის. ახლა აშშ-სა და ჩინეთში „გილიარდის“ წამლის გამოცდა მიმდინარეობს. ამ კომპანიასთან მოლაპარაკებები დაწყებულია და იმ შემთხვევაში, თუ ეს პრეპარატი მკურნალობისთვის დაშვებული იქნება, საქართველო იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც კორონავირუსის სამკურნლო პრეპარატს მიიღებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება კი საქართველოს გაუწიეს ჩინელმა ექიმებმა და ექსპერტებმა, რომლებმაც სატელევიზიო კონფერენცია მოაწყვეს და კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს ქართველ კოლეგებს, ამასთანავე, საქართველოში ჩინეთის ელჩის, **ლი იენის** ძალისხმევით ჩინეთი უსასყიდლოდ გადმოგვცემს ვირუსის გამოსავლენ სწრაფ ტესტებს.

# სერბეთის პრეზიდენტმა ევროკავშირი სოლიდარობის არქონაში დაადანაშაულა

**„ევროპული სოლიდარობა არ არსებობს“, — განაცხადა სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა.**



„ახლა პოლიტიკურ დასკვნებს არ გავაკეთებ, მაგრამ ჩვენ მივხვდით, რომ არ არსებობს საერთაშორისო თუ ევროპული სოლიდარობა, ეს ყველაფერი ქაღალდზე დაწერილი ზღაპარია“, — თქვა **ვუჩიჩმა** ევროკავშირის მიერ მედიკამენტებისა და სამედიცინო მოწყობილობების ექსპორტის აკრძალვის კომენტირებისას და დასძინა:

„ჩვენ ამ ვითარებაში მხოლოდ ჩინეთი თუ დაგვეხმარება, მე გავუგზავნე წერილი თავმჯდომარე **სი ძინპინს**, ვუწოდე მას ძმა და ვთხოვე დახმარება“.

# აშშ მოსკოვში წარმომადგენლობით დელეგაციას გაგზავნის 9 მაისის საზეიმო ღონისძიებაზე

**აშშ-ის ახალმა ელჩმა რუსეთში ჯონ სალივანმა მოსკოვში 9 მაისს დაგეგმილ გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე აშშ-ის სპეციალური დელეგაციის ჩასვლის შესახებ ილაპარაკა.**



„თუ 9 მაისის ღონისძიება გაიმართება რუსეთის მთავრობის თავდაპირველი გეგმით, მას აშშ-ის წარმომადგენლობითი დელეგაცია დაესწრება. ჩვენ ძალიან სერიოზულად და პასუხისმგებლობით ვეკიდებით 75 წლის წინათ მომხდარის შესახებ ხსოვნას — მოკავშირეების გამარჯვებას ნაცისტურ გერმანიასა და იაპონიაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი წლისთავია“, — აღნიშნა აშშ-ის ელჩმა.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# თუ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება, საკონსტიტუციო ცვლილებები ვეღარ მოესწრება და შეიძლება საპარლამენტო არჩევნებმაც გადაიწიოს

**პოლიტიკის ექსპერტი და კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „2020 NEWS“-თან აცხადებს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანაში კონსტიტუცია „გაჩერებულია“ და, შესაბამისად, საგანგებო ვითარებაში, არჩევნების ჩატარებასა და საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებაზე საუბარი ზედმეტია.**



„საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ხელისუფლების საპრეზიდენტო მმართველობაში გადასვლას ნიშნავს. რადგან ასეთ შემთხვევაში ქვეყანა დეკრეტების საფუძველზე იმართება და უამრავი შეზღუდვა არსებობს. ამ პროცესს, დიდი ალბათობით, საპარლამენტო არჩევნების თარიღის გადაწევაც მოჰყვება.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ვერც საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდება, რადგან საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ყველაფერი, მათ შორის, კონსტიტუცია ჩერდება“, — განაცხადა **ვახტანგ ძაბირაძემ.**

რა არის საგანგებო მდგომარეობა და რა შემთხვევაში ცხადდება იგი?!

„საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ კანონის მიხედვით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, ეპიდემიის არსებობისას, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

„მუხლი 1

1. საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

2. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა“, — წერია ქვეყნის უმაღლეს კანონში.

**ეკატერინე ზარნაძე**
2020news.ge

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894